# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 26 ივნისი 2001 №117 (1390) | ფასი 50 თეთრი


# ჯანიმ სირცხვილს აგვარიდა
## ვიტ ჯორჯიამ გაუვლელი გაიარა

უქულობაში, უგულობაში, უგოლობაში, უმწვრთნელობაშიც შეიძლება თურმე ზოგჯერ სასიამოვნო რამ მოხდეს!

კვირას თბილისის „ვიტ ჯორჯიამ" ავსტრიაში 1:2 წააგო, მაგრამ არ დამარცხებულა. „რიდთან" ორმატჩიანი ბრძოლა ფრედ მორჩა, მაგრამ გრიზკირხენში გატანილმა ლევან მელქაძის გოლმა ვიტელებს შინისკენ გზა ერთი კვირით და კარგა მანძილით დაუგრძელა. კვირას ქართველები ინტერტოტოს თასის მეორე შესარჩევ ეტაპზე ფრანგულ ოსერში მომლოდინე „ტრუას" ეთამაშებიან. ფრანგები ჩვენებურთაგან განსხვავებით მხოლოდ ახლა იწყებენ ევროსეზონს.

აქამდე ქართველებს სამარცხვინოდ გვქონდა საქმე: ამ საზაფხულო ევროტურნირის თუნდაც ერთი ეტაპის დაძლევა ვერცერთ ჩვენს კლუბს ვერ მოეხერხებინა. ამ წყვილში და ამ საქმეში პირველობა „ვიტ ჯორჯიამ" იტალიელი მწვრთნელის ჯანი კარნევალის ხელში შეძლო. კარნევალის თბილისური საქმიანობა აშკარად ბათუმურზე უკეთ აეწყო.

„რიდის" ასე ძლევა (ფრით და ორი გაძევებით) არ იძლევა იტალიელის ნამოქმედარით აღფრთოვანების საფუძველს, მაგრამ შედეგს ვერც მას და ვერც მის ფეხბურთელებს ვერავინ დაუწუნებს.

აქედან ლოზუნგი ქართული კლუბებისთვის: ნუ მიბაძავთ „ბათუმს", რომელმაც კარნევალი დაიწუნა და შინ გაუშვა!

მიბაძეთ „ვიტ ჯორჯიას", რომელმაც დაწუნებული უცხოელი მწვრთნელითაც გაიარა საწყისი ევროეტაპი.

იხილეთ მეორე-მესამე გვერდები



„ვიტ ჯორჯიას" თავკაცი ჯანი კარნევალი დამარცხებული „რიდის" მწვრთნელ ალფრედ ტატარს ამშვიდებს



REUTERS

პირველ წრეში გავარდნილ მარტინა ჰინგისს სირცხვილისგან თავი არ გამოეყოფა

# მარტინა გამარტივდა
## ჩინური თერაპია და ესპანური შოკი

გუშინ ლონდონში დაწყებული მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული საჩოგბურთო ტურნირი — უიმბლდონი მარტინა ჰინგისისთვის უკვე დასრულდა. ბოლო სამ წელიწადში მეორედ, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა „ოლ ინგლენდ კლაბში" პირველი წრე ვერ გადალახა.

თუ 1999-ში შვეიცარიელის ცოდვა ამომავალმა ვარსკვლავმა ელენა დოკიჩმა დაიდო, ამჯერად მარტინას მძლეველი ესპანელი ვირხინია რუანო პასკუალი გამოდგა — წყვილებში თამაშის ოსტატი დიდი ამბიციებისა და შესაძლებლობების გარეშე. სახტად დარჩენილი მაყურებლებისა და ტრიბუნებზე ტუჩების მკვნეტელი დედის, მელანი მოლიტორის თვალწინ ჰინგისმა აურაცხელი შეცდომა დაუშვა და 4:6, 2:6 წააგო.

„ყველაფერი მყესის ანთების ბრალია, წინა კვირაში საერთოდ ვერ ვივარჯიშე და მოძრაობისაც მეშინოდა. ორი დღის წინ არც კი ვიცოდი, აქ ასპარეზობას შევძლებდი თუ არა. აკუპუნქტურაც კი ვცადე გამოსაჯანმრთელებლად, მაგრამ არაფერმა მიშველა" — თავი იმართლა ჰინგისმა.

უიმბლდონის საუკუნეზე მეტხნიან ისტორიაში ასე ადრე ჰინგისის გარდა პირველად განთესილებიდან მხოლოდ მარგარეტ კორტსა (1962) და შტეფი გრაფს (1994) წაუგიათ.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

ინტერტოტოს თასი 2001. პირველი შესარჩევი ეტაპი. საპასუხო მატჩი

## რიდი 2:1 ვიტ ჯორჯია

გირზკირხენი. 2 000 მაყურებელი. 24 ივნისი. 20 საათი

პირველი მატჩი 0:1

0:1 მელქაძე (14), 1:1 ანგერშმიდი (16), 2:1 ლაუერსი (78)

| | |
|---|---|
| რიდი: ორაზე, შტაინინგერი, ნეჩტვიხი, იანკი (ფორსტერი 39), ორტლეხნერი (ვაგრა 60), როტბაუერი, ანგერშმიდი, გლასნერი, დრეხსელი, რადოვიჩი, ლაუერსი<br>მწვრთნელი: ალფრედ ტატარი | ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, კობიაშვილი, ქანკოტაძე, ინწკირველი, ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი, გოგობერიშვილი, დ. დოლიძე (ფეიქრიშვილი 67), ყიფიანი, ადამია (არეშიძე 60), მელქაძე (ზ. მეტრეველი 90)<br>მწვრთნელი: ჯანი კარნევალი |

გაფრთხილება: ყიფიანი (35), იანკი (37), გოგობერიშვილი (48), დრეხსელი (68)
გაძევება: გოგობერიშვილი (49)

მსაჯები: ა. სიპაილო; ს. ბრაგა, ბ. მილეიკა (ლატვია); ტ. პრამერი (ავსტრია)

# ტატარი თურქს აღარ ენდო

## ორი ბურთის მადევარმა წითელი დაიჭირა



თბილისში საუკეთესომ, „ვიტ ჯორჯიას" მეკარე სერგო ჭურაძემ კარი ავსტრიაშიც არაერთხელ იხსნა

**თბილისურმა** „ვიტ ჯორჯიამ" გირზკირხენში „რიდთან" 2:1 კი წააგო, მაგრამ ერთი კვირით ადრე „ეროვნულზე" ავსტრიელებს 1:0 მოუგო და დღეს უკვე საფრანგეთშია. ვიტელები მორიგ მეტოქესთან სათამაშოდ ემზადებიან.

სანამ „ვიტ ჯორჯია" — „რიდის" მატჩზე ჩვენი ავსტრიელი კოლეგების შთაბეჭდილებებს გაგაცნობდეთ, მანამ ერთს გეტყვით. ავსტრიელთა მწვრთნელმა ალფრედ ტატარმა ქართველებს გვარიანი სიურპრიზი მოუმზადა. გირზკირხენში საერთოდ არ ათამაშა თბილისურ მატჩში სტუმართაგან ყველაზე სახიფათო და მოუხელთებელი ფორვარდი აკაგიუნდუზი.

ტატარმა მის ნაცვლად ვენის „რაპიდიდან" ახალშეძენილი რადოვიჩი დაუპირისპირა სტუმრებს. სიახლე იყო დაცვაში შტენინგერის გამოჩენაც. შეიძლება ითქვას, ამ ცვლილებებმა გარკვეულწილად ნაყოფი გამოიღო, მაგრამ საბოლოო წარმატებისთვის არ იკმარა.

გარკვეულ გადაადგილება-სიახლეს ვეტერინართა თავკაცმა ჯანი კარნევალიმაც მიმართა — დისკვალიფიცირებული საჯაიას ადგილი დავით დოლიძეს ჩააბარა, ხოლო სწრაფი გარემარბი ადამია თავიდანვე ჩააბა ბრძოლაში. ადამიამ თავისი საქმე გააკეთა, აქედან გამომდინარე, კარნევალიც გამარჯვებული დარჩა.

ახლა კი ავსტრიელი კოლეგების თვალით დანახული მატჩიც:

— ქართველებმა სტუმრად გატანილი გოლის წყალობით შემდეგ ეტაპზე გააღწიეს. ეს სავსებით კანონზომიერიც იყო, „რიდმა" ბევრი შეცდომა დაუშვა და მეტოქემაც იხეირა.

მასპინძელთა კართან განგაშის ზარმა პირველად მატჩის მესამე წუთზე ჩამოჰკრა. ადამია საჯარიმოში ორ მცველს გაუსწორდა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა კარშიც ძლიერად დაარტყა. „რიდი" ორაზემ იხსნა და ბურთი მოიგერია.

სანამ მასპინძლები გონზე მოეგებოდნენ და შეტევებს წამოიწყებდნენ, სტუმრებმა გოლიც გაიტანეს. ადამიამ ჯერ მეურვე მოატყუა, მერე ბურთი ორ მცველს შუა მელქაძისკენ გააძვრინა. მელქაძის დარტყმა უნაკლო იყო, ორაზე — უძლური.

სამი გოლის გატანა „რიდისთვის" წარმოუდგენელი ჩანდა, მაგრამ ზუსტად ორ წუთში ორტეხნერმა უზადო პასი მიაწოდა ანგერშმიდს და მანაც ახლოდან გაათანაბრა ანგარიში.

„რიდმა" შეტევას შეტევა მოაყოლა, თუმცა „ვიტ ჯორჯია" თავს ორგანიზებულად იცავდა. მართალია, მასპინძლები დიდ ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ სტუმართა კონტრიერიშები უფრო სახიფათო ჩანდა. ყიფიანსა და გოგობერიშვილს რამდენიმე სახიფათო იერიში გამოუვიდათ. გოგობერიშვილი სულაც გამორჩეული მოთამაშე გახლდათ და პირველ ტაიმში ადამიასთან ერთად ბევრი თავსატეხი გაუჩინა მასპინძლებს.

„რიდს" შემდეგ ეტაპზე გასვლის იმედი მეორე ტაიმის 49-ე წუთზე გაუორკეცდა. ლატვიელმა მსაჯმა გოგობერიშვილი ორი გაფრთხილების გამო გააძევა. სიპაილომ ორი წუთის ინტერვალში ორჯერ გააყვითლა ქართველი.

48-ე წუთზე ბურთი აუტში გადავარდა. გვერდით ხაზთან ორი ბურთი იდო, ერთი — გაცილებით მოშორებით. სტუმარი სწორედ იმ ბურთისკენ წავიდა, რათა აუტი მოეწოდებინა და მსაჯმა დროის გაყვანისთვის დასაჯა. წუთის შემდეგ კი ბრძოლაში გართულს აუფრიალა ყვითელი ბარათი.

მასპინძლებმა შეტევები გაამწვავეს, ხოლო სტუმრებმა ცოტა ხანში ერთი თავდამსხმელით თამაში არჩიეს და დაცვა გააძლიერეს. „რიდმა" რამდენიმე სახიფათო მომენტი ქარს გაატანა და კინაღამ დაისაჯა, უფრო სწორად, მსაჯმა დაინდო. ორაზემ საჯარიმოში ყიფიანი წააქცია და... ვიტელებმა გააპროტესტეს, თუმც ამან შედეგი ვერ გამოიღო.

78-ე წუთზე ლაუერსმა წინ გაიყვანა „რიდი". მასპინძლებიც გადამწყვეტ შტურმზე გადავიდნენ, თუმც სტუმრებმა გაძლეს.

მატჩის შემდეგ „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტი გურამ რუხაძე მსაჯობით უკმაყოფილო იყო: „მიკერძოებული მსაჯობა როგორ არ მინახავს, მაგრამ ასეთი არაფერი. ჩვენ ორივე შეხვედრაში კაცნაკლულებმა მოვახერხეთ საბოლოო გამარჯვების მიღწევა და ეს ძალიან მეამაყება".

„რიდის" გენერალური მენეჯერის, ჰელმუტ სლეზაკის აზრით, წარუმატებლობა იმ შეცდომების ბრალია, რომელიც გუნდმა თბილისსა და გირზკირხენში დაუშვა. „ჩვენ შეგვეძლო მომდევნო ეტაპზე გასვლა, მაგრამ ბევრი შეცდომა დავუშვით. ახლა მხოლოდ შინაურ საჩემპიონატო ამბებს მივხედავთ და სეზონისთვის მოვემზადებით.

— სულ ეს იყო. ავსტრიელი კოლეგების მონათხრობს ჩვენ ესღა შეგვიძლია დავამატოთ — ჯანი კარნევალიმ „რიდთან" ბოლო 23 წუთი კიდევ ერთი დებიუტანტი, ფეიქრიშვილი ათამაშა. შეცვლაზე შესულმა არეშიძემ და მეტრეველმა ნათლობა თბილისში, „ეროვნულზე" მიიღეს.

*გუშინვე „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტ გურამ რუხაძეს შევეხმიანეთ. ვეტერინარები ავსტრიიდან საფრანგეთს მიემგზავრებოდნენ. ჩინებულ ხასიათზე იყო პრეზიდენტი. ერთი ეგაა, გოგობერიშვილის დისკვალიფიკაციაზე წუხდა, თუმც საჯაიას დამატებაც ახარებდა.*

*„საღამოს დანიშნულების ადგილზე ვიქნებით. ოსერიდან 30 კილომეტრში, ავალონში დავბინავდებით და ვარჯიშებს იქ განვაახლებთ. 28 ივნისს ავალონიდან ტონერში გადავალთ. 15 კილომეტრია ოსერამდე. 29-ში ოსერის სტადიონზე ვივარჯიშებთ და 30 ივნისს, თბილისის დროით ღამის თერთმეტ საათზე, „ტრუას" დავუპირისპირდებით. ჯერჯერობით სულ ესაა, რაც შემიძლია გითხრათ" — დაგვემშვიდობა გურამ რუხაძე.*

**გამუჭა ძვანტალიანი**



გიორგი ადამიამ (მარცხნივ) ავსტრიელებს იქაც გვარიანი თავსატეხი გაუჩინა

### ინტერტოტოს თასი 2001
პირველი შესარჩევი ეტაპი. საპასუხო მატჩები

რიდი (ავსტრია) 2:1 ვიტ ჯორჯია (საქართველო) (0:1)
პობედა (მაკედონია) 1:1 ზაგრები (ხორვატია) (2:1)
სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) 4:0 ვროცლინი (პოლონეთი) (0:1)
შირაქი (სომხეთი) 1:3 ტატაბანია (უნგრეთი) (3:2)
ვილიაში (აზერბაიჯანი) 1:2 გრინდავიკი (ისლანდია) (0:1)
დენიზლისპორი (თურქეთი) 3:5 ჩელიკი (ბოსნია) (0:1)
პეტრჟალკა (სლოვაკეთი) 1:1დ.დ. (პენ.5:4, 1:1) ეკრანასი (ლიტვა) (1:1)
ჰობშაიდი (ლუქსემბურგი) 1:1 დინამო (მინსკი, ბელარუსი) (0:6)
გლორია (რუმინეთი) 2:1 ჯაზი (ფინეთი) (0:1)
კლიფტონვილი (ჩრდ. ირლანდია) 1:3დ.დ. (1:0) ტილიგული (მოლდოვა) (0:1)
ტალინი (ესტონეთი) 0:3 ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი) (0:2)
ჰიბერნიანსი (მალტა) 1:0 ზაგლებე (პოლონეთი) (0:4)
მეტალურგსი (ლატვია) 2:1 კორკ სიტი (ირლანდია) (1:0)
ბილიში (ალბანეთი) 0:1 უნივერსიტატია (რუმინეთი) (3:3)
სლავენი (ხორვატია) 7:0 ანართოსისი (კვიპროსი) (2:0)
ცელიე (სლოვენია) 7:1 ორჰუსი (დანია) (0:1)
აიკ (შვედეთი) 3:0 კარმართენი (უელსი) (0:0)
სარტიდი (იუგოსლავია) 5:2 დანდი (შოტლანდია) (0:0)
ლოზანა (შვეიცარია) 6:0 სენტ ჯულია (ანდორა) (3:1)
ლოკერენი (ბელგია) 0:0 ტოფტირი (ფარერები) (4:2)

### ინტერტოტოს თასი 2001
მეორე შესარჩევი ეტაპი

ტრუა (საფრანგეთი) — ვიტ ჯორჯია (საქართველო)
ჩელიკი (ბოსნია) — გენტი (ბელგია)
ოდენსე (დანია) — აიკ (შვედეთი)
პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი) — ჯაზი (ფინეთი)
ბაზელი (შვეიცარია) — გრინდავიკი (ისლანდია)
შტურმი (ავსტრია) — ლოზანა (შვეიცარია)
მეტალურგსი (ლატვია) — ჰერენვენი (ჰოლანდია)
სლავენი (ხორვატია) — ბასტია (საფრანგეთი)
პობედა (მაკედონია) — რიზესპორი (თურქეთი)
მიუნხენ 1860 (გერმანია) — სარტიდი (იუგოსლავია)
სინოტი (ჩეხეთი) — უნივერსიტატია (რუმინეთი)
სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) — ტავრია (უკრაინა)
ტილიგული (მოლდოვა) — ტატაბანია (უნგრეთი)
ცელიე (სლოვენია) — პეტრჟალკა (სლოვაკეთი)
დინამო (მინსკი, ბელარუსი) — ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი)
ზაგლებე (პოლონეთი) — ლოკერენი (ბელგია)

*I მატჩები — 30 ივნისი-1 ივლისი, საპასუხოები — 7-8 ივლისი*

### ფინეთი

ჰაკა 1:1 ჰიკ
ინტერი 2:4 ტამპერე
როვანიემი 4:2 ატლანტისი

### ევროპის ქალთა ჩემპიონატი ფეხბურთში

იტალია 2:0 დანია
ნორვეგია 3:0 საფრანგეთი

რუსთავის მერია და ქალაქის სპორტული საზოგადოება მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფეხბურთელთა არაერთი თაობის აღმზრდელი, ამაგდარი მწვრთნელი

**მურმან გოგოლაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ინტერტოტოს თასი 2001. მეორე შესარჩევი ეტაპი. პირველი მატჩი

estac **ტრუა — ვიტ ჯორჯია** WIT

ოსერი. „აბატი დეშანი". ტევადობა 21 000. 30 ივნისი. 23 საათი

# გაასწარი საუკეთესოს!

## შამპანელებისთვის ევროპა ქართველებით იწყება

**ასეთი** დევიზი ჰქონიათ შუა საუკუნეებში შამპანელ გრაფებს, რაც ფრიად მოსწონებიათ „ვიტ ჯორჯიას" მომავალი მეტოქის ხელმძღვანელებს და თავიანთ დევიზადაც გამოუცხადებიათ.

რა გუნდია „ტრუა" ანუ „ესპერანს სპორტივ ტრუა ობ შამპანი"?

დავიწყოთ იქიდან, რომ ეს სახელი კლუბმა შარშან მაისში დაირქვა, მანამდე მას „ასოსიასიონ ტრუა ობ შამპანი" ერქვა და 1986 წელს დაბადებულა. რა თქმა უნდა, მანამდე ტრუა ფეხბურთის გუნდის გარეშე არ ყოფილა, მაგრამ 1979 წელს ამ ქალაქის კლუბი, რომელიც იმჟამად მეორე დივიზიონში გამოდიოდა, გაკოტრებულა და არსებობა შეუწყვეტია. პირველი საფეხბურთო კლუბი კი ტრუაში 1900 წელს დაუარსებიათ და იქიდან მოყოლებული ამ ქალაქს ფეხბურთიც ერთობ შეუთვისებია.



„ტრუას" ბებერი მეგოლე სლადიან ჯუკიჩი

ახლანდელი „ტრუა" თავიდან „ლირსების დივიზიონში" გამოდიოდა. თუმცა მომდევნო სეზონიდანვე ერთი საფეხურით ამაღლდა და მეოთხე დივიზიონში გადავიდა. სამი წლის შემდეგ მან მესამე დივიზიონსაც უწია, სადაც კიდევ სამი წელი დაჰყო.

შემდეგ საფრანგეთის ჩემპიონატის ფორმულა შეიცვალა და „ტრუა" ნასიონალ 2-ში აღმოჩნდა. სწორედ ამ დროს მივიდა კლუბში ალენ პერენი, რომლის თავკაცობითაც ტრუელები მყის გადავიდნენ ნასიონალ 1-ში და ორ წელიწადში მეორე დივიზიონამდეც ალზევდნენ. თავიდან აქ „ტრუას" ძალიან გაუჭირდა, მე-20 ადგილი დაიკავა და გავარდნას მხოლოდ იმიტომ გადაურჩა, რომ ფინანსური პრობლემებისთვის ბევრი გუნდი დაისაჯა ნასიონალში დაქვეითებით.

თუმცა 1997-98 წლების სეზონიდან სულ სხვა სიძლიერის გუნდი ათამაშდა „ლობის" სტადიონზე. პერენის შეგირდებმა საბოლოოდ მე-5 ადგილი დაიკავეს და ერთი წლის შემდეგ ელიტის საგზურსაც დაეუფლნენ. პირველი სეზონი პირველ დივიზიონში შეჩვევას დასჭირდა და „ტრუა" მე-14 ადგილს დასჯერდა, წლეულს კი შედეგი ორჯერ გააუმჯობესა და მეშვიდეზე გავიდა.

ჩემპიონატის 34 მატჩიდან ტრუელებმა 11 მოიგეს, 13 ფრედ დაასრულეს და 10 წააგეს, 45 გოლი გაიტანეს და 47 გაუშვეს. საინტერესოა, რომ ისინი ჩემპიონატის ლიდერებთან უკეთ თამაშობდნენ, ვიდრე აუტსაიდერებთან. მართალია, „ტრუამ" ჩემპიონ „ნანტთან" ორივე შეხვედრა დათმო, მაგრამ მომდევნო სამ გუნდთან („ლიონი", „ლილი", „ბორდო") 18 შესაძლებლიდან 13 ქულა დააგროვა მაშინ, როცა მეორე დივიზიონში დაქვეითებულ სამეულს („სენტ ეტიენი", „ტულუზი", „სტრასბური") მხოლოდ 3 ქულას გამორჩა.

მეშვიდე ადგილზე „ტრუას" ინტერტოტოს საგზური მოუტანა და ევროსარბიელზე მის ისტორიაში პირველი მეტოქეც „ვიტ ჯორჯია" იქნება.

„ტრუამ" ჩინებულად ითამაშა საფრანგეთის თასზეც, სადაც თავის ისტორიაში პირველად უწია ნახევარფინალს. თუმცა იქ ნასიონალის ბინადარ „ამიენთან" დამარცხდა მატჩისშემდგომი პენალტების სერიაში (2:4).

შემადგენლობაში შამპანელებს ვარსკვლავები, თუნდაც მხოლოდ საფრანგეთის მასშტაბის, არ ჰყავთ. გამოსარჩევი, მეკარე ტონი ერტებისთან ერთად მხოლოდ სლადიან ჯუკიჩი და ერიკ რუა გახლავთ. დანარჩენები საშუალო დონის ფეხბურთელები არიან, რომლებიც ძალიან შეკრულ და საკმაოდ ძლიერ გუნდს ქმნიან.

იუგოსლაველი ჯუკიჩი საფრანგეთში 1994 წელს გადაბარგდა. იგი თავიდან ნასიონალის „ბრესტში" აღმოჩნდა, საიდანაც მალე ერთი საფეხურით მაღლა მდგომ „ლორიანში" გადაიყვანეს. იქ ორი წელი დაჰყო. 1998 წლიდან ეს თმაშეთხელებული თავდამსხმელი უკვე ტრუელთა მეტოქეებს აწიოკებს და ზედიზედ ოთხი სეზონია, კლუბის საუკეთესო ბომბარდირიც ხდება. პირველ დივიზიონში ჯუკიჩმა ჯერ 10 გოლი შეაგდო, გასულ სეზონში კი — 12. 35 წლის შემტევ ნახევარმცველს „ტრუასთან" კიდევ ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. ერიკ რუაც ნახევარმცველია და მას საუკეთესო წლები მარსელის „ოლიმპიკში" გაუტარებია, საიდანაც ინგლისურმა „სანდერლენდმა" იყიდა. თუმცა რუამ კუნძულზე დიდხანს ვერ გაძლო და მალევე დაბრუნდა სამშობლოში, „ტრუაში" ჩაირიცხა და გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეც გახდა.

შამპანელთა მთავარი ძალა კი უდავოდ მთავარი მწვრთნელი ალენ პერენია, რომელიც ამავდროულად კლუბის გენერალური მენეჯერის ფუნქციებსაც ასრულებს. მისი სწორად შერჩეული ტაქტიკით იმარჯვებენ ხოლმე ძირითადად ტრუელები და ამიტომაც გუნდის პრეზიდენტმა მწვრთნელს წლეულს ახალი ოთხწლიანი კონტრაქტიც გაუფორმა.

რაც შეეხება „ტრუას" მიმდინარე ამბებს.

ვარჯიში 20 ივნისს განახლდა ერთთვიანი შვებულების შემდეგ და ფეხბურთელები „ვიტ ჯორჯიასთან" შეხვედრამდე დღეში ორჯერ მოიდენენ ოფლს, თუმც დიდად არ დაიტვირთებიან.

შემადგენლობა თითქმის არ შეცვლილა. დღეისთვის მხოლოდ სამი ფეხბურთელია წასული: სამბა დიავარა „ისტრს" ათხოვეს, ჟერომ მონიე „ლავალს", რიშარ ჟეზიერსკი კი „სედანმა" იყიდა სამი წლით. ჯერჯერობით მხოლოდ ერთი კაცი შეიძინეს ტრუელებმა. ჩემპიონ „ნანტიდან" მათ 23 წლის მეძი ლერუა გადაიბირეს, რომელმაც გასულ სეზონში პირველი დივიზიონის მხოლოდ ერთ მატჩში ითამაშა. გუნდში მოვიდა 27 წლის ოლივიე ტომასიც, მაგრამ ეს მისთვის მხოლოდ პირველი პროფესიული კონტრაქტია. ტრუელებს კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის დამატება სურთ. ლაპარაკია „მარსელის" მიკაელ მარსილიასა და მაავნ სკანდინაველ მცველზე.

დაბოლოს, „ვიტ ჯორჯიასთან" საპასუხო მატჩამდე თბილისში, „ტრუა" არკ ან ბარუაში „გენიონს" დაუპირისპირდება. ჩვენებურებს კი შამპანელები ოსერში დაუხვდებიან.

**გაგი გურული**

# კონტროლზეა კონტროლი

**ჩემპიონთა** ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩრდილოირლანდიურ „ლინფილდთან" შებმამდე ორი კვირაღა დარჩენია „ტორპედოს". მოგეხსენებათ, ქუთაისელებს ჯერ სტუმრად, ბელფასტში უწევთ თამაში და ბრიტანეთში გამგზავრებამდე უცხოური შეკრებაც აქვთ დაგეგმილი, ეგ არის, მისი ადგილი ჯერაც უცნობია. დრო არ ითმენს და ეს საკითხიც, ალბათ, ერთ-ორ დღეში გადაწყდება. მანამდე „ტორპედო" საკუთარ ბაზაზე ემზადება. რევაზ ძოძუაშვილი შეგირდებს დიდი დატვირთვით ავარჯიშებს. ამ ეტაპზე გამორჩეული ყურადღება ფეხბურთელების ფიზიკურ მომზადებაზეა გადატანილი, თუმც დილა-საღამოს წვრთნას დამრიგებელი ორმხრივ თამაშებსაც უთავსებს.

შაბათს კი „ტორპედომ" საღორიის ბაზაზე პირველი საკონტროლო შეხვედრაც გამართა ტრადიციულ სპარინგ-პარტნიორ წყალტუბოს „სამგურალთან".

თავიდანვე ვიტყვით, რომ გუნდიდან წასული თუ წამსვლელად გამზადებული მოთამაშეების (პაატა ჯინჭარაძე, ირაკლი ვაშაკიძე, კახა ჩხეტიანი, ირაკლი ზოიძე, ნიკოლოზ ტოგონიძე, გია იმედაძე, მიხეილ ბობოხიძე, ზურაბ არჩვაძე) გარდა, „ტორპედოს" ამ მატჩისთვის ოთხიც დააკლდა — ლევან სილაგაძეს ქუთაისში ჩამოსვლა დაუგვიანდა, ვალერი აბრამიძე ოდენ პარასკევს შეუერთდა ტორპედოელებს, ვახტანგ ხვადაგიანი და შოთა ბაბუნაშვილი ერთ-ერთი ვარჯიშისას დაშავდნენ.

რევაზ ძოძუაშვილმა გუნდი პირველ ტაიმში ასეთი შემადგენლობით ათამაშა: კარში — თსუ-დან დაბრუნებული ზვიად სტურუა, დაცვის ცენტრში — მიხეილ მახვილაძე და რევაზ ქემოკლიძე, მარცხენა მცველი — „დილადან" გასასინჯად მოყვანილი 26 წლის ვახტანგ აკოფიანი, საყრდენი — გივი დიდავა, შუა ხაზი — კახა კვეტენაძე, ზურაბ იონანიძე და „ტორპედოში" იანვარში მისული, მაგრამ ავადმყოფობის გამო უთამაშებელი რომან ახალკაცი, თავდასხმა — მიხეილ აშვეთია და დავით ჯანაშია. შესვენების შემდეგ მწვრთნელმა შვიდი ფეხბურთელი შეცვალა. ტორპედოელთა რიგებში ვიხილეთ მეკარე დავით გვარამაძე, მალხაზ ასათიანი, ბორის გონჩაროვი, პაატა გვირჯიშვილი და ახალგაზრდა ფეხბურთელები „ტოპედოს" ფარმკლუბ „ინტერიდან" — ლაშა ჭელიძე, კახა ბერელიძე, დავით გამეზარდაშვილი.

ახლა თამაშზე. ტრადიციულმა სპარინგ-პარტნიორმა ჩვეულად მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ჩემპიონს. ქუთაისელებმა ვერც სასტარტო და მერე ვერც სახეშეცვლილი შემადგენლობით იხეირეს. ბრძოლა მეტწილად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა, აქედან საგოლე სიტუაციებიც ნაკლებად იქმნებოდა. პირველ ტაიმში მეტოქეებს თითოჯერ მიეცათ გატანის შანსი. ჯერ წყალტუბოელი ქუთათელაძე აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, ოღონდ კარში დარტყმის მომენტში მას ახალკაცმა დაუფარა, მერე იონანიძეს გაუცუდდა ახლოდან თავური.

მეორე ნახევარში ტორპედოელთა შორის მალხაზ ასათიანი გამოირჩეოდა, წყალტუბოელებს ხიფათს ის თუ უქმნიდა, ოღონდ ვერც მისმა გარჯამ გამოიღო ნაყოფი და მატჩიც ფრედ 0:0 დასრულდა.

მეორე საკონტროლო შეხვედრას „ტორპედო" დღეს გამართავს ზესტაფონში უმაღლეს ლიგაში აღზევებულ „მეტალურგთან".

ბოლოს ორიოდ სიტყვით „სამგურალზეც". მიუხედავად იმისა, რომ სამი წამყვანი მოთამაშე აკლდა (რევაზ კვერნაძე უნგრულ „დებრეცენში", ხოლო დავით ჭელიძე და შალვა ღონღაძე მოლდოვურ „ზიმბრუში" ისინჯებიან), წყალტუბოურმა გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. „სამგურალის" შემადგენლობაში ითამაშეს ალეკო შეყრილაძემ და გიორგი სუხიაშვილმა. „სამგურალი" დღეს ფოთში ჩავა და ამხანაგურად „კოლხეთს" გაეჯიბრება.

**იუზა ქაციტაძე ქუთაისიდან**

# დანიიდან ქუთაისში მომავალო...

## ძოძუაშვილმა ჯეფრის თუ აჯობა, რობსონთან და შმაიხელთან მოუწევს საქმის დაჭერა

**დიდი** შანსია, ივლისის ბოლოს იმერეთის მთავარ ქალაქს ისეთი ვარსკვლავები ეწვიონ, აქამდე არნახული. ცხადია, საფეხბურთო ვარსკვლავები გვყავს მხედველობაში — პიტერ შმაიხელი და ბრაიან რობსონი. ამისთვის ორი პირობაა შესასრულებელი: ქუთაისის „ტორპედომ" ჩემპიონთა თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩრდილოირლანდიურ „ლინფილდს" სძლიოს, დანიური „კოპენჰაგენის" თავკაცობამ კი წარმატებით გაასრულოს ზემოთნახსენებ ორ კაცთან დაწყებული მოლაპარაკებები. მაშინ სკანდინაველებს საქართველოში სწორედ ეს დუეტი ჩამოუძღვება.

ჯერჯერობით კი „კოპენჰაგენი" უმწვრთნელოდაა — ინგლისელი როი ჰოჯსონი მოულოდნელად იტალიაში გადაბარგდა და იქაურ „უდინეზეს" ჩაუდგა სათავეში. ამიტომაც დანიელები სასწრაფოდ დაფაცურდნენ, თუმცა ზოგიერთებივით პირველივე შემხვედრისთვის გუნდის მინდობას არ აპირებენ და „მიდლსბროდან" ახლახან წამოსულ ბრაიან რობსონს დაუკავშირდნენ, მის თანაშემწედ კი ლეგენდარულ მეკარე პიტერ შმაიხელს მოიაზრებენ. საინტერესოა, რომ რობსონი და შმაიხელი ოთხი წლის მანძილზე ერთად თამაშობდნენ „მანჩესტერ იუნაიტედში" და ერთმანეთს კარგად იცნობენ.

მოკლედ, ქუთაისი ელის, თუმცა მანამდე ბელფასტური წინაღობაა დასაძლევი.



ბრაიან რობსონი

**გიგა ძოგანიძე**

# ჰაჯი თანაგუნდელებს გაუბატონდა



გეორგე ჰაჯი დღეს-ხვალ რუმინეთის ნაკრების მწვრთნელობაზეც მოაწერს ხელს

**თავისი** საქმის მცოდნე ლადისლაუ ბოლონი სათნო ტიპი ჩანდა, სათვალის ტარებაც უხდებოდა და საქართველოს ნაკრებისნაირ უთავო გუნდებსაც მისი დამოძღვრილი ბიჭები მარჯვედ უსწორდებოდნენ, მაგრამ ეს ინტელიგენტი კაცი რუმინეთის ნაკრებიდან წავიდა, ლისაბონის „სპორტინგის" დამრიგებლობა არჩია. თითქმის გადაწყვეტილი ამბავია, ამიერიდან კარპატელთა ეროვნულ გუნდს გეორგე ჰაჯი გაწვრთნის...

ეს ამბავი მოულოდნელი არ ყოფილა. ბოლონის მემკვიდრედ სწორედ ჰაჯი მოიაზრებოდა, რომელმაც ახლახან, გასული სეზონის დამთავრებისთანავე დაასრულა საფეხბურთო კარიერა.

— ეროვნული გუნდის თავკაცობა ნებისმიერი ყოფილი ფეხბურთელისთვის დიდი პატივია. ფეხბურთში 26 წელი დავყავი, მათგან 18 პროფესიულ კარიერას შევალიე და ვთვლი, რომ ჩემთვის ფეხბურთში საიდუმლო არ არსებობს. ნაკრების გაწვრთნასაც შევძლებ და რომელიმე ძლიერი ევროპული კლუბისასაც — ეს სიტყვები ჰაჯიმ მაშინ თქვა, ფეხბურთელობას რომ ეთხოვებოდა.

რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციასა და „კარპატელ მარადონას" შორის წინასწარი შეთანხმება უკვე არსებობს და საცაა კონტრაქტსაც ხელი მოეწერება. ჰაჯის აგენტ იონ ბეკალის თქმით, ხელშეკრულებაში რაღაც დეტალებია დასაზუსტებელი, თორემ ფინანსური მხარე ჩემს კლიენტს დიდად არ ანაღვლებსო.

შეგახსენებთ, ჩვენი მეტოქე მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის VIII შესარჩევ ჯგუფში, რუმინეთის ნაკრები მეორე ადგილზეა, კორეა-იაპონიაში მოხვედრის ჩინებული შანსი აქვს და ჰაჯიც, ალბათ, საქმეს ბოლომდე მიიყვანს. „სტიაუაში", „რეალში", „ბარსელონაში", „ბრეშასა" და „გალათასარაიში" ნათამაშევ ფეხბურთელს ეროვნულ ნაკრებში 125 მატჩი ჩაუტარებია და 35 გოლი გაუტანია, მისი სამწვრთნელო დებიუტი კი ეროვნული გუნდის ოფიციალურ შეხვედრაში 5 სექტემბერს შედგება სტუმრად უნგრელებთან.

ჰო, რას შეუფუცხუნებს ავყია გეორგი ფეხბურთელებს...

**დავით თაგართქილაძე**

# ჯამარაულის არა დასრულდა
## გოჩა ნაკრებში ითამაშებს

„ქართველ ქომაგთან ბოდიში — მე ნაკრებში აღარ ვითამაშებ, მომბეზრდა. ისრაელთან ამხანაგური მატჩისთვის კი გამომიძახეს, მაგრამ თბილისში არ ჩამოვალ. ჯობს, ციურიხში დავრჩე. აქ მენდობიან და მათამაშებენ კიდეც. ახლა ასე გადავწყვიტე, მერე ვნახოთ“ — აპრილში ამბობდა „ციურიხის“ ნახევარმცველი გოჩა ჯამარაული.

„ხომ ვთქვი, ნაკრებში არ ვითამაშებ. ამისი ვარიანტი არ არის. მოვა დრო და დავით ყიფიანს დაველაპარაკები. გაიგეთ, ძალიან გულნატკენი ვარ. ქომაგებთან ერთხელაც ვიხდი ბოდიშს, მაგრამ უგულოდ თამაშს მიჯობს, საერთოდ არ ვითამაშო, გინდ იტალია იყოს მეტოქე, გინდ სხვა“ — მაისშიც იგივეს აცხადებდა გოჩა ჯამარაული. ის ძოძუაშვილისა და ყიფიანის გაწვრთნილ ნაკრებში თამაშს უარობდა.

და ახლა, როცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრებიდან ორივე მწვრთნელი გაათავისუფლა, გუნდი უმწვრთნელოდაა და დიდი შანსია, მიმდინარე შესარჩევი ციკლი ნაკრებმა ალექსანდრე ჩივაძის ხელმძღვანელობით ჩაამთავროს, გოჩა ჯამარაული უწინდელ გადაწყვეტილებას ცვლის და გვეუბნება:

— თუ ეროვნული გუნდის ახალი მწვრთნელი გამომიძახებს და ჩემს თამაშს საჭიროდ ჩათვლის, მზად ვიქნები. მაშინ ნაწყენი ვიყავი, გულნატკენი, შანსს არ მაძლევდნენ, ნაკრებში ჩემი შესაძლებლობები დამემტკიცებინა. ამიტომაც ვიუარე ეროვნულ გუნდში თამაში. რა აზრი ჰქონდა, მატჩებისთვის ნაკრებთან ერთად მოვემზადებულიყავი, ვიცოდი, როგორ ფორმაშიც უნდა ვყოფილიყავი, მაინც არ მათამაშებდნენ. ახლა კი ჩათვალეთ, რომ ჯამარაული, როგორც ადრე, ნაკრების წარმატებისთვის ყველაფერს გააკეთებს. ეროვნულ გუნდში ვითამაშებ, ყოველ შემთხვევაში, ამის სურვილი მაქვს, დანარჩენი ახალი მწვრთნელის გადასაწყვეტია.

გოჩა ჯამარაული ახლა შვეიცარიაშია და თავის გუნდთან ერთად უკვე ორი კვირაა, ახალი სეზონისთვის ემზადება.

საქართველოს ნაკრების მეორე დისიდენტი, „ფრაიბურგის“ თავდამსხმელი ალექსანდრე იაშვილი კი ამჟამად პორტუგალიაშია და მასთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ, თუმც გავიგეთ, რომ ნაკრებში თამაშზე ისიც თანახმაა და უახლოესი მატჩისთვის გამოძახებასაც ელის.



ერთი სიტყვით, ყველაფერი მოგვარდა, ჯამარაულიც და იაშვილიც ნაკრებს უბრუნდებიან. თუმცა კი ჯერ ისაა გასარკვევი, რომელი მწვრთნელის ხელში...

**კობა ინასარიძე**

# გადახვეწილნი შეხვეწნელად გადმოიხვეწნენ
## გორდას შანსი რუსთავმა უნდა გამოიყენოს!



თემურ ბუიღლიშვილი

**მეშვიდე** ეროვნულ ჩემპიონატში — 1995-96 წლების სეზონში რუსთავის „გორდა“ ახლოს იყო უეფას თასის საგზურთან, გუნდმა მხოლოდ ბოლო ტურის მატჩში, შინაურ კედლებში „მარგვეთთან“ დამარცხებით დაკარგა ევროსარბიელზე მოხვედრის შანსი. მას შემდეგ უკან და უკან წავიდა რუსთაველთა საქმე. ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი და თასის ფინალისტი გუნდი მომდევნო სეზონში მეათე ადგილზე გავიდა, შემდეგ მეთერთმეტეზე, დღემდე კი რჩეულთა შორის დარჩენაზე უხდებოდა ფიქრი.

„გორდას“ დაჩაჩანაკების უმთავრესი მიზეზი უფულობაა. სწორედ ამან მიმოფანტა სხვადასხვა გუნდში ნიჭიერი რუსთაველი ფეხბურთელები. წლების მანძილზე კლუბს პატრონი არ ჰყავდა, მწვრთნელები და ფეხბურთელები ენთუზიაზმის ხარჯზე გაღიოდნენ ფონს. მხოლოდ გასული ჩემპიონატის წინ გამოუჩნდა გუნდს პატრონი და პერსპექტივა. კლუბი თბილისელმა ბიზნესმენმა თემურ ბუიღლიშვილმა ჩაიბარა.

ახალმა პრეზიდენტმა უმალ გადაჭრა ხელფას-პრემიების პრობლემა, გაარემონტა სტადიონის ტრიბუნები, გემოვნებით მოაწყო საშხაპე-გასახდელები და ერთი შეხედვით, „გორდას“ საქმეც უკეთესობისკენ წავიდა. ბუიღლიშვილმა კონტაქტი დაამყარა „ჯეოსელის“ წარმომადგენლობასთან. „გორდას“ სოლიდური სპონსორის პერსპექტივა გამოუჩნდა, ხელშეკრულების გაფორმებას ბევრიც არაფერი უკლდა, თურქული ფირმა თანახმა იყო, კლუბში ინვესტიციის ჩადებაზე, მაგრამ ისევ ქართველებმა ჩაუშალეს აწყობილი საქმე ბუიღლიშვილს და საბოლოოდ „გორდა“ კვლავაც მხოლოდ მისი მარიფათის იმედზე დარჩა.

დღეს კი რუსთავულ კლუბს ახალი პერსპექტივა გამოუჩნდა. მისი განხორციელება გუნდის ბედს საპირისპიროდ შეცვლის. მაგრამ ისევ და ისევ ფულია საჭირო...

ცოტა ხნის წინ გუნდი მთავარმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ დატოვა, „გორდას“ იასონ ალადაშვილი დაუბრუნდა და რამდენიმე დღის წინ სეზონისთვის მზადება განაახლა.

გუნდის პირველ ვარჯიშზე მისული პრეზიდენტი სახტად დარჩა... ძმები ვარლამ და გიორგი კილასონიები, ნიკა ტოგონიძე, ნუგზარ ლობჟანიძე, ზურაბ არჩვაძე, ლევან სილაგაძე, ანდრო კოროშინაძე — ესენი დღეს „გორდასთან“ ერთად ემზადებიან და უმრავლესობას მშობლიური ქალაქის გუნდის დახმარების სურვილი აქვს. ამ ფეხბურთელებით საპრიზო ადგილზე გასვლა შეიძლებაო, ჩაილაპარაკა ბუიღლიშვილმა.

„ჩემი ქალაქის გუნდზე გული შემტკივა. „გორდა“ უკეთესი მდგომარეობის ღირსია... შეხედეთ ამ ხალხს, თითოეული მათგანი რუსთაველია და ელემენტარული პირობების შექმნის შემთხვევაში სხვაგან წასვლა ფიქრადაც არ მოუვა. ამ შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლება. ბუიღლიშვილს მხარში ამოდგომა უნდა და გარწმუნებთ, ამ შემადგენლობით გუნდს ჩემპიონობისთვის ბრძოლაც შეეძლებაო“ — გვითხრა ვარლამ კილასონიამ, რომელსაც, ისევე როგორც მის ძმას, აზერბაიჯანული „თურანი“ პირობების გაუმჯობესებას სთავაზობს, მაგრამ ძმები გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობენ. ორივეს გული „გორდასკენ“ მიუწევს.

კლუბის ხელმძღვანელთა სიტყვას ელიან ნიკა ტოგონიძე და ანდრო კოროშინაძეც. უეფასგან ამნისტიას ელის დისკვალიფიცირებული ნუგზერ ლობჟანიძე და ისიც მზადაა, მშობლიურ გუნდს შეეშველოს. „ტორპედოდან“ თითქმის წამოსული ლევან სილაგაძე „გორდასთან“ ერთად კი ემზადება, მაგრამ საეჭვოა, იგი რუსთავში დარჩეს, ისევე როგორც ზურაბ არჩვაძე, მაგრამ გამორიცხული არაა, ეს ორი ფეხბურთელი ახალი სეზონიდან „ფოლადზე“ ვიხილოთ, თუ, რა თქმა უნდა, სასწაულს მოახდენს ბუიღლიშვილი...

„ვხედავ, რომ გადამწყვეტი მომენტი გვიდგას. თუ შევძელით და ეს ფეხბურთელები დავიმატეთ, დიდი საქმე გაკეთდება. ჩემი სურვილიც ეს არის, მაგრამ ჯერჯერობით ფინანსურად ცუდ დღეში ვართ, არავისგან არანაირი ხელშეწყობა არ გვაქვს. ყველაფერი რამდენიმე დღეში გადაწყდება. თუ ჩემს მიერ წამოწყებულ ერთ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ, გადაჭრით შემიძლია განვაცხადო, რომ ამ ფეხბურთელებს ახალი სეზონიდან „გორდაში“ იხილავთ. თუ არა და მე ვერავის ვერაფერს დავპირდები, რადგან სიტყვის შეუსრულებლობას, ჩემს თავს ვერ ვაპატიებ“ — გვითხრა ბუიღლიშვილმა.

ეს კაცი რომ მარტო შეჭიდებია საქმეს, ფაქტია. „გორდას“ ქალაქის ხელმძღვანელობიდან არანაირი დახმარება არა აქვს. დახმარებას ვინ ჩივის, საგადასახადო ინსპექციამ ლამის ტყავი გააძროს კლუბს. მიწის გადასახადს (წლიურად 45 000 ლარი) თავი რომ დავანებოთ, ბუიღლიშვილს ხელფასებთან ერთად გუნდის კვებაზე დახარჯულ თანხასაც უბეგრავენ. „აქამდე ქუდს დავიხურავდი და წავიდოდი, მაგრამ ბიჭებს ქუჩაში ვერ დავტოვებ, თანაც დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა მიყვარს და მჯერა, ღვთის მადლით, ჩემს მიზანს განვახორციელებ“.

ბუიღლიშვილის მიზანი რუსთავში მძლავრი საფეხბურთო სკოლის შექმნა და „გორდასთვის“ ნიჭიერი კადრების გაზრდაა. საამისოდ პრეზიდენტმა პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა და „ფოლადის“ გვერდით მდებარე სათამაშო მინდორის რეკონსტრუქცია დაიწყო. მოედანი ნოემბერში მზად იქნება. „გორდას“ კი მთელმა ქალაქმა უნდა მიაქციოს ყურადღება. შანსი მიეცა და მისი ხელიდან გაშვება არ შეიძლება.

**ბაადა ძგანტალიანი**

## საქართველოს უმაღლესი ლიგის 13 ჩემპიონატი — პირველი ეტაპი
# კალენდარი

### პირველი წრე

**პირველი ტური**

28 ივლისი, შაბათი
ტორპედო — ლოკომოტივი
კოლხეთი — სამგურალი
გურია — მერანი
სიონი — დინამო
გორდა — ვიტ ჯორჯია
ბათუმი — მეტალურგი

**მეორე ტური**

4 აგვისტო, შაბათი
ლოკომოტივი — მეტალურგი
დინამო — გორდა
სამგურალი — გურია
5 აგვისტო, კვირა
ტორპედო — კოლხეთი
მერანი — სიონი
ვიტ ჯორჯია — ბათუმი

**მესამე ტური**

12 აგვისტო, კვირა
კოლხეთი — ლოკომოტივი
გურია — ტორპედო
სიონი — სამგურალი
გორდა — მერანი
ბათუმი — დინამო
მეტალურგი — ვიტ ჯორჯია

**მეოთხე ტური**

18 აგვისტო, შაბათი
ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია
დინამო — მეტალურგი
სამგურალი — გორდა
ტორპედო — სიონი
კოლხეთი — გურია
19 აგვისტო, კვირა
მერანი — ბათუმი

**მეხუთე ტური**

26 აგვისტო, კვირა
სიონი — კოლხეთი
გორდა — ტორპედო
ბათუმი — სამგურალი
მეტალურგი — მერანი
27 აგვისტო, ორშაბათი
გურია — ლოკომოტივი
ვიტ ჯორჯია — დინამო

**მეექვსე ტური**

8 სექტემბერი, შაბათი
ლოკომოტივი — დინამო
სამგურალი — მეტალურგი
ტორპედო — ბათუმი
კოლხეთი — გორდა
გურია — სიონი
9 სექტემბერი, კვირა
მერანი — ვიტ ჯორჯია

**მეშვიდე ტური**

16 სექტემბერი, კვირა
გორდა — გურია
ბათუმი — კოლხეთი
ვიტ ჯორჯია — სამგურალი
მეტალურგი — ტორპედო
17 სექტემბერი, ორშაბათი
სიონი — ლოკომოტივი
დინამო — მერანი

**მერვე ტური**

22 სექტემბერი, შაბათი
ლოკომოტივი — მერანი
სამგურალი — დინამო
გურია — ბათუმი
23 სექტემბერი, კვირა
ტორპედო — ვიტ ჯორჯია
კოლხეთი — მეტალურგი
სიონი — გორდა

**მეცხრე ტური**

30 სექტემბერი, კვირა
მერანი — სამგურალი
ბათუმი — სიონი
მეტალურგი — გურია
ვიტ ჯორჯია — კოლხეთი
1 ოქტომბერი, ორშაბათი
გორდა — ლოკომოტივი
დინამო — ტორპედო

**მეათე ტური**

9 ოქტომბერი, სამშაბათი
ლოკომოტივი — სამგურალი
ტორპედო — მერანი
კოლხეთი — დინამო
გურია — ვიტ ჯორჯია
სიონი — მეტალურგი
გორდა — ბათუმი

**მეთერთმეტე ტური**

13 ოქტომბერი, შაბათი
ბათუმი — ლოკომოტივი
მეტალურგი — გორდა
ვიტ ჯორჯია — სიონი
დინამო — გურია
მერანი — კოლხეთი
სამგურალი — ტორპედო

### მეორე წრე

**მეთორმეტე ტური**

20 ოქტომბერი, შაბათი
მერანი — გურია
დინამო — სიონი
21 ოქტომბერი, კვირა
ლოკომოტივი — ტორპედო
სამგურალი — კოლხეთი
ვიტ ჯორჯია — გორდა
მეტალურგი — ბათუმი

**მეცამეტე ტური**

27 ოქტომბერი, შაბათი
მეტალურგი — ლოკომოტივი
ბათუმი — ვიტ ჯორჯია
გორდა — დინამო
სიონი — მერანი
გურია — სამგურალი
კოლხეთი — ტორპედო

**მეთოთხმეტე ტური**

4 ნოემბერი, კვირა
ლოკომოტივი — კოლხეთი
ტორპედო — გურია
სამგურალი — სიონი
მერანი — გორდა
ვიტ ჯორჯია — მეტალურგი
5 ნოემბერი, ორშაბათი
დინამო — ბათუმი

**მეთხუთმეტე ტური**

9 ნოემბერი, პარასკევი
ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი
მეტალურგი — დინამო
ბათუმი — მერანი
გორდა — სამგურალი
სიონი — ტორპედო
გურია — კოლხეთი

**მეთექვსმეტე ტური**

17 ნოემბერი, შაბათი
დინამო — ვიტ ჯორჯია
კოლხეთი — სიონი
ტორპედო — გორდა
სამგურალი — ბათუმი
მერანი — მეტალურგი
18 ნოემბერი, კვირა
ლოკომოტივი — გურია

**მეჩვიდმეტე ტური**

24 ნოემბერი, შაბათი
დინამო — ლოკომოტივი
მეტალურგი — სამგურალი
ბათუმი — ტორპედო
გორდა — კოლხეთი
სიონი — გურია
25 ნოემბერი, კვირა
ვიტ ჯორჯია — მერანი

**მეთვრამეტე ტური**

29 ნოემბერი, ხუთშაბათი
გურია — გორდა
კოლხეთი — ბათუმი
ტორპედო — მეტალურგი
სამგურალი — ვიტ ჯორჯია
მერანი — დინამო
30 ნოემბერი, პარასკევი
ლოკომოტივი — სიონი

**მეცხრამეტე ტური**

2 მარტი, შაბათი
მერანი — ლოკომოტივი
დინამო — სამგურალი
ვიტ ჯორჯია — ტორპედო
მეტალურგი — კოლხეთი
ბათუმი — გურია
გორდა — სიონი

**მეოცე ტური**

10 მარტი, კვირა
ლოკომოტივი — გორდა
სიონი — ბათუმი
გურია — მეტალურგი
კოლხეთი — ვიტ ჯორჯია
ტორპედო — დინამო
სამგურალი — მერანი

**ოცდამეერთე ტური**

17 მარტი, კვირა
სამგურალი — ლოკომოტივი
მერანი — ტორპედო
დინამო — კოლხეთი
ვიტ ჯორჯია — გურია
მეტალურგი — სიონი
ბათუმი — გორდა

**ოცდამეორე ტური**

22 მარტი, პარასკევი
ლოკომოტივი — ბათუმი
გორდა — მეტალურგი
სიონი — ვიტ ჯორჯია
გურია — დინამო
კოლხეთი — მერანი
ტორპედო — სამგურალი

სათასო დღეებია:
12 და 26 სექტემბერი, 16 და 31 ოქტომბერი,
13 ნოემბერი და 4, 8 დეკემბერი, 24 თებერვალი და 6 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატი

ARGENTINA 2001

# მორეკორდო სიტუაცია

## აკიჰირო ნიშიმურა დურუ ხუნჭუასავით მუშაობს



ეთიოპია — ჰოლანდია. ელიჰუ ბეკელე ჰოლანდიელ იუსუფს (№10) დარტყმას არ ანებებს

აი, ჯგუფური ეტაპიც დასრულდა. გაირკვა პლეი ოფში მონაწილეთა ვინაობა. თითქმის ყველაფერი პროგნოზირებადი სცენარით წარიმართა.

კიდევ ერთხელ გააოცა საფეხბურთო სამყარო იაპონიამ. წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე იაპონელი ჭაბუკების ბრწყინვალე შედეგმა, ბუნებრივია, გულშემატკივარი მათდამი სიმპათიით განაწყო, თუმცაღა, გუნდმა არგენტინაში ორი ისეთი თამაში წააგო, ყველამ ხელი ჩაიქნია. შემდეგ კი მოვლენები სწორედ ისე განვითარდა, როგორც ფილმში „რეკორდი", სადაც დურუ ხუნჭუას ნამეცადინარმა ჯოტია ცაავამ რაიონის მაღალჩინოსანთა თანდასწრებით ვერაფრით გამოიჩინა თავი. მაგრამ, როგორც კი ხალხი დაიშალა, ისეთი ისროლა რომ...

იაპონელებმა როგორც კი იგრძნეს გულშემატკივარმა ჩვენზე ხელი ჩაიქნიაო, მწვრთნელ აკიჰირო ნიშიმურასგან შეგულიანებულებმა, ისეთი საფეხბურთო სპექტაკლი მოაწყვეს, თქვენი მოწონებული... ბოლო 15 წუთში სამი ერთი-მეორეზე უკეთესი გოლი გაიტანეს ჩეხეთის კარში და ჯოტია ცაავასავით თავაწეულები გაემგზავრნენ შინ.

### III ტური

### A ჯგუფი

**არგენტინა 5:1 იამაიკა**

1:0 კოლოჩინი (3), 2:0 სავიოლა (7), 3:0, 4:0 ე. ერერა (14, 38), 4:1 დავკინსი (78), 5:1 სავიოლა (86პ)

**ფინეთი 1:2 ეგვიპტე**

0:1 ჰამზა (10), 0:2 რეიადი (62), 1:2 სოლუნდი (74)

**არგენტინელთა** მწვრთნელმა ხოსე პეკერმანმა მატჩის წინ აღნიშნა: „ჩემპიონატის ფავორიტები ჩვენთან ერთად არიან ბრაზილია და საფრანგეთი, თუმცა, მე მათ შესაძლებლობებში დარწმუნებული არა ვარ. ბრაზილიელები თამაშისას ერთგვარ ფერისცვალებას განიცდიან. მოედანზე „ძილის" უფლებასაც კი აძლევდნენ თავს. ამგვარი ქმედება მეტად სახიფათოა, ასეთი თამაშის სტილით, ვფიქრობ, ისინი შორს ვერ წავლენ. ყოველი მატჩისადმი სერიოზული მიდგომაა საჭირო".

და სწორედ ფეხბურთისადმი სერიოზული მიდგომით გააგრძელეს დიდანგარიშიან გამარჯვებათა სერია სამხრეთამერიკელებმა. არგენტინამ ამჯერად იამაიკა იმსხვერპლა — 5:1.

ამ ჯგუფის მეორე მატჩი ეგვიპტესა და ფინეთის გუნდებს შორის საკმაოდ დაძაბული გამოდგა. ფინელებს ორი მატჩის ჯამში სამი ქულა ჰქონდათ და საკმაოდ კარგ შანსს ფლობდნენ შემდეგომ ეტაპზე გასვლისთვის. ამ მიზნის მისაღწევად მათ ფრეც ჰყოფნიდათ, თუმც ეგვიპტემ მეტად ორგანიზებული თამაში შესთავაზა ევროპელებს და ორი ბურთით დაწინაურდა. ფინელებმა მხოლოდ პრესტიჟის გოლის გატანა შესძლეს და მერვედფინალის საგზური მეტოქეს გადაულოცეს.

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 3 | 3 | 0 | 0 | 14:2 | 9 |
| ეგვიპტე | 3 | 1 | 1 | 1 | 3:8 | 4 |
| ფინეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| იამაიკა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 1 |

არგენტინა და ეგვიპტე გავიდნენ მერვედფინალში

### B ჯგუფი

**ბრაზილია 2:0 კანადა**

1:0 ადრიანო (21), 2:0 რობერტი (65)

**გერმანია 3:1 ერაყი**

0:1 ლაპაჩინსკი (37ს.კ.), 1:1 პროისი (40), 2:1 ცეპეკი (60), 3:1 აუერი (65)

**ბრაზილიელმა** და გერმანელმა ჭაბუკებმა მორიგი გამარჯვებები იზეიმეს. უნდა აღინიშნოს, რომ ბრაზილიის ნაკრებმა კანადელებთან აშკარად მოზომილად ითამაშა და შედეგიც, წინა მატჩებისგან განსხვავებით, ერთგვარად მოკრძალებული ჰქონდა — მათ მხოლოდ ორბურთიანი სხვაობით დაჩაგრეს მეტოქე.

გერმანელებმა ერაყელები დაამარცხეს და აღიდგინეს შელახული რეპუტაცია, რაც პირველ ტურში მათ უგერგილო თამაშს მოჰყვა.

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 3 | 3 | 0 | 0 | 10:1 | 9 |
| გერმანია | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 |
| ერაყი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:9 | 3 |
| კანადა | 3 | 0 | 0 | 3 | 0:9 | 0 |

ბრაზილია და გერმანია გავიდნენ მერვედფინალში

### C ჯგუფი

**აშშ 1:1 უკრაინა**

1:0 არენა (39), 1:1 სტოიანი (89)

**ჩინეთი 0:1 ჩილე**

0:1 ბერიოსი (87)

**მესამე** ტურის წინ უკრაინისა და აშშ-ს გუნდების შეხვედრა ევროპელთათვის არაფერს წყვეტდა, რის გამოც თავს უფლება მისცეს, მერვედფინალის წინ, აშშ-ს გუნდი ხარისხ-ვარჯიშისგან რად გამოეყენებინათ. თამაში უდიდმამოდ წარიმართა, პირველ ტაიმში ამერიკელები დაწინაურდნენ და უკრაინელებმა მხოლოდ მეორე ტაიმის ბოლო წუთებზე შეძლეს ანგარიშის გათანაბრება.

კარი გაიჯახუნა ჩილემაც, რომელმაც პირველი ორი თამაში წააგო. ამჯერად კი მან, მიუხედავად მინიმალური ანგარიშით გამარჯვებისა, აშკარად დაჯაბნა მეტოქე — ჩინეთის გუნდი, რომელსაც წინა ორ მატჩში მოპოვებული ოთხი ქულა ჩილესთან ერთგვარი განმუხტვის საშუალებას აძლევდა.

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| აშშ | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| ჩინეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| ჩილე | 3 | 1 | 0 | 2 | 4:8 | 3 |

უკრაინა, აშშ და ჩინეთი გავიდნენ მერვედფინალში

### D ჯგუფი

**ანგოლა 1:1 ავსტრალია**

1:0 მანტორაში (12), 1:1 ოუენსი (82)

**ჩეხეთი 0:3 იაპონია**

0:1 მორისაკი (74), 0:2 იამასე (80), 0:3 ტაპარა (87)

**წინა ტურის** მიმოხილვისას ვვარაუდობდით, რომ ანგოლა — ავსტრალიის მატჩი ფრედ დასრულდებოდა, რამდენადაც ეს გახლდათ სწორედ ის შედეგი, რომელიც ორივე გუნდს მერვედფინალში გასვლის შესაძლებლობას აძლევდა. ასეც მოხდა. მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს და მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს.

მერვედფინალგანაღდებულ ჩეხეთს იაპონიამ ბოლო 15 წუთი ფეხბურთის ბრწყინვალე გაკვეთილი ჩაუტარა — სამი ერთიმეორეზე უკეთესი გოლი გაუტანა და კარი საკმაოდ ძლიერად გაიჯახუნა.

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანგოლა | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| ჩეხეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ავსტრალია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| იაპონია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |

ანგოლა, ჩეხეთი და ავსტრალია გავიდნენ მერვედფინალში



ანგოლა — ავსტრალია. ჭერა ანგოლელი კიკასი და ავსტრალიელი სომეხი გევორქ გულესერიანი

### E ჯგუფი

**ეკვადორი 0:1 კოსტა რიკა**

0:1 ჯ. ერნანდესი (85)

**ეთიოპია 2:3 ჰოლანდია**

0:1 კოკი (22), 0:2 შერსი (41), 1:2 ზევდუ (52), 1:3 ბუნტელაარი (78), 2:3 ანდარგაჩუ (90)

**კვლავ** საუკეთესო თამაში აჩვენა კოსტა რიკამ, რომელმაც მესამე მატჩიც მოიგო, ამჯერად ეკვადორთან და გულშემატკივართა წინაშე წარსდგა, როგორც ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი.

ძალას იკრებს ჰოლანდიაც, რომელმაც დამაჯერებლად დაამარცხა ეთიოპია — 3:2, მატჩისას ევროპელები ორგზის იგებდნენ ორბურთიან უპირატესობით. ეთიოპელებმა მხოლოდ შეხვედრის მიწურულს შეძლეს სხვაობის მინიმუმამდე შემცირება.

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოსტა რიკა | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 9 |
| ეკვადორი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ჰოლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| ეთიოპია | 3 | 0 | 0 | 3 | 4:8 | 0 |

კოსტა რიკა, ეკვადორი და ჰოლანდია გავიდნენ მერვედფინალში

### F ჯგუფი

**განა 0:0 საფრანგეთი**

**პარაგვაი 2:0 ირანი**

1:0 ხ. გონსალესი (72), 2:0 ფ. ხიმენესი (89)

**ტურის** დასკვნითმა მატჩმა განასა და საფრანგეთს შორის, როგორც ვვარაუდობდით, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე ჩაიარა. ორივე მეტოქეს განაღდებული ჰქონდა შემდგომ ეტაპზე გასვლა, ამიტომაც ფრე და ძმურად გაყოფილი ქულები ამ მატჩში მონაწილეთათვის მართლაც, სასურველი შედეგი იყო.

პარაგვაიმ ირანი დაამარცხა, საფრანგეთთან მოპოვებულ ერთ ქულას კიდევ სამი დაუმატა და მესამე ადგილზე გავიდა. მესამეადგილოსნისთვის კი ოთხი ქულა მერვედფინალში გასვლის გარანტია გახლდათ.

**მამუკა ნაცვალაძე**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| განა | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| საფრანგეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 7:2 | 5 |
| პარაგვაი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| ირანი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:8 | 0 |

განა, საფრანგეთი და პარაგვაი გავიდნენ მერვედფინალში

**მერვედფინალი**

27 ივნისი
- აშშ — ეგვიპტე
- საფრანგეთი — გერმანია
- არგენტინა — ჩინეთი
- ბრაზილია — ავსტრალია

28 ივნისი
- უკრაინა — პარაგვაი
- კოსტა რიკა — ჩეხეთი
- ანგოლა — ჰოლანდია
- განა — ეკვადორი

**მეოთხედფინალი**

1 ივლისი
- I წყვილის გამარჯვებული — II წყვილის გამარჯვებული
- III წყვილის გამარჯვებული — IV წყვილის გამარჯვებული
- VII წყვილის გამარჯვებული — VIII წყვილის გამარჯვებული
- V წყვილის გამარჯვებული — VI წყვილის გამარჯვებული

# ევროპის ქალთა ჩემპიონატი

# OK O.B.

## სრულყოფილი დაცვა მთელი ჩემპიონატის მანძილზე



შვედი იანე ტორნკვისტი და გერმანელი დორის ფიტშენი

### I ტური. A ჯგუფი

**გერმანია 3:1 შვედეთი**

0:1 ჰანა ლიუნგბერგი (14), 1:1, 2:1 კლაუდია მიოლერი (42, 65), 3:1 მარენ მაინერტი (78)

**რუსეთი 1:1 ინგლისი**

0:1 ანჯელა ბენქსი (45), 1:1 ალექსანდრა სვეტლიცკაია (63)

**შვედეთის** სტადიონებზე სხვა სარეკლამო ფარებს შორის ისეთებიც დგას, რომლებიც მაყურებელს მოუწოდებს, ამა და ამ ფირმის ჰიგიენური საშუალებები გამოიყენეთო. ამ შინაარსის რეკლამები გვაფიქრებინებს, რომ ქალთა ევროპის ჩემპიონატის მაყურებელთა შორის სუსტი სქესის წარმომადგენლები მრავლად არიან, თორემ მინდორზე ოცდაორი ქალი რომ დარბის, ვეჭვობთ, რეკლამების სათვალიერებლად ეცალოთ.

ჩემპიონატი მოქმედი გერმანიისა და შვედეთის მატჩით გაიხსნა. უფრო სწორად, მატჩს ცერემონიალი უძღვოდა, რომელზეც ბავშვთა გუნდმა ინგლისური სიმღერა შეასრულა, რასაც მექსიკური ცეკვა მოჰყვა, თუმც, როგორც ალვნიშნეთ, ჩემპიონატი ევროპისაა.

როგორც მოსალოდნელი იყო, გერმანიამ შვედეთი დაამარცხა. გამარჯვების მთავარი შემოქმედი კი კლაუდია მიულერი გახდა, რომელმაც ორი გოლი შეაგდო. გერმანელთა მწვრთნელმა ტინა ტეუნმეირმა თქვა, შეხვედრის ბოლოს დაღლა დაგვეტყო, თუმცა შედეგით კმაყოფილი ვარ, განსაკუთრებით ჩვენი მეორე გოლი მომეწონა, მიულერის ჩვეულ სტილში გატანილიო. ჩვენთვის ცოტა არ იყოს, გაუგებარია, ქალბატონი მწვრთნელი გერდ მიულერის სტილს გულისხმობდა თუ კლაუდიას საკუთარი გააჩნია.

საინტერესო აზრი გამოთქვა შვედთა ნახევარმცველმა მალინ ანდერსონმა, ძალიან კარგად ვითამაშეთ, მაგრამ დავმარცხდითო.

მთლიანობაში, თამაში თვალსასეირო ყოფილა, რაკი გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი გერჰარდ მაიერ ფორტფელდერი გვამცნობს, მაყურებლები ერთობ კმაყოფილნი დარჩნენო.

ჯგუფის მეორე შეხვედრაში რუსი და ინგლისელი გოგონები მშვიდობიანად გაიყარნენ, თუმცა არა, ორთაბრძოლაში რეიჩელ უნიტი დაშავდა და მტკივანი კუნთით უბრუნდება ოჯახს.

რუსთა მწვრთნელმა იური ბისტრიცკიმ (ვაჰ, კაცი?!) თქვა, ჩემმა გოგოებმა ახლა მეორე ადგილისთვის უნდა იბრძოლონ, რაკი ვეჭვობ, გერმანიის დამარცხება შევძლოთო.

იგივეს ფიქრობს ინგლისელი ჰოუპ პაუელი: „ჩვენი ჯგუფიდან გასვლის ამბავი შვედებთან მატჩში გადაწყდება. აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ, რადგან გერმანიასთან ერთობ გაგვიჭირდება".

თავდამსხმელმა ანჯელა ბენქსმა (მისი გორდონ ბენქსთან ნათესაური კავშირი ვერ დავადგინეთ) ინგლისელთა საპასუხო გოლი გაიტანა და თქვა, კიდევ კარგი, არ წავაგეთ, ცხადია, მოგება გვერჩივნა, მაგრამ არც ფრეა ცუდი შედეგიო.

ამავე შეხვედრაში ინგლისელთა ნახევარმცველმა კარენ ბურკსმა ნაკრების მაისურა ორმოცდამეათედ მოირგო.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| რუსეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ინგლისი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| შვედეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

II ტური, 27 ივნისი: გერმანია — რუსეთი; შვედეთი — ინგლისი

III ტური, 30 ივნისი: ინგლისი — გერმანია; შვედეთი — რუსეთი



ტორპედო ზილ — ტორპედო. ტორპედოელმა დმიტრი ვიაზმიკინმა (№19) ზედიზედ მეშვიდე მატჩში გაიტანა

# საბრძოლო ფრე

## ახალრუსული ვითარება ძველი სიტყვებით

### რუსეთი

XIV ტური

**ჩერნომორეცი 1:4 ზენიტი**

0:1, 0:2 დემენკო (31, 47), 0:3 კობელევი (63), 0:4 პოპოვიჩი (65), 1:4 სნიტკო (80)

**როტორი 1:1 ანჟი**

1:0 ზუბკო (38), 1:1 რამაზანოვი (55)

**როსტსელმაში 3:0 ალანია**

1:0 აკოპიანცი (4), 2:0, 3:0 კირიჩენკო (39, 82)

**ტორპედო ზილ 1:1 ტორპედო**

0:1 ვიაზმიკინი (32), 1:1 კლიმოვი (89)

**სატურნი 2:0 კრილია**

1:0 როგაჩოვი (73), 2:0 კეჩინოვი (82)

**ფაკელი 1:2 დინამო**

0:1 ბულიკინი (36), 1:1 საფრონოვი (53), 1:2 ბულიკინი (81)

**ცსკა 4:0 სოკოლი**

1:0 ფილიპენკოვი (28), 2:0 სემაკი (35), 3:0 დ. პოპოვი (58), 4:0 კორნაუხოვი (65პ)

**სპარტაკი 1:0 ლოკომოტივი**

1:0 ტიტოვი (21)

**ტურის** მთავარი მატჩი, ცხადია, „სპარტაკი“ — „ლოკომოტივი“ იყო. მოლოდინს ისიც ამძაფრებდა, რომ მოგების შემთხვევაში „სპარტაკი“ ლიდერი ხდებოდა. არადა, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ამდენი ტური მიილია და „სახალხო გუნდი“ ცხრილის პირველ საფეხურზე აქამდე არ ყოფილა.

თამაშში ბლომად სახიფათო მომენტი შეიქმნა და, შესაბამისად, კარგი საყურებელიც იყო, თუმცა კარის ბადე მხოლოდ ერთხელ შეირხა — ეგორ ტიტოვი საჯარიმოს კიდესთან მეურვეს გაექცა და გაიტანა. საერთოდ კი „სპარტაკი“ პირველ ტაიმში უფრო აქტიური იყო, ხოლო „ლოკომოტივი“ შესვენების მერეღა გამოცოცხლდა და მეტოქე გვარიანად ანერვიულა. თუმცა საბოლოოდ რაც გამოვიდა, ცხრილიდანაც ჩანს.

ამ ტურში ისტორიაში პირველი ტორპედოული დერბი გაიმართა — ლუჟნიკის „ტორპედო“ უმაღლეს ლიგაში წლეულს აღზევებულ ავტოქარხნის „ტორპედო ზილს“ დაუპირისპირდა. გაუცნობიერებელი მკითხველი შეიძლება დაიბნეს, ეს ორი „ტორპედო“ რაღა ჯანდაბააო და მართალიც იქნება, რადგან „ნამდვილი „ტორპედოს“ ამბავი რუსი ქომაგებისთვისაც დღემდე საკამათოა. თუმცა, ოფიციალურად „ნამდვილი „ტორპედო“ „ზილია“, რადგან დაარსების წლად 1924 წელი უწერია, ავტოქარხნის გუნდია, თამაშობს „ტორპედოს“ სტადიონზე და ვარჯიშობს ამ კლუბის ბაზაზე მიაჩკოვოში. მასვე ეკუთვნის „ტორპედოს“ სპორტსკოლა და იქვე საქმიანობს ვალენტინ ივანოვი, კლუბის ცოცხალი ლეგენდა, თუმცა მთავარი მწვრთნელი ევგენი კუჩერევსკია.

„ახალი ტორპედო“ კლუბის გაყოფის შემდეგ, 1996 წელს დაარსდა, „ლუჟნიკის“ სტადიონზე თამაშობს, ოღონდ ძირძველი კლუბის ისტორია უმაღლეს ლიგაში სწორედ მან გააგრძელა და ამიტომ ძველ ქომაგთა უმრავლესობა სწორედ მის ბანაკში გადაბარგდა.

კვირას კი, ზემოთაც ვთქვით, მათი პირველი დერბი გაიმართა. ტორპედოელები უფრო მეტს უტევდნენ და მათმა ბომბარდირმა დმიტრი ვიაზმიკინმა კვლავ გაიტანა. ამ კაცს უკვე ზედიზედ შვიდი ტურია გააქვს, ამ მაჩვენებლით რუსეთის ჩემპიონატების საუკეთესო მეგოლეც გამხდარა და 11 ბურთით მეგოლეთა დავაშიც პირველობს.

ვიაზმიკინის გოლით ლუჟნიკელები მსაჯის წამატებულ წუთამდე იგებდნენ, მაგრამ მერე დაცვაში მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს და ზილელებს გაათანაბრებინეს. ორივე გუნდმა თამაში კაცნაკლულმა დაამთავრა. საინტერესოა, რომ პირველ ტაიმში ავტოქარხნელებმა პენალტიც ვერ გაიტანეს.

თამაშის შემდეგ მწვრთნელებმა ვითარება არ გაართულეს და თქვეს, ამ დერბის ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონიაო: „ჩემთვის ყველა თამაში პრინციპულია. რა მნიშვნელობა აქვს, ვის მოუგებ, „ზილს“ თუ „სპარტაკს“ — განაცხადა ლუჟნიკელთა დამრიგებელმა ვიტალი შევჩენკომ. კუჩერევსკიმ კი ეს თქვა: „ჩვეულებრივი თამაში იყო. „ტორპედო“ ერთი გუნდია, „ტორპედო ზილი“ — მეორე. ამიტომ, ჩვენთვის მთავარია ქულები მოვიპოვოთ და სახიფათო ზონას მოვცილდეთ“.

წარუმატებელი სერიის შემდეგ მოიგო „სატურნმა“. რამენსკოელებმა ლიდერ „კრილიას“ ბოლო ჩვიდმეტ წუთში ორი უპასუხო გოლი გაუტანეს. ცსკა-მ და „ზენიტმა“ კი „სოკოლი“ და „ჩერნომორეცი“ გაანადგურეს და ლიდერებს მიუახლოვდნენ. არმიელთაგან მატჩის გმირი რუსეთის ნაკრების შემტევი დენის პოპოვი გახდა. მან სამ გატანილ გოლში დაიდო წილი, ხოლო პეტერბურგელთაგან ნავეში ნოვოროსიისკელები კვლავაც ბოლო ადგილზე მიჩანჩალებენ.

**სოლომონ გულისაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 14 | 8 | 4 | 2 | 15:10 | 28 |
| კრილია | 14 | 8 | 2 | 4 | 16:8 | 26 |
| ტორპედო | 14 | 7 | 5 | 2 | 26:13 | 26 |
| ლოკომოტივი | 14 | 7 | 3 | 4 | 21:11 | 24 |
| სოკოლი | 14 | 7 | 3 | 4 | 18:20 | 24 |
| ცსკა | 14 | 6 | 4 | 4 | 17:12 | 22 |
| ზენიტი | 14 | 6 | 4 | 4 | 19:19 | 22 |
| დინამო | 14 | 5 | 5 | 4 | 18:14 | 20 |
| ანჟი | 14 | 4 | 6 | 4 | 11:10 | 18 |
| როსტსელმაში | 14 | 5 | 2 | 7 | 13:14 | 17 |
| სატურნი | 14 | 4 | 4 | 6 | 13:11 | 16 |
| ალანია | 14 | 5 | 1 | 8 | 12:21 | 16 |
| როტორი | 14 | 3 | 4 | 7 | 13:19 | 13 |
| ტორპედო ზილ | 14 | 3 | 4 | 7 | 11:17 | 13 |
| ფაკელი | 14 | 3 | 3 | 8 | 12:17 | 12 |
| ჩერნომორეცი | 14 | 2 | 4 | 8 | 7:26 | 10 |

# ტაში გვარდიოლას, სტვენა ბარსელონას

### ესპანეთი

თასის 1/2 ფინალი

II მატჩები

**სარაგოსა 0:1 ატლეტიკო (2:1)**

0:1 ფაგიანი (30)

სარაგოსა: ლაინესი, კუარტერო, ფერონი (აგუადო 19), პაბლო, სუნდგრენი, პაკო ხემესი, გარიტანო (მარტინ ველისკა 57), ხოსე იგნასიო, ჯამელი, ხუანელე, იორდი (გურენკო 47)

ატლეტიკო: ტონი ხიმენესი, ტონი მუნიოსი (ფაგიანი 19), აგილერა, პიპიჩი, სანტი, ლუკა დანი, უგო ლეალი, მენა (კუბილიო 78), ფერნანდო ტორესი (კორეა 5), სალვა

გაფრთხილება: კორეა, გარიტანო, კუარტერო, აგუადო, მენა, კორეა, ჯამელი

გაძევება: პაკო ხემესი (14), კორეა (84)

24 000 მაყურებელი

**ბარსელონა 1:1 სელტა (1:3)**

0:1 ბერიზო (3), 1:1 კლუივერტი (5)

ბარსელონა: დუტრუელი, სერხი, ფ. დე ბური, რაიციგერი, ოვერმარსი, ხავი (დე ლა პენია 53), გვარდიოლა, გაბრი, სიმაო (ალფონსო 65), ზენდენი (კოკუ 48), კლუივერტი

სელტა: კავალიერო, ბერიზო, ხუანფრანი, იაგო, კოირა, ხესული, მოსტოვოი, კარპინი (მაკკარტი 83), ხაიო, ჯოვანელა, კატანია (ედუ 60)

გაფრთხილება: გვარდიოლა, სერხი, გაბრი, იაგო, ალფონსო, ბერიზო, კოკუ, გაბრი

გაძევება: ხესული (86), გაბრი (90)

50 000 მაყურებელი

**ადრეც გვითქვამს,** „სარაგოსა“ — „ატლეტიკოს“ ნახევარფინალი ერთგვარად ფინალიც იყო, რაკი მათ შორის გამარჯვებული უეფას თასზე გადიოდა. ამის მიზეზი ისაა, რომ მეორე წყვილში მოთამაშე „სელტა“ და „ბარსელონა“ უკვე ევროტურნირებზე არიან.

ისიც გავიხსენოთ, რომ მადრიდის „ატლეტიკომ“, ესპანეთის ერთ-ერთმა ყველაზე ამბიციურმა კლუბმა, პრიმერადივიზიონში დაბრუნების შანსი ხელიდან გაუშვა და სამეფო თასი ბოლო იმედადღა ჰქონდა. თითქმის იგივე მდგომარეობაში იყო „ბარსელონაც“, რომელმაც ამ სეზონში ვერაფერი მოიგო, თუმცა დიდი წვალებით ჩემპიონთა ლიგაში მაინც გააღწია.

სარაგოსას „რომარედაზე“ შაბათს მადრიდელებს ორბურთიანი სხვაობა უნდა გაექვითათ და თავიდანვე შემართებით შეუტიეს. უკვე მეთოთხმეტე წუთზე მასპინძელმა პაკო ხემესმა სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, სტუმართა იერიში წითელი ბარათის ფასად ჩაშალა.

ამ გაძევებამ ატლეტიკოელებს, ცხადია, მონდომება შემატა და მალე შედეგიც მოიმკო. სტუმართა პორტუგალიელმა დანი კარვილიუმ ბურთი სარაგოსელთა საჯარიმოს შუაგულში ჩაჰკიდა და თავდამსხმელებს შეხიდებულმა მცველმა დანიელ ფაგიანიმ ანგარიში გახსნა.

საინტერესო რამ მოხდა. დანიელ ფაგიანი მატჩის ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე იჯდებოდა, მეცხრამეტე წუთზე ტონი მუნიოსი რომ არ დამტვრეულიყო. იმ ეპიზოდშიც, პაკო რომ გააძევეს, სარაგოსელმა ასევე შემთხვევით მოთამაშე ფერნანდო კორეა წააქცია, რომელმაც დამტვრეული ფერნანდო ტორესი უკვე მეხუთე წუთზე შეცვალა. 17 წლის ფეხბურთელმა ბეჭი ამოიგდო. აქვე, რაკი მუნიოსი ვახსენეთ, აღვნიშნოთ, რომ „ატლეტიკოში“ გატარებული თერთმეტი სეზონის შემდეგ ის კლუბს ტოვებს.

სარაგოსელები ამის მერეღა მიხვდნენ, რომ მეორე გოლის არგაშვების იმედად ყოფნა ხეირს არ დააყრიდათ და თავადაც შეაწუხეს მოწინააღმდეგე.

ტორო აკუნიამ და იორდიმ მეკარე ტონი ხიმენესი ახტუნავეს, თუმცა არც სტუმრები დარჩენილან ვალში და სესარ ლაინესი უფრო ბევრჯერ დაბომბეს.

შესვენების შემდეგ თამაში პირველი ტაიმის სცენარით გაგრძელდა ანუ მეტწილად „ატლეტიკო“ უტევდა. ერთ მომენტში გოლი თითქოს გარდაუვალი იყო, სალვა ბალესტა დაუცველი კარის წინ მარტოდმარტო დარჩა და როგორღაც აცილება მოახერხა. არადა, ეს ის სალვაა, შარშან 27 გოლით პრიმერადივიზიონის ბომბარდირი რომ გახდა.

ბოლო წუთებზე მადრიდელები ანერვიულდნენ და ათნილა დარჩნენ. კორეამ მეორე გაფრთხილება მიიღო. „სარაგოსა“ კი ფინალშია, სადაც „სელტას“ შეხვდება.

„კამპ ნოუზე“ ორივე გოლი ხუთ წუთში გავიდა, თუმც საინტერესო მერეც ბევრი რამ იყო. „სელტას“ პირველივე შეტევას ბარსელონელ მცველებთან წესების დარღვევა მოჰყვა. ალექსანდრ მოსტოვოიმ სწრაფად ჩააწოდა საჯარიმო და ედუარდო ბერიზომ ბურთი სერხისა და კლუივერტს შორის ისე გააძვრინა, რიშარ დუტრუელმა რეაქცია ვერ მოასწრო.

მომდევნო შეტევა, უკვე ბარსელონელებისა, ისევ გოლით დასრულდა. საინტერესოა, რომ ამჯერად კლუივერტმა გამოიყენა ბერიზოს შეცდომა.

მომენტები, როგორც აღვნიშნეთ, სხვაც ბევრი იყო. მარკ ოვერმარსის სახიფათოდ ჩაწოდებულს კლუივერტი ვერ შესწვდა, სულ ცოტა დააკლდა. სიმაოს დარტყმულს კი იაგო გადაეფარა. ბურთმა სამჯერ ძელიც მონახა. ჯერ მოსტოვოიმ გაარტყა ოციოდე მეტრიდან საჯარიმოს შესრულების შემდეგ, ამას ასევე საჯარიმოთი ხოსეპ გვარდიოლამ უპასუხა და წამატებულ დროში ბენი მაკარტიმ მესამედ გაარტყა ძელს. უნდა აღინიშნოს, რომ მასპინძლებს აშკარად ეტყობოდათ რივალდოს არყოფნა. ის სამშობლოში წავიდა და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ურუგვაისთან სათამაშოდ ემზადება. ეს მატჩი 1 ივლისს მონტევიდეოში ჩატარდება.

„ბარსელონა“ ფინალს მიღმა დარჩა. მეორე წელია, ის ვერაფერს იგებს და რა გასაკვირია, რომ ქომაგებმა ფეხბურთელები სტვენით გააცილეს, მაგრამ...

ერთ ბარსელონელს მთელი „კამპ ნოუ“ ფეხზე წამოუდგა — ეს ხოსეპ გვარდიოლა გახლდათ, რომელმაც უკანასკნელად ითამაშა გუნდში.

„ბარსელონამ“ სეზონი დაასრულა, თასის ფინალი კი შაბათს სევილიაში გაიმართება.

**გიორგი დარჯანია**



ბარსელონა — სელტა. ვიგოელი პაბლო კოირა (№18) და ბარსელონელი მარკ ოვერმარსი

# გავალთ? აბა, რას ვიზამთ!

**მსოფლიოს** ჩემპიონატის ფინალური საგზურის მოსაპოვებლად ინგლისის ნაკრებს კიდევ გვარიანი ოფლისღვრა სჭირდება, თუმცა იქაურ ფეხბურთის ასოციაციაში სჯერათ, რომ ყველაფერი კარგად იქნება და ამიტომაც პრემიერლიგის მორიგი გათამაშების განრიგი სწორედ ეროვნული გუნდის ინტერესების გათვალისწინებით შეადგინეს: ჩემპიონატი 11 მაისს დამთავრდება, თასის ფინალი კი კარდიფის „მილენიუმზე“ უჩვეულოდ ადრე, 4 მაისს შედგება. „მსოფლიოს ჩემპიონატი იაპონიასა და კორეაში 31 მაისს იწყება და თუ ჩვენი ნაკრები დასახულ მიზანს თავს წარმატებით გაართმევს, ფეხბურთელებს მოსამზადებლად და რვასაათიან განსხვავებასთან შესაგუებლად სამი კვირა ექნებათ“ — ნათქვამია ასოციაციის ოფიციალურ განცხადებაში.

რაც შეეხება თავად პრემიერლიგას, ის 18 აგვისტოს გაიხსნება, პირველი ტურის ყველაზე საინტერესო მატჩი კი „ოლდ ტრეფორდზე“ გაიმართება, სადაც ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი“ ამბიციურ დებიუტანტ „ფულემს“ უმასპინძლებს. დანარჩენი წყვილები ასეთია: ჩარლტონი — ევერტონი, დერბი ქაუნთი — ბლექბერნი, ჩელსი — ნიუკასლი, ლიდსი — საუთჰემპტონი, ლესტერი — ბოლტონი, ლივერპული — ვესტ ჰემი, მიდლსბრო — არსენალი, სანდერლენდი — იფსვიჩი, ტოტენჰემი — ასტონ ვილა. საინტერესოა, რომ გიო ქინქლაძის „დერბი“ ინგლისელი ბუქმეიკერების მიერ აშკარა აუტსაიდერადაა მიჩნეული და ამ გუნდის ჩემპიონობაზე ფსონს 1-1000-ზე კოეფიციენტით იღებენ. ამ განხრით ფავორიტი, ცხადია, ამჟამინდელი ჩემპიონია — მხოლოდ 2,1. მერე მოდიან: ლივერპული (4), არსენალი (5), ლიდსი (6), ჩელსი (9), ფულემი (33), ტოტენჰემი (50), ნიუკასლი და სანდერლენდი (80), ასტონ ვილა, ბლექბერნი და იფსვიჩი (100), ევერტონი და მიდლსბრო (300), ჩარლტონი და ვესტ ჰემი (350), ლესტერი და საუთჰემპტონი (500), ბოლტონი და დერბი ქაუნთი (1000).

ინგლისელებთან ერთად ახალი სეზონის განრიგი გამოაქვეყნეს შოტლანდიელებმა. ამათი ჩემპიონატი მეზობლისაზე ოცი დღით ადრე, 28 ივლისს იწყება. პირველ ტურში გიორგი ნემსაძისა და ზურაბ ხიზანიშვილის „დანდი“ თანაქალაქელ „იუნაიტედს“ შეხვდება მეტოქის მოედანზე.

**გიგა კოგახიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა








# რომაული არდადეგები

18 წელიწადი ელოდა რომი ასეთ არდადეგებს. არდადეგები კი ერთმანეთს ცვლიდა, უსახური, მოლუშული, უსიხარულო... ბოლოს დადგა ნანატრი ზაფხული.

იმ დღეს, როდესაც „რომა" „პარმას" მასპინძლობდა და „სკუდეტოს" ოფიციალურად იფორმებდა, მსახიობი და მოდელი, რომაელ მამაკაცთა ფანტაზიის ობიექტი საბრინა ფერილი (რომელიც სულაც არაა ის საბრინა, ამ ათი წლის წინ თბილისური საპარიკმახეროების კედლებიდან რომ გვეკეკლუცებოდა და ბათუმში კონცერტს მართავდა) თეატრში იყო, სპექტაკლში მონაწილეობდა. ერთ-ერთი აქტის შემდეგ, კულისებში გასულს თავს ტელეკომპანია რაიუნოს რეპორტიორი დაადგა, მიკროფონი მიუშვირა და... ფერილიმ თავისი საყვარელი კლუბის ჩემპიონობაზე ილაპარაკა. ალბათ, ისიც 18 წელიწადი ელოდა.

ილაპარაკა და შემდეგ, როგორც ჭეშმარიტად ნამუსიანმა, სიტყვის ქალმა, ადრე დადებული პირობა ალასრულა — ტანსაცმელი გაიხადა.

ეს ამბავი კვირას, 24 ივნისს რომში, ჩირკო მასიმოში მოხდა, სადაც უამრავმა ქომაგმა მოიყარა თავი. ისინი „რომას" ჩემპიონობის ოფიციალურ ცერემონიალს ესწრებოდნენ. ყურადღების ცენტრში კი, ცხადია, ისევ და ისევ ფეხბურთელები იყვნენ, მაგალითად, ფრანჩესკო ტოტი და ვინჩენცო მონტელა, კლუბის მოლხენილი პრეზიდენტის ფრანკო სენსის აქეთ-იქით დამდგარნი.

და ხალხი, ქალი თუ კაცი, მაღალი თუ დაბალი, ლამაზი თუ ჩვეულებრივი, ფეხბურთელებთან ერთად და, ალბათ, მათზე მეტად ზეიმობდა!



# პატარა ვერონა ორია

**პლეი აუტი. II მატჩი**

**რეჯინა 2:1 ვერონა (0:1)**

**1:0 ძანკეტა (42), 2:0 კოცა (45), 2:1 კოსატო (84)**

**რეჯინა: ტაიბი, სტოვინი, ვარგასი, მეცანო, ვიკარი, მორაბიტო, მამედე, ძანკეტა (რ. ვერონი 62), კოცა, და კოშტა (მარაცინა 31), ბოგდანი (დიონიჯი 73)**

**მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა**

**ვერონა: ფერონი, ოდო, გონელა, ლაურსენი, ტეოდორანი (მელისი 67), კამორანეზი, ჯ. კოლუჩი, მაცოლა (კოსატო 46), ლ. კოლუჩი, სალვეტი (ადაილტონი 75), ჯილარდინო**

**მწვრთნელი: ატილიო პეროტი**

**გაფრთხილება: მორაბიტო, მამედე, ძანკეტა, ტეოდორანი, ლაურსენი, მარაცინა, კოსატო**

**გაძევება: ვარგასი (90)**

**25 000 მაყურებელი**

**შინ** 1:0 გამარჯვება „ვერონასთვის" გვარიანი იმედი გახლდათ. რეჯო კალაბრიაში საპასუხო შეხვედრის წინ, ამ შედეგიდან გამომდინარე, უფრო მეტი სანერვიულო და საფიქრალი, ცხადია, მასპინძლებს ექნებოდათ, მაგრამ ვერონელთა მწვრთნელი პეროტი შიშობდა, რომ მისი მოთამაშეები პირველ თამაშში მიღწეულს ზედმეტ მნიშვნელობას მიანიჭებდნენ და საჯაროდ ასე ბრძანებდა:

„პირიქით, ჩვენი უნდა დავივიწყოთ, რომ გავიმარჯვეთ და რეჯო კალაბრიაში ისე უნდა ჩავიდეთ, თითქოს პირველი შეხვედრის შედეგი ფრე იყოს. აი, 2:0 რომ ყოფილიყო, მაშინ კიდევ სხვა იქნებოდა. მაგრამ ერთგოლიანი უპირატესობა ბევრს არაფერს გვაძლევს. ამიტომაც, ძალიან ფრთხილად უნდა ვითამაშოთ, განსაკუთრებით შეხვედრის დასაწყისში.

დასაწყისში „რეჯინა", სავარაუდოდ, დიდი ძალებით გადმოვა შეტევაზე, გეტყვით, რომ სეზონის დასრულების მიუხედავად ორივე გუნდი კარგ ფორმაშია და ამიტომ მწამს, წინ საინტერესო შეხვედრა გველის. გარდა ამისა, ტრიბუნაზე კალაბრიელი ხალხი იჯდება და თავიანთ გუნდს ფრიად დაუჭერენ მხარს. ერთი სიტყვით, ჩვენ ნერვიულობას უნდა ვძლიოთ. ჩემი ბიჭები მთელი სეზონის ნაბრძოლს 90 წუთში ქარს არ გაატანენ".

არც გაატანეს: „ვერონა" სერია A-ში კიდევ ერთი სეზონი დარჩა — რეჯო, კალაბრიაში, შეხვედრის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე, ვერონელთა გოლმა იტალიის 2000-01 წლების ჩემპიონატი დაასრულა: 2:1 „რეჯინას" სასარგებლოდ.

აღსანიშნავია, რომ პირველ ტაიმში, რომელსაც პეროტი ასე უფრთხოდა, სწორედ „ვერონა" გახლდათ უფრო მწვავე, მაგრამ მეორე ტაიმის დასაწყისში მასპინძლებმა ორი გოლი გაიტანეს.

ზოგადად, მეორე ტაიმი უფრო დაბალანსებული გამოვიდა. საგოლე მომენტებს ორივე გუნდი ქმნიდა, საბოლოოდ კი „ვერონას" მონდომება დაფასდა — 86-ე წუთზე მიქელე კოსატომ თავური დარტყმით ყველაფერს საბოლოო სახე მისცა.

90-ე წუთზე „რეჯინას" მცველი, იორგ ვარგასი გაუძევეს მოედნიდან.

ამრიგად, გუნდი, რომელიც ერთი წლის წინ ისტორიაში პირველად, უმაღლეს ლიგაში, სერია A-ში ალზევდა, კვლავ ჩვეულ ადგილს დაუბრუნდა, ხოლო სერია A მომავალი სეზონიდან კიდევ ერთი დერბით გამდიდრდა: „ვერონა" — „კიევო". შეგახსენებთ, რომ პატარა ქალაქ ვერონის მეორე გუნდმა, „კიევომ" ახლახან სერია B-დან ზევით ასასვლელი საგზური მოიპოვა.

**ბაჩუნა ძიძია**



დარჩენა და სიხარული: „ვერონა" ისევ სერია A-შია

## უნგრეთი

### მეორე ეტაპი

**22-ე ტური: მტკ — უიპეშტი 1:2; ვაშაში — ზალაეგერსეგი 6:3; დებრეცენი — ფერენცვაროში 0:2; ვიდეოტონი — ჰონვედი 4:1; დიორ ეტო — შოპრონი 4:2**

**ხუთწლიანი** შესვენების შემდეგ ბუდაპეშტის „ფერენცვაროშმა" 27-ედ მოიპოვა უნგრეთის ჩემპიონობა. ქვეყნის ყველაზე პოპულარული გუნდი, რომელსაც თავის დროზე ბაზრობათა (ახლანდელი უეფას) თასიც მოუგია და რომელშიც ლეგენდარული ფლორიან ალბერტი თამაშობდა, ბოლო წლებში აშკარად დაიჩაგრა, მაგრამ სახელით და სოლიდურობით კვლავაც ვერავინ შეედრება.

ბოლო ტურში „ფერენცვაროშმა" უკვე გავარდნილი „დებრეცენი" 2:0 დაამარცხა. 34-ე წუთზე ანგარიში იანუშ ჰრუტკამ გახსნა, ბოლო წუთებზე კი გაბორ დიპეშმა მეორეც შეაგდო.

შარშანდელმა ჩემპიონმა „დუნაფერმა" წლეულს მეორე ადგილი დაიკავა, საუკეთესო მეგოლე ვაშაშელი პეტერ კაბატი გახდა, ხოლო ელიტარული დივიზიონი „დებრეცენთან" ერთად „ტატაბანიამაც" დატოვა.

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფერენცვაროში | 22 | 12 | 8 | 2 | 36:14 | 48 |
| დუნაფერი | 22 | 13 | 2 | 7 | 40:35 | 46 |
| ვაშაში | 22 | 10 | 6 | 6 | 42:33 | 40 |
| უიპეშტი | 22 | 10 | 5 | 7 | 40:37 | 40 |
| დიორ ეტო | 22 | 11 | 5 | 6 | 34:32 | 40 |
| მტკ | 22 | 8 | 5 | 9 | 31:22 | 35 |
| ჰონვედი | 22 | 9 | 6 | 7 | 33:31 | 34 |
| ვიდეოტონი | 22 | 9 | 2 | 11 | 37:34 | 31 |
| შოპრონი | 22 | 7 | 6 | 9 | 26:30 | 30 |
| ზალაეგერსეგი | 22 | 7 | 7 | 8 | 33:36 | 29 |
| დებრეცენი | 22 | 6 | 3 | 13 | 44:24 | 24 |
| ტატაბანია | 22 | 1 | 3 | 18 | 20:55 | 12 |

მეორე ეტაპზე ქულები განახევრებულია

| ბომბარდირები | |
|---|---|
| პეტერ კაბატი (ვაშაში) | 24 |
| ატილა ტოკოლი (დუნაფერი) | 22 |
| ბელა ილეში (მტკ) | 21 |

## ნორვეგია

**მე-12 ტური: ბრანი — მოლდე 0:0; ლილესტრომი — მოსი 3:0; ლინი — ტრომსიო 4:0; ოდ გრენლანდი — ბრინი 4:1; სოგნდალი — სტრიომსგოდსეტი 5:1; სტაბეკი — როსენბორგი 3:0; ვიკინგი — ბოდიო გლიმტი 2:2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიკინგი | 12 | 8 | 3 | 1 | 26:13 | 27 |
| როსენბორგი | 12 | 8 | 2 | 2 | 32:15 | 26 |
| ოდ გრენლანდი | 12 | 7 | 2 | 3 | 25:12 | 23 |
| ლილესტრომი | 12 | 7 | 2 | 3 | 25:17 | 23 |
| სტაბეკი | 12 | 7 | 1 | 4 | 20:20 | 22 |
| ბრანი | 12 | 6 | 3 | 3 | 29:17 | 21 |
| მოლდე | 12 | 5 | 3 | 4 | 23:19 | 18 |
| მოსი | 12 | 5 | 1 | 6 | 16:20 | 16 |
| სოგნდალი | 12 | 5 | 0 | 7 | 17:26 | 15 |
| ლინი | 12 | 2 | 4 | 6 | 17:19 | 10 |
| სტრიომსგოდ. | 12 | 2 | 4 | 6 | 17:31 | 10 |
| ტრომსიო | 12 | 3 | 0 | 9 | 8:22 | 9 |
| ბოდიო გლიმტი | 12 | 1 | 5 | 6 | 12:22 | 8 |
| ბრინი | 12 | 2 | 2 | 8 | 13:27 | 8 |

## შვედეთი

**მე-11 ტური: სუნდსვალი — აიკ 1:2; იორგრიტე — ელფსბორგი 1:1; ნორჩიოპინგი — ჰეკენი 1:1; ტრელებორგი — ჰამარბი 2:3; იურგორდენი — გიოტებორგი 3:1; ჰელსინგბორგი — იორებრო 2:2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გიოტებორგი | 11 | 5 | 4 | 2 | 20:11 | 19 |
| ჰელსინგბორგი | 11 | 5 | 4 | 2 | 17:9 | 19 |
| იორგრიტე | 11 | 5 | 4 | 2 | 17:10 | 19 |
| ელფსბორგი | 11 | 5 | 2 | 4 | 18:19 | 17 |
| ჰამარბი | 11 | 4 | 5 | 2 | 13:10 | 17 |
| იურგორდენი | 11 | 4 | 5 | 2 | 12:11 | 17 |
| მალმიო | 10 | 5 | 1 | 4 | 14:11 | 16 |
| აიკ | 11 | 4 | 3 | 4 | 12:12 | 15 |
| ჰალმსტადი | 10 | 4 | 2 | 4 | 20:12 | 14 |
| იორებრო | 11 | 3 | 5 | 3 | 18:17 | 14 |
| ნორჩიოპინგი | 11 | 2 | 5 | 4 | 8:19 | 11 |
| ჰეკენი | 11 | 2 | 4 | 5 | 10:17 | 10 |
| სუნდსვალი | 11 | 2 | 3 | 6 | 7:14 | 9 |
| ტრელებორგი | 11 | 2 | 1 | 8 | 12:26 | 7 |

## რუმინეთი

### პლეი ოფი. II მატჩები

**ფორესტა — ბაია მარე 2:1 (0:1); ბაკეუ — ფარული 2:1დ.დ. (პენ. 3:4) (1:2)**

**„ბაია მარე" და კონსტანცას „ფარული" 2001-2002 წლების სეზონში I დივიზიონში ითამაშებენ.**

40º Copa América
Colombia 2001
11 al 29 de julio

# ახალი მწვრთნელი და ანტიკვარული კაპიტანი

**მწვრთნელი,** რომლის გუნდიც გამუდმებით აგებს, უნდა გადადგეს. უცხოეთში ეს კანონი ყველამ იცის.

ენრიკე მესამ ეროვნული გუნდი თითქმის ერთი წელი მოძღვრა, მაგრამ შედეგი სამარცხვინო მოიმკო: ცხრამეტ მატჩში მხოლოდ ხუთი მოგება. ბოლოს ჰონდურასის ნაკრებთან წაგებამ მწვრთნელი მიახვედრა, რომ წასვლის დრო დადგა და წავიდა. შეგირდები კი ოთხი თამაშიდან ხუთი ქულით მსოფლიოს ჩემპიონატის კონკაკაფის შესარჩევ ჯგუფში მეხუთე ადგილზე დატოვა.

მექსიკის ეროვნულ გუნდს უახლოესი მატჩი პირველ ივლისს, ჯგუფის ლიდერ აშშ-ის ნაკრებთან ელის. ამ თამაშის შედეგი, ფაქტობრივად, ალბათ გადაწყვეტს კიდევ მექსიკელთა ბედს. მერე კი კოპა ამერიკაც დაიწყება, სადაც მექსიკელებს ჯგუფში ბრაზილია ელით.

ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ გუნდის დროულად ფეხზე დასაყენებლად ახალი თავკაცი უმალ დანიშნა და მანაც, როგორც ხდება ხოლმე, მრავალი სიახლე შესთავაზა გულშემატკივრებს. მექსიკის ნაკრების ახლადდანიშნულმა მწვრთნელმა ხავიერ აგიერამ გუნდში ექვს ახალბედასა და სამ გვარიანად მობერებულ ვეტერანს უხმო. დიდი ხნის შესვენების შემდეგ ეროვნული გუნდის მაისურას კვლავ მოირგებს ნახევარმცველი ალბერტო გარსია ასპე. იგი მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე მასპინძელთა რიგებში გვარიანად ირჯებოდა. მის გვერდით ასევე ძალიან გამოცდილი ფორვარდი ლუის ერნანდესი ითამაშებს. აგიერას გუნდის კარს დარაჯად კვლავ ჩია ხორხე კამპოსი ეყოლება, რომელიც ნაირფრად შეფერილი სამოსის გარდა საკმაოდ საიმედო თამაშითაც გამოირჩევა.

აგიერას განკარგულებაში იქნება „კრუს ასულის" ექვსი ფეხბურთელიც, რომლებიც წინა სანაკრებო თამაშში ვერც ეროვნულ გუნდსა და ვერც ყოფილ მწვრთნელ ენრიკე მესას შეეწივნენ. მექსიკის ჩემპიონებმა ლიბერტადორესის თასის პირველი ფინალური მატჩი არგენტინულ „ბოკა ხუნიორსთან" გამართეს და ამ ფეხბურთელებმა საკლუბო ინტერესები ეროვნულზე წინ დააყენეს. ეს არცაა გასაკვირი, „კრუს ასული" ხომ პირველი მექსიკური კლუბია, რომელმაც ლიბერტადორესის თასის ფინალში გააღწია.

აგიერა მესას გაფუჭებული საქმის გამოსწორებას შეეცდება. ფედერაციაცა და მთელი მექსიკაც მას იმედის თვალით უცქერს. ქვეყნის ფეხბურთის მესვეურებს სამარცხვინო შედეგებისთვის მესასთან ერთად ეროვნული გუნდის კოორდინატორი უგო კოესაც მოუხსნიათ. ამჟამად, ამ თანამდებობას ფულიანი ბიძა ალეხანდრე ბურილო უმიზნებს. ბურილოს საბანკო-სატელეკომუნიკაციო საქმეში, აგრეთვე ფეხბურთშიც დიდძალი კაპიტალი ჰქონია დაბანდებული.

ვნახოთ, რას იზამს ახალი მწვრთნელის ახალი გუნდი, რომელსაც მოედანზე კვლავ უბერებელი, სანაკრებო შეხვედრების რაოდენობით მსოფლიოს რეკორდსმენი კაპიტანი კლაუდიო სუარესი გაიყვანს.

**გიორგი გამარდაშვილი**

*მეკარეები: ხორხე კამპოსი (ატლასი) ოსკარ პერესი (კრუს ასული), ოსვალდო სანჩესი (გვადალახარა);*

*მცველები: კლაუდიო სუარესი (ტაიგერსი), მანუელ ვიდრიო (პაჩუკა), რაფაელ მარკესი (მონაკო,საფრანგეთი), ოქტავიო ვალდესი (ამერიკა), ალბერტო როდრიგესი (პაჩუკა) სერხიო ალმაგერი (ნეკაქსა);*

*ნახევარმცველები: ტომას კამპოსი (კრუს ასული), ვიქტორ გუტიერესი (კრუს ასული), ხერარდო ტორადო (ტენერიფე, ესპანეთი), ალბერტო გარსია ასპე (პუებლა), სესარიო ვიქტორინო (კრუს ასული), ხუან პაბლო როდრიგესი (ატლასი), ხუან როდრიგესი (სანტოს ლაგუნა), ხოსე ალბერტო ერნანდესი (კრუს ასული);*

*თავდამსხმელები: ფრანსისკო პალენსია (კრუს ასული), ხარედ ბორგეტი (სანტოს ლაგუნა), ხესუს არელანო (მონტერეი), დანიელ ოსორნო (ატლასი), ხოაკინ რეისი (სანტოს ლაგუნა), მიგელ სეპედა (ატლასი)*





ლუის ერნანდესის (№15) მექსიკამ ჰონდურასთან თამაშიც წააგო და მწვრთნელი ენრიკე მესაც

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
## ოკეანეთი

**პლეი ოფი**
**ფინალი. II მატჩი**
**ავსტრალია 4:1 ახალი ზელანდია (2:0)**

1:0 ზდრილიჩი (6), 2:0 ემერტონი (36), 2:1 კოვენი (42პ), 3:1 ალოიზი (67), 4:1 ზდრილიჩი (83)

ავსტრალია: შვარცერი, მუსკატი, კ. მური, ოკონი (ს. ჰორვატი 60), ტ. ვიდმარი, ბოპოვიჩი (შ. მერფი 36), სკოკო (ბრეშიანო 60), ლაზარიდისი, ალოიზი, ემერტონი, ზდრილიჩი

ახალი ზელანდია: ჯ. ბეტი, ზორიკიჩი, ჯ. ბერი (ჯ. დევისი 79), ჰიკი, კ. ჯექსონი, ს. ელიოტი, ატკინსონი (ურლოვიჩი 46), ნელსენი, ვაკელიჩი, კოვენი, კილენი

მსაჯი: იონგ ჩულ კვონი (სამხრეთ კორეა)
42 000 მაყურებელი

**სიდნეის** ოლიმპიურ სტადიონზე ავსტრალიელებმა მეორე მატჩიც იოლად მოუგეს ახალზელანდიელებს და ახლა ნოემბერ-დეკემბერში ჯერაც უცნობ სამხრეთამერიკულ მეხუთე გუნდს ელიან.

„დავალება ბრწყინვალედ შევასრულეთ, მაგრამ კორეა-იაპონიის საგზურამდე სულ ცოტა, 180 წუთი გვაშორებს, ახლა მთავარია, დასკვნითი ორი მატჩისთვის მაქსიმალური მობილიზაციით მოვემზადოთ" — თქვა ავსტრალიელთა კაპიტანმა პოლ ოკონმა მატჩის შემდეგ.

კაპიტანს მხარი მწვრთნელმა ფრენკ ფარინამაც აუბა და დასძინა: „თამაშს მისი დაწყებიდან მსაჯის სასტვენამდე ვაკონტროლებდით. ბოდიში ჩემს ახალზელანდიელ კოლეგასთან, მაგრამ ვთვლი, რომ შედეგი სრულად არ ასახავს მატჩის მსვლელობას. სულ ცოტა, 10 ბურთი მაინც უნდა გაგვეტანა, მაგრამ არა უშავს, მთავარია, ზონიდან გავედით. ახლა კი ჯერაც ინკოგნიტოს ველით".

მეტოქის მშვენიერი გარჯა არც ახალზელანდიელ მწვრთნელ კენ დაგდელს გამორჩენია: „თქვენ ბრწყინვალე გუნდი გყავთ, ფრენკ (ფრანკ ფარინა, ავსტრალიელთა მწვრთნელი), მომავალ წარმატებებს გულით გისურვებთ, მინდა, მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშოთ".

შანსი კი ავსტრალიელებს მართლა აქვთ. 1974 წლის მერე მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად მოხვედრა წინა შესარჩევშიც შეეძლოთ, მაგრამ დასკვნით პლეი ოფში „კენგურუებს" ირანმა აჯობა და საფრანგეთშიც აზიელები გაემგზავრნენ.

**გიორგი ყუფარიძე**

## მერდეკას თასი

**A ჯგუფი. II ტური**

**ბოსნია 1:0 ბაჰრეინი**

1:0 კულენოვიჩი (3)

**მალაიზია 0:2 სლოვაკეთი**

0:1, 0:2 ბრესკა (13, 41)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოსნია | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| ბაჰრეინი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| სლოვაკეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| მალაიზია | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |

**B ჯგუფი. I ტური**

**უზბეკეთი 1:0 ტაილანდი**

1:0 ჰამიდულაევი (79)

**მალაიზია (U-23) 2:1 ინდოეთი**

1:0 მაჰაიუდინი (46), 2:0 ნიზარუდინი (74), 2:1 იულესი (85)

**II ტური**

**მალაიზია (U-23) 0:2 უზბეკეთი**

0:1 ვლასიჩევი (62), 0:2 სეიტკამალოვი (71)

**ტაილანდი 2:0 ინდოეთი**

1:0 ნოივახი (17), 2:0 სურასიენგი (71)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უზბეკეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ტაილანდი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| მალაიზია (U-23) | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ინდოეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

## პოლონეთი

**პლეი ოფი. II მატჩი**

**სტომილი 5:4 პოლკოვიცე (II) (0:0)**

# ჩელსის პეტისაა! პეტი ჩვენია!



**ემანუელ პეტი** იქ ბრუნდება, საიდანაც ბარსელონაში ჩავიდა — ლონდონში. თუმცა ერთი სხვაობა მაინც არის — „არსენალის" მაგიერ „ჩელსში" ამოყოფს თავს.

ფრანგის ტრანსფერი ოფიციალურად ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ ლონდონელთა აღმასრულებელი დირექტორი კოლინ ჰატჩინსონი ამბობს, წვრილმანი ფორმალობალა დაგვრჩა და საქმეს ბოლომდე ამ კვირაშივე მივიყვანთო.

„კლუბთანაც და ფეხბურთელთანაც წინასწარი შეთანხმება გაფორმებული გვაქვს და 1 ივლისიდან პეტი ჩვენი წევრი იქნება" — თქვა ჰატჩისონმა.

აქამდე ინგლისურ პრესაში ითქვა, პეტის, რომელიც „ბარსელონას" ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება, „მანჩესტერ იუნაიტედმაც" დაადგა თვალიო. ამაზე ჩელსელმა დირექტორმა ასეთი კომენტარი გააკეთა: „მანჩესტერს" რა აქვს ჩაფიქრებული, მე არ ვიცი, ალექს ფერგიუსონს ჰკითხეთ, ერთი რამ კი შემიძლია ვუთხრა — პეტიზე ფიქრი დაგვიანებულია".

**გიორგი დარჯანია**

# ბერძნებმა დანიელი გაუშვეს

**საბერძნეთის** ნაკრების მწვრთნელმა ვასილის დანიელმა თანამდებობიდან წასვლის შესახებ განაცხადა. პარასკევს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაში ხანმოკლე მსჯელობის შემდეგ მისი თხოვნა დააკმაყოფილეს — მწვრთნელი გაათავისუფლეს. „დანიელის გადადგომა პირადი მიზეზებით იყო გამოწვეული" — ამცნო ფედერაციის პრესატაშემ სააგენტოებს.

„პანათინაიკოსის" ყოფილი მწვრთნელის ხელმძღვანელობით საბერძნეთის ნაკრებმა ბოლოს ინგლისთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩი 0:2 წააგო. დანიელმა ჯერ კიდევ მაშინ განაცხადა, თანამდებობას დავტოვებო.

საბერძნეთის ნაკრები გერმანიისა და ინგლისის შემდეგ ჯგუფში მესამეა, თუმცა მეტად საეჭვოა, საგზურის მოპოვება მოახერხოს. ბერძნებს ორი მატჩი დარჩათ, ორივეს სტუმრად ატარებენ — 5 სექტემბერს ფინეთთან და 6 ოქტომბერს ინგლისთან.

გავიხსენოთ, რომ დანიელი თბილისშიც არის ნამყოფი, როცა ბოსკამპისეულ საქართველოს ნაკრებს 2:1 მოუგო.

**ნიკა ფუგლაძე**

## ფეხბურთის რუკასთან



**ფრანგული** „მარსელის" მწვრთნელმა ტომისლავ ივიჩმა განაცხადა, რომ „გალათასარაიდან" მარიო ჟარდელის გადაბირებითაა დაინტერესებული. „თურქული კლუბი თანახმაა, ბრაზილიელი გაყიდოს, თუმცა სანაცვლოდ დიდძალ თანხას ითხოვს. ახლა მთავარი ამოცანა ფინანსების მოძიებაა, ამაზე კლუბის მენეჯერები უკვე მუშაობენ" — თქვა მწვრთნელმა. აქვე აღვნიშნოთ, რომ ჟარდელის ხელში ჩაგდებას სხვა კლუბებიც ცდილობენ, მათ შორის „მილანიც". ივიჩი იმასაც იტყობინება, რომ „მარსელს" ახალი სეზონიდან ხორვატი მეკარე სტიპე პლეტიკოშა, იუგოსლავიელი ივან ბოსნიაკი და სირიელი როლიც შეუერთდებიან. ეს უკვე გადაწყვეტილი ყოფილა.

**ესპანური** სააგენტოების ცნობით, „პარმას" ყოფილ მწვრთნელ ალბერტო მალეზანის „მალიორკაში" ეპატიჟებიან. შეგახსენებთ, პრიმერადივიზიონური კლუბი გაისად ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს, ცოტა ხნის წინ კი მწვრთნელის პოსტი ლუის არაგონესმა დატოვა. „მალიორკას" ხელმძღვანელობამ მალეზანის გარდა კიდევ რამდენიმე შესაძლო კანდიდატი დაასახელა: კარლოს ბიანკი, ბერნდ კრაუსი და ანტონიო მაჩედა. თუმცა ყველაზე მეტად მოსალოდნელია, რომ კლუბს სწორედ მალეზანი ჩაუდგეს სათავეში.

**გერმანიის** ბუნდესლიგაში კვლავ დაბრუნებულმა მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" ვარშავის „ლეგიას" ყოფილი ფორვარდი მარჩინ მიჩელი გადაიბირა. ფეხბურთელი მომავალ სეზონში იჯარით ითამაშებს გერმანულ კლუბში, ხოლო შემდეგ შესაძლოა კონტრაქტიც გააფორმოს. მიჩელმა ამ სეზონში 13 გოლი გაიტანა და პოლონეთის ნაკრებშიც გამოიძახეს, ეროვნულ გუნდში ჩატარებულ 3 მატჩში კი ერთი ბურთი შეაგდო.

**ინგლისის** პრემიერლიგაში გადასულმა „ბოლტონმა" „ტორინოდან" ჯიბრილ დიავარა შეიმატა. სენეგალის ნაკრების მოთამაშემ ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. თუმცა წარმატების შემთხვევაში შესაძლოა ბრიტანეთში მეტი ხნითაც დარჩეს. „დიავარა ტექნიკური, ფიზიკურად ძლიერი ფეხბურთელია, სწორე ასეთს ვეძებდით. ვიმედოვნებთ, რომ პრემიერლიგაში თავს გამოიჩენს" — განაცხადა „ბოლტონის" მენეჯერმა სემ ალიარდოსმა.

**ფრანგი** მწვრთნელი ანრი მიშელი საფეხბურთო თვალსაზრისით ნაკლებად ამბიციურ საბერძნეთში გადაბარგდა. მას საშუალო კლასის ბერძნული კლუბი „არისი" ჩააბარეს. ეტყობა, „არისს" დიდი გეგმები აქვს, ანრი მიშელის კლუბში გამოჩენაც ამაზე მეტყველებს. თუმცა, ბერძნები თავშეკავებული ხალხი ჩანს, რაკი ისეთ დიდ სპეციალისტთან, როგორიც ანრი მიშელია, მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმეს. ანრი მიშელმა 1998 წელს მაროკოელები მსოფლიოს ჩემპიონატზე ათამაშა და რომ არა ბრაზილიელებთან მარცხი, მერვედფინალშიც გააღწევდა.

იყიდება
ვიოლინო, ზომა 3/4.
ტელ: 33-27-36

FORMULA 1

ფორმულა 1. მსოფლიოს ჩემპიონატი. მეცხრე ეტაპი

# რალფ შუმახერმა პოდიუმი გადაიხადა

**გერმანიის** მთიან მხარეში, სადაც „ნიურბურგრინგი“ მდებარეობს, წინა წლებში რბოლას თითქმის ყოველთვის თავსხმა ერთვოდა. ამიტომ ორგანიზატორებმა წლეულს ვადა შეცვალეს და გრილ გაზაფხულსა და შემოდგომას შორის „ოქროს“ შუალედი — ივნისი გამონახეს.

სინოპტიკოსების ვარაუდი გამართლდა: კვალიფიკაციაც და რბოლაც „მშრალზე“ ჩატარდა. ჰაერის ტემპერატურა 23 გრადუსი იყო, ასფალტისა — 33, რაც ძრავისთვის და საბურავებისთვის ჩინებულ პირობებად ითვლება.

შაბათს საინტერესო ბევრი არაფერი მომხდარა. მიხაელ შუმახერმა წლეულს მეშვიდე (კარიერაში 39-ე) პოული ფანტასტიკური შედეგით მოიგო. ტრასის ძველი რეკორდი — 1წთ; 16,602 წამი მიკა ჰაკინენს ეკუთვნოდა და ოთხი წლის წინ იყო დამყარებული. მიხაელმა 4,5-კილომეტრიანი საკმაოდ რთული წრე მეორე ცდაზე იდეალური სიზუსტით გაიქროლა და ფინელის შედეგს წამნახევარზე მეტი ჩამოაკლო — 1.14,960 (218,804 კმ/სთ საშუალო სიჩქარე).

იყოჩაღეს უილიამსელებმაც: რალფ შუმახერისა და ხუან პაბლო მონტოიას BMW-ს ძრავები „ფერარიზე“ თითქმის ოცი ცხენის ძალით უფრო ღონიერია. ამდენად მათი მეორე და მესამე სასტარტო პოზიციები თითქმის არავის გაჰკვირვებია, მით უმეტეს, აშკარად ხარვეზებიანი „მაკლარენების“ მორიგი უხეირო გამოსვლის ფონზე. მეოთხე დრო რუბენს ბარიკელოს ჰქონდა, მესამე რიგში კი დევიდ კულჰარდი და ჰაკინენი განლაგდნენ. იმასაც ვიტყვით, რომ მიკას ძველი მიღწევა 12-მა პილოტმა გააუმჯობესა.

ნიურბურგში შარშანდელი გამარჯვება მიხაელ შუმახერისთვის 39-ე იყო. მას შემდეგ მომდევნო „ევროპამდე“ ზუსტად ოცი რბოლა ჩატარდა და მიხაელმაც თავისი კოლექცია კიდევ ათი დიდი პრიზით გაზარდა. განსაცვიფრებელი შედეგიანობაა — გამოდის, რომ შუმი ყოველ მეორე ეტაპს იგებს. მაგრამ, მოგებაცაა და მოგებაც. ზოგიერთი ამას დიდი წვალებით, ხშირად მეტოქის შეცდომის ხარჯზე, ან თავისთვის სხვა ხელსაყრელი მიზეზით ახერხებს, „წითელი ბარონი“ კი ძალდაუტანებლად, საკუთარი უმაღლესი ოსტატობისა და თავისი საიმედო სისხლისფერი ბედაურის წყალობით აღწევს წარმატებას.

გუშინწინაც ასე იყო — მიხაელის უპირატესობა თავიდანვე აშკარად გამოიკვეთა და კარიერაში 49-ე დიდი პრიზიც მეტად ადვილად მოიპოვა, რის გამოც საკმაოდ ერთფეროვანი, მოსაწყენი რბოლა გამოვიდა. ჩემპიონატის უპირობო ლიდერის ოდნავ შევიწროვებაც კი ვერავინ შეძლო. სამგზის ჩემპიონს გასასწრებად ერთადერთი აგრესიული შეტევა დასაწყისში გაუბედეს, თანაც ვინ — წინა, კანადური ეტაპის მსგავსად, ამჯერადაც, საკუთარმა ძმამ. მიხაელმა, როგორც სჩვევია, საკმაოდ აგრესიულად, თუმცა წესების დაცვით რალფს გზა მოუჭრა და პირველ მოსახვევში ახლაც პირველი შევიდა.


REUTERS ნიურბურგიდან

შუმახერები ბოქსებშიც ძმურად შევიდნენ. მიხაელი უკვე თანაგუნდელების ხელშია

არადა, მიხაელმა რბოლაში კინაღამ ვერ მიიღო მონაწილეობა. ამ ამბავზე ღირს შეჩერება. კვირა დილით, ვარჯიშისას, მის სათადარიგო ბოლიდს პრობლემები გაუჩნდა. მანქანაზე რამდენიმე კვანძი შეცვალეს და რბოლამდე ცოტა ხნით ადრე შუმიმ ის შესამოწმებლად ტრასაზე გაიყვანა. მოულოდნელად „ფერარი“ ისევ გამოვიდა მწყობრიდან. ეს ბოქსებიდან ორი კილომეტრის დაშორებით მოხდა. მიხაელი ფეხით დაბრუნებას, ცხადია, ვერ მოასწრებდა. ბედად იქვე ავტოდრომის ერთ-ერთი თანამშრომლის მოტოროლერი იდგა. შუმიც სკუტერს მოახტა და პიტ ლაინის დაკეტვამდე რამდენიმე წუთით ადრე მოასწრო ძირითად ბოლიდში გადაჯდომა და სასტარტო ნიშნულზე ადგილის დაკავება.

რბოლაში აღსანიშნავი რამდენიმე მომენტი იყო. სტარტზე საკმაოდ შეფერხდა ბარიკელო — მის „ფერარის“ ჯერ ორივე „მაკლარენმა“ აუარა გვერდი, მოსახვევში კი იარნო ტრულის „ჯორდანმაც“ ჩამოიტოვა და ექვსეულში რუბინიოს ადგილზე აღმოჩნდა. ათი და ოცი წრის შემდეგაც იგივე ექვსეული იყო — მიხაელი, რალფი, მონტოია, კულჰარდი, ჰაკინენი, ტრული. უიშვიათესი შემთხვევაა: მრბოლელებმა დისტანციის მესამედი, ანუ 100კმ ისე დაფარეს, რომ დაწინაურებულთა რიგებში კი არა, თითქმის მთელ ქარავანში ცვლილება არ მომხდარა, ტარსო მარკეშისა და ოლივიე პანის გამოთიშვას თუ არ ჩავთვლით.

მიხაელს რალფი კუდში მისდევდა, მონტოია შვიდი წამით უკან, კულჰარდი კი ლიდერს 20 წამით ჩამორჩა. შუმახერებისა და მონტოიას აშკარა უპირატესობა „მაკლარენების“ პილოტებთან ალბათ იმანაც განაპირობა, რომ „ფერარის“ და „უილიამსს“ ორ-ორი პიტსტოპის ტაქტიკა ჰქონდათ, ამიტომ შედარებით მსუბუქი მანქანებით, ცხადია, უფრო სწრაფად დაქროდნენ. გასაგებია „მაკებ-ის“ პოზიციაც — ბოქსში მხოლოდ ერთხელ შესვლით დროის მოგების ხარჯზე აპირებდნენ უპირატესობის მოპოვებას, თუმცა მათი ჩანაფიქრი სრულად ვერ განხორციელდა. მართალია, ორივე პილოტმა რბოლა ჩასათვლელ ექვსეულში დაასრულა, მაგრამ მათთვის არცთუ სასურველ ადგილებზე.

ძმებმა 28-ე წრეზე ერთდროულად მიაკითხეს ბოქსებს. „ნიურბურგრინგზე“ „ფერარისა“ და „უილიამსების“ ბოქსები მეზობლადაა, ამიტომ, ორმოცივე მექანიკოსის ფუსფუსი კარგად ჩანდა. მიხაელი თავისიანებმა 8,4 წამში გაისტუმრეს, რალფი ოდნავ მეტხანს (9,7) შეყოვნდა და კვლავ ძმის უკან დარჩა. ერთი წრის შემდეგ მონტოიამაც შეცვალა საბურავები და ლიდერობა მიხაელმა დაიბრუნა.

30-ე წრეზე პატარა შუმიმ ოსტატური მანევრით ადვილად გაასწრო კულჰარდს, ორი წრის შემდეგ კი „მაკლარენმა“ უფრო საგრძნობი დარტყმა მიიღო — ბარიკელომ ინერტული ჰაკინენი ჩამოიტოვა უკან. კულჰარდის პიტსტოპის შემდეგ რალფ შუმახერის უპირატესობა მდევრებთან უფრო თვალსაჩინო გახდა და, ალბათ, მეორე ადგილსაც შეინარჩუნებდა, მაგრამ სწორედ ამ დროს მას რბოლის დირექტორატის განაჩენმა უწია — პიტლაინიდან გამოსვლისას უწყვეტი თეთრი ხაზის გადაკვეთისთვის ათწამიანი პენალტით დასაჯეს. მოგეხსენებათ, ბოქსებში შესვლა-გამოსვლის პროცედურა საშუალოდ 25 წამს გრძელდება, ასე რომ, წესის დარღვევამ რალფი პოდიუმის გარეშე დატოვა. რაც შეეხება მის თანაგუნდელს, მონტოიამ ამჯერად უშეცდომოდ და ზედმეტი აგრესიის გარეშე იასპარეზა და დამსახურებულადაც დაიკავა მეორე ადგილი, პირველად უსწრაფესი წრე გააკეთა და ნახევარი წამით გააუმჯობესა ჰაინც-ჰარალდ ფრენცენის წინა მიღწევა. აღსანიშნავია, რომ „უილიამსის“ პილოტები ერთდროულად პირველად მოხვდნენ ექვსეულში.

საკვირაო რბოლა მეასე იყო ოლივიე პანისთვის. 34 წლის ფრანგმა იუბილე უსახელოდ აღნიშნა — ტრასაზე მხოლოდ 23 წრე გაძლო.

დაბოლოს, ეს „სკუდერიის“ სახელოვან ისტორიაში 140-ე გამარჯვებაა, რომელთაგან, როგორც ვთქვით, 49 მიხაელ შუმახერის ანგარიშზეა და მას ალენ პროსტის სუპერრეკორდამდე ორი მოგებაღა აშორებს.

**გია ახალაძე**

## რბოლის შედეგები

### ევროპის დიდი პრიზი

24 ივნისი. ნიურბურგი (გერმანია)

დისტანცია — 67 წრე — 305,252კმ

| | |
|---|---|
| 1. მ. შუმახერი (ფერარი) | 1:29.42,724 (209,326 კმ/სთ) |
| 2. მონტოია (უილიამსი) | ჩამორჩა 4,217 |
| 3. კულჰარდი (მაკლარენი) | 24,993 |
| 4. რ. შუმახერი (უილიამსი) | 33,345 |
| 5. ბარიკელო (ფერარი) | 45,495 |
| 6. ჰაკინენი (მაკლარენი) | 1.04,868 |
| 7. ირვინი (იაგუარი) | 1.06,198 |
| 8. დე ლა როსა (იაგუარი) | 1 წრით |
| 9. ვილნევი (BAR) | 1 წრით |
| 10. რაიკონენი (ზაუბერი) | 1 წრით |
| 11. ფიზიკელა (ბენეტონი) | 1 წრით |
| 12. ბურტი (პროსტი) | 2 წრით |
| 13. ბატონი (ბენეტონი) | 2 წრით |
| 14. ალონსო (მინარდი) | 2 წრით |
| 15. ალეზი (პროსტი) | 3 წრით |

#### რბოლას გამოეთიშნენ

| | |
|---|---|
| ფერსტაპენი (ეროუსი) | გაიარა 58 წრე |
| ჰაიდფელდი (ზაუბერი) | 54 |
| ფრენცენი (ჯორდანი) | 48 |
| ტრული (ჯორდანი) | 44 |
| ბერნოლდი (ეროუსი) | 29 |
| პანი (BAR) | 23 |
| მარკეში (მინარდი) | 7 |

#### საუკეთესო წრე

მონტოია 1.18,354 (209,326 კმ/სთ)

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | | ავსტრალია 4 მარტი | მალაიზია 18 მარტი | ბრაზილია 1 აპრილი | სან მარინო 15 აპრილი | ესპანეთი 29 აპრილი | ავსტრია 13 მაისი | მონაკო 27 მაისი | კანადა 10 ივნისი | ევროპა 24 ივნისი | საფრანგეთი 1 ივლისი | დ.ბრიტანეთი 15 ივლისი | გერმანია 29 ივლისი | უნგრეთი 19 აგვისტო | ბელგია 2 სექტემბ. | იტალია 16 სექტემბ. | აშშ 30 სექტემბ. | იაპონია 14 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მ.შუმახერი ფერარი, გერმანია | 10 | 10 | 6 | - | 10 | 6 | 10 | 6 | 10 | | | | | | | | | 68 |
| 2 | კულჰარდი მაკლარენი, ბრიტანეთი | 6 | 4 | 10 | 6 | 2 | 10 | 2 | - | 4 | | | | | | | | | 44 |
| 3 | ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 4 | 6 | - | 4 | - | 4 | 6 | - | 2 | | | | | | | | | 26 |
| 4 | რ. შუმახერი უილიამსი, გერმანია | - | 2 | - | 10 | - | - | - | 10 | 3 | | | | | | | | | 25 |
| 5 | მონტოია უილიამსი, კოლუმბია | - | - | - | - | 6 | - | - | - | 6 | | | | | | | | | 12 |
| 6 | ჰაკინენი მაკლარენი, ფინეთი | - | 1 | - | 3 | - | - | - | 4 | 1 | | | | | | | | | 9 |
| 7 | ჰაიდფელდი ზაუბერი, გერმანა | 3 | - | 4 | - | 1 | - | - | - | - | | | | | | | | | 8 |
| 8 | ვილნევი BAR, კანადა | - | - | - | - | 4 | - | 3 | - | - | | | | | | | | | 7 |
| 9 | ტრული ჯორდანი, იტალია | - | - | 2 | 2 | 3 | - | - | - | - | | | | | | | | | 7 |
| 10 | რაიკონენი ზაუბერი, ფინეთი | 1 | - | - | - | - | 3 | - | 3 | - | | | | | | | | | 7 |

ფრენცენი (ჯორდანი) — 6; პანი (BAR) — 5; ირვინი (იაგუარი) — 4; ალეზი (პროსტი) — 3; ფიზიკელა (ბენეტონი), ფერსტაპენი (ეროუსი), დე ლა როსა (იაგუარი) — 1 ქულა

| | | ავსტრალია 4 მარტი | მალაიზია 18 მარტი | ბრაზილია 1 აპრილი | სან მარინო 15 აპრილი | ესპანეთი 29 აპრილი | ავსტრია 13 მაისი | მონაკო 27 მაისი | კანადა 10 ივნისი | ევროპა 24 ივნისი | საფრანგეთი 1 ივლისი | დ.ბრიტანეთი 15 ივლისი | გერმანია 29 ივლისი | უნგრეთი 19 აგვისტო | ბელგია 2 სექტემბ. | იტალია 16 სექტემბ. | აშშ 30 სექტემბ. | იაპონია 14 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფერარი | 14 | 16 | 6 | 4 | 10 | 10 | 16 | 6 | 12 | | | | | | | | | 94 |
| 2 | მაკლარენი | 6 | 5 | 10 | 9 | 2 | 10 | 2 | 4 | 5 | | | | | | | | | 53 |
| 3 | უილიამსი | - | 2 | - | 10 | 6 | - | - | 10 | 9 | | | | | | | | | 37 |
| 4 | ზაუბერი | 4 | - | 4 | - | 1 | 3 | - | 3 | - | | | | | | | | | 15 |
| 5 | ჯორდანი | 2 | 3 | 2 | 3 | 3 | - | - | - | - | | | | | | | | | 13 |

BAR — 12; იაგუარი — 5; პროსტი 3; ბენეტონი, ეროუსი — 1 ქულა

# დათვები პირამიდას შეეფარნენ

**ეროვნული** საკალათბურთო ასოციაციის კომისარი დევიდ შტერნი ვეღარ დაიტრაბახებს, ჩემი ბოსობის ჟამს ლიგის არც ერთი კლუბი საზოგადოდ უკმაყოფილო არ ყოფილა და არავის უგრძვნია თავი ლტოლვილადო. ბატონი ნბა-ს კომისრის დამსახურებათა გრძელ ნუსხაში ისიც შედიოდა, რომ მისი მმართველობისას ნბა-ში შეწყდა კლუბების ერთი ქალაქიდან მეორეში მიგრაციები. შტერნის დროს, როგორც წესი, თითქმის არავის უჩნდებოდა ბინის გამოცვლის სურვილი, ხოლო იშვიათი გამონაკლისის შემთხვევაში პლანეტის უძლიერესი საკალათბურთო ლიგის მამამთავარი პირადად და ერთობ აქტიურად ერეოდა საქმეში და გადამწყვეტი სიტყვაც მისი გახლდათ. არცთუ შორეულ წარსულში შტერნმა გადაარჩინა „მინესოტა ტიმბერვულვზი" და „ვანკუვერ გრიზლიზი" და გაანთავისუფლა ეს ორი კლუბი ბინის გამოცვლასთან დაკავშირებულ აუარებელ პრობლემისგან.

მაგრამ რაც არ უნდა ძლიერ სურდეს ბატონ შტერნს, მის სამფლობელოში სრული იდილია სუფევდეს, როგორც ჩანს, ნბა ერთ მიგრაციას მაინც ვერ აიცილებს. თითქმის საბოლოოდაა გადაწყვეტილი სწორედ იმ „ვანკუვერ გრიზლიზის" გადასახლება, რომელიც ერთხელ შტერნის ავტორიტეტმა უკვე იხსნა ამ პროცესისგან. ამ კვირაში ნბა-ს მამები აპირებენ, ბოლოჯერ განიხილონ „გრიზლიზის" საკითხი და თუ მოიწონეს მისი სხვაგან გადასვლა (თან ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს ასეც მოხდება), „დათვები" კანადური ვანკუვერიდან მისისიპის მარგალიტ მემფისში გადაბარგდებიან.

შტერნის ყოველგვარი მცდელობა, ცივი ვანკუვერის გაყინულ მიწაზე კალათბურთი აეყვავებინა, ჩაიფუშა. იქ ჰოკეი ურჩევნიათ და ვანკუვერელებმა კალათბურთი გერივით მიიღეს. კლუბის მფლობელებმაც მარტო ბოლო წელიწადში 40 მილიონზე მეტი იზარალეს. ამის გარდა, კლუბმა ბევრი ვარსკვლავი დაკარგა, იმის გამო, რომ მათ არ ისურვეს საკუთარი ცხოვრების რაღაც ნაწილი ნბა-ს ციმბირში გაეტარებინათ. „გრიზლიზიც" ვერა და ვერ დაიძრა შუა დასავლეთის დივიზიონის ფსკერიდან, თუმც ნბა-ში აგერ ექვსი სეზონი გაუტარებია. ალბათ, საკმარისი მიზეზია იმისთვის, რომ კლუბის მამებს „დათვებისთვის" სხვა ბუნაგის ძებნა დაეწყოთ.

ლეგენდარული ელვის პრესლის მშობლიურმა მემფისმა თბილად მიიღო კანადაში გათოშილი „დათვები". ხელმძღვანელობა ნბა-ს საბოლოო გადაწყვეტილებას ელის, რათა კლუბის ბიზნეს-ოფისი ამ ქალაქში გადაიტანოს. მანამდე კი „დათვების" დამრიგებელი სიდნი ლოვი, პრეზიდენტი დიკ ვერსაჩე, მენეჯერთ მენეჯერი ბილი ნაითი და მათი ხელქვეითები უკვე ეწვივნენ მემფისს და იქ დროებითი ოფისი გამართეს. კლუბი იქვე მასპინძლობს წინასადრაფტო შეკრებაზე პროფესიონალებად გამზადებულ ყმაწვილებს.

„დათვების" შინაური სარბიელი პირველ წლებში ათი წლის წინ და 250 მილიონ დოლარად აშენებული კოხტა დარბაზი „პირამიდი" იქნება. თითქმის ყველაფერი მზადაა იმისთვის, რომ მომავალი სეზონიდან „მემფის გრიზლიზმა" კლუბის ისტორიაში ახალი ერა დაიწყოს.

**ირაკლი ფირცხალავა**

# პორტლენდმა თავი იპოვა

**„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი"** ძიებაშია. დღესდღეობით ეს კლუბი ერთადერთია, ვისაც მთავარი მწვრთნელი არ ჰყავს. „პორტლენდი" უთავკაცოდ ამა წლის 8 მაისიდანაა, როცა მაიკ დანლივი, კაცი, რომელიც ორი წლის წინ სეზონის მწვრთნელად იქნა აღიარებული, კლუბიდან დაითხოვეს, პლეი ოფის პირველ წრეში მომავალ ჩემპიონ „ლოს ანჯელეს ლეიკერსთან" 0:3 წაგებისთვის.

„პორტლენდი" სოლიდური კლუბია და სანამ ვინმეს თავისთან დაუძახებს და არეულ გუნდს ჩააბარებს, ასჯერ დაფიქრდება. კლუბის ხელმძღვანელებმა რამდენიმე კანდიდატურა განიხილეს — 1987 წელს თბილისში „ატლანტა ჰოქსთან" ერთად ნამყოფი ცნობილი სპეციალისტი მაიკ ფრატელო, რომელიც თბილისურ ვიზიტამდე ერთი წლით ადრე სეზონის მწვრთნელი გახლდათ, ახლა კი უმუშევარია. „პორტლენდმა" შეათვალიერა აგრეთვე „მილუოკისა" და „ორლანდოს" მეორე მწვრთნელები — ტერი სტოტსი და ჯონი დევისი, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, ამ ორის მთავარ მწვრთნელად დაწინაურება და ფრატელოს დიდ კალათბურთში დაბრუნება განუსაზღვრელი ვადით გადაიდება, რადგან „პორტლენდს" მათზე მეტად „ფილადელფია სიქსერზის" თავკაც ლარი ბრაუნის ასისტენტი მორის ჩიკსი მოსდის თვალში.

„მორისს დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს წლევანდელ წარმატებაში, ძირითადად მისი დამსახურებაა, რომ ალენ აივერსონი გაიზარდა როგორც კალათბურთელი და პიროვნება. იგი დიდი დანაკლისი იქნება ჩვენთვის, მაგრამ ყველას თავისი გზა აქვს და მინდა, მორისს წარმატება ვუსურვო" — ეს ჯერ კიდევ მორის ჩიკსის ხელმძღვანელის, „ფილადელფიას" დამრიგებელ ლარი ბრაუნის სიტყვებია.

44 წლის ჩიკსს არა აქვს ნბა-ში მთავარ მწვრთნელად მუშაობის გამოცდილება, თუმც მას აზრიან კაცად იცნობენ და ჭკვიანი ხალხი კარგად ახასიათებს. ჩიკსი ამ ხუთშაბათს ჩაფრინდა პორტლენდში და ქალაქის ერთ-ერთ სასტუმროში შეძლებისდაგვარად ფარულად, ხმაურის გარეშე შეხვდა „პორტლენდის" გენერალურ მენეჯერ ბობ ვიტსიტს. ვინაიდან ეს მხოლოდ პირველი წინასწარი საუბარი იყო, მხარეები ცდილობენ არ გაახმაურონ მისი შედეგები.

როგორც ბრაუნის სიტყვებიდან ჩანს, „ფილადელფიაში" გაუჭირდებათ ჩიკსის გარეშე. იგი ძირძველი ფილადელფიელია და „სიქსერზის" მაისურით 11 სეზონი უთამაშია. იყო „ოლ სტარის" ოთხგზის მონაწილე და იმ „ფილადელფიას" ერთ-ერთი ლიდერი, რომელშიც ლეგენდები — ჯულიუს ირვინგი და მოზეს მელოუნი თამაშობდნენ და რომელმაც 1983 წლის ნბა-ს ფინალში მეჯიქ ჯონსონის და ქარიმ აბდულ-ჯაბარის „ლეიკერსი" 4:0 გაანადგურა.

„მე და ბობ ვიტსიტმა ტელეფონით ოცი წუთი ვისაუბრეთ — ამბობს „ფილადელფიას" გენერალური მენეჯერი ბილი კინგი — ბობს ვუთხარი, რომ მორისის მიწვევაზე კარგს ვერაფერს იზამს. სამი წლის წინ ამაში იქნებ ეჭვი შემპარვოდა, მაგრამ ახლა თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ მორისი დიდი მთავარი მწვრთნელი იქნება".

**ივანე ძოწიაშვილი**

## საბერძნეთი



პანათინაიკოსელი დეიან ბოდიროგა ჩემპიონობისას სვამს

### პლეი ოფი

ფინალი (სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი | 3 |
| ოლიმპიაკოსი | 2 |

**პანათინაიკოსი 79:63 ოლიმპიაკოსი**

პანათინაიკოსი: კალაიძისი (8), როჯერსი (2), ფოცისი (2), რებრაჩა (18), ბოდიროგა (16), ბალოიანისი (3), ალვერტისი (24), ჟენტილე (4), ბერკი (2)

ოლიმპიაკოსი: ტომიჩი (10), რიზაშე (4), ვუჭევიჩი (7), პაპანიკოლაუ (5), რაჯა (13), სულისი (2), დორკოფიკისი, რივერსი (8), დე მიგელი (14)


იყიდება

☎ (231) 7 17 58

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ².



დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიაოსთან"




NHL. დრაფტი 2001



REUTERS სარბიელისთვის

ახალწვეულთა პირველი სამეული: ჯეისონ სპეცა, ილია კოვალჩუკი და ალექსანდრ სვიტოვი

# ყველაზე რუსული დრაფტი

**2001 წლის** დრაფტი ყველაზე რუსული გახლდათ ნჰლ-ში. დრაფტების 32-წლიან ისტორიაში პირველადაა, რომ საუკეთესო ხუთ ახალბედას შორის სამი რუსი ხვდება. მათგან რჩეული 18 წლის ვუნდერკინდი ილია კოვალჩუკია. ეჭვიც არავის შეჰპარვია იმაში, რომ პირველი არჩევანის მქონე ატლანტა სწორედ მას აიყვანდა. 1991 წლის შემდეგ, როდესაც პირველი ერიკ ლინდროსი გახდა, არც ერთ ნორჩს არ ჰქონია ესოდენ დიდი უპირატესობა თანატოლთა წინაშე. ამიტომაც ხარობს „თრეშერზის" გენერალური მენეჯერი დონ უოდელი: „არსებობის სამი წლის მანძილზე გუნდი პირველად იყო ასეთი ერთსულოვანი. ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი კოვალჩუკის არჩევას. იგი ისეთ თვალსაჩინო პროგრესს განიცდის, რომ რამდენიმე წელიწადში 400 ქულის მოგროვებაც არ გაუჭირდება" — ქება-დიდებას არ აკლებს უოდელი ახალწვეულს. და მართლაც, კოვალჩუკი ჩინებულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს უნიჭიერესი ჰოკეისტი პაველ ბურესავით სწრაფი და ოუენ ნოლანივით ძლიერია. მისი ერთადერთი ნაკლი ზედმეტი ემოციურობაა, თუმცა ატლანტის მესვეურთ ეს სულაც არ აშინებს. გუნდმა ბოლო სამ დრაფტზე ორი პირველი (კოვალჩუკი, პატრიკ შტეფანი) და ერთი მეორე (დანა ჰიტლი) ნომრები აიყვანა, ახალ გუნდს კი სწორედ კოვალჩუკზე აგებს. სავარაუდოდ, რუსი წლეულსვე მოსინჯავს ძალას ნჰლ-ში. „ვიცი, რომ ეს ახალგაზრდული გუნდია, მაგრამ ვეცდები, მაქსიმალური სარგებელი მოვუტანო მას" — ეს სიტყვები თქვა კოვალჩუკმა, როცა ატლანტამ აირჩია.

როგორც მოგახსენეთ, პირველ ხუთეულში კიდევ ორი რუსი შევიდა. მესამე ნომრად ტამპამ ტანმაღალი და ძალისმიერი ფორვარდი ალექსანდრ სვიტოვი აიყვანა. ტამპელთა გენერალური მენეჯერის, რიკ დადლის თქმით, ეს სწორედ ის ჰოკეისტია, რომელიც წლეულსვეა მზად, ნჰლ-ში ითამაშოს. და მართლაც, სვიტოვი თავის ასაკის კვალობაზე ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად კარგად მომზადებული, მეტიც, თავდაჯერებული ჩანს. რაც შეეხება მეხუთე ნომერ სტანისლავ ჩისტოვს, მას ერთი-ორი წელი ლოდინი მოუწევს, სანამ ფიზიკურად მომძლავრდება. ნჰლ-ში ტანმორჩილ მოთამაშეებს არ ინდობენ, თუმცა ჩისტოვი საკმაოდ ნიჭიერი, სწრაფია და უეჭველია, სამომავლოდ მაღალი კლასის ოსტატადაც იქცევა. ყოველ შემთხვევაში, ამის სჯერა მის ახალ პატრონს, ანაჰაიმის გენერალურ მენეჯერ პოლ გოტიეს.

რუსთა შორის შუალედებში ორი კანადელიც აირჩიეს. მეორე ნომრად ოტავამ, რომელმაც ეს უფლება აილენდერსისგან გაცვლის შედეგად მოიპოვა, ჯეისონ სპეცა მიიწვია. ეს მოთამაშე დიდი ხნის განმავლობაში სასკაუტო ბიუროს რეიტინგში პირველ ადგილზე იმყოფებოდა, მაგრამ ბოლოს კოვალჩუკს დაუთმო ლიდერობა. თუმცა ოტაველთა მესვეურებს მის უდიდეს პოტენციალში ეჭვიც არ ეპარებათ. მით უმეტეს, რომ იმავე ატლანტასთან შედარებით ოტავა ჩამოყალიბებული გუნდია და ოსტატ პარტნიორთა გარემოცვაში სპეცას გაუიოლდება კლასის ამაღლება. მოგეხსენებათ, შარშან 16 წლის სპეცა 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობდა.

მეოთხე ნომრად ფლორიდაში მოხვდა სტივ უაისი. ზემოხსენებულ ჰოკეისტთაგან განსხვავებით, იგი არც ფიზიკურად ძლიერია, არც განსაკუთრებული ტექნიკით გამოირჩევა, მაგრამ შეუძლია, კრიტიკულ მომენტებში ლიდერობა იტვირთოს და პარტნიორებს წარუძღვეს. ამ თვისებით მას ჯო საკიკსა და სტივ აიზერმანს ადარებენ. მოგეხსენებათ, ფლორიდას სწორედ ასეთი მოთამაშე აკლია და ვინ იცის, იქნებ „პანტერებმა" მომავალი კაპიტანიც კი მიიღეს თავიანთ რიგებში.

პირველ ათეულში ორი ფინელი მოხვდა, რომელთა უფროსი ძმებიც ცნობილი ჰოკეისტები არიან. მეექვსე ნომრად მინესოტამ მონრეალის ლიდერის, საკუ კოივუს ძმა მიკო ირჩია, რომელმაც მსოფლიოს ახალგაზრდათა პირველობაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მეცხრე რჩეული კი ტუომო რუუტუ შეიქნა, რომელიც ჩიკაგოს ხვდა წილად. ტუომოს უფროსი ძმა იარკო ვანკუვერის ღირსებას იცავს. შარშან ოტავამ დრაფტზე შუათანა ძმა მიკო აიყვანა, ახლა კი ტუომოს ჯერი დადგა. ყველაზე ცნობილი რუუტუ, კრისტიანი კი, რომელიც თავის დროზე ასევე ჩიკაგოში ასპარეზობდა, მათი მოგვარეა. ათეულში ორი მეკარეც შევიდა, რაც ზედიზედ მეორე სეზონია, ხდება. კოლუმბუსმა ყველას პასკალ ლეკლერი ამჯობინა. მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, სტილით კი პატრიკ რუას ამგვანებენ. რეინჯერსმა თვალი დენ ბლექბერნს დაადგა, რომელსაც მეათე ნომერი ჰქონდა.

აშშ-ის წარმომადგენელთა შორის პირველს მცველ მაიკ კომისარეკს გამოუჩნდა პატრონი. ბედის ირონიით, ეს ყველაზე კანადური კლუბი — მონრეალია. კომისარეკმა, რომელიც საკმაოდ ტანბრგეა (193 სმ, 105 კგ) და თავისი ფუნქციების მარჯვე შესრულებით გამოირჩევა, მეამპლუეთა შორის ყველას აჯობა, რაც თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს.

მხოლოდ მეორე ათეულს მოექცა თავში საუკეთესო შვედი, ფორვარდი პატრიკ შოსტრიომი. მეოცე ნომრად სან ხოსემ გერმანელი მარსელ გოჩი აიყვანა, ხოლო ჩეხთაგან საუკეთესო, თავდამსხმელი ირჟი ნოვოტნი მხოლოდ 22-ე პოზიციით დაკმაყოფილდა.

მთლიანობაში კი პირველ რაუნდში არჩეული 30 ჰოკეისტიდან 11 ევროპელია: ხუთი რუსი, ორ-ორი ფინელი და შვედი, თითო-თითოც გერმანელი და ჩეხი. და მაინც, ეს დრაფტი რუსული იყო. მის ცხრა რაუნდში 39 რუსი აირჩიეს, რაც მათთვის მეორე შედეგია (1992 წელს — 47). დაბოლოს, 66-ე ნომრად ვანკუვერში მოხვდა სერგეი ფიოდოროვის ძმა, ფიოდორი.

**სამველ ღარიბიანი**

ევროპის ერთა თასი 2002

# ევროპის ერთა თასს მესამედაც რუმინეთით დავასრულებთ

## 2001 წლის 7 აპრილი: რუმინეთი — საქართველო 20:31

## 2002 წლის 7 აპრილი: საქართველო — რუმინეთი ?

**ამ** უქმეებზე ჩეხეთის უპირველესმა ქალაქმა პრაღამ FIRA-AER-ის ყოველწლიურ კონგრესს უმასპინძლა.

ევროპული რაგბის მამების თავშეყრას საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე და ვიცე-პრეზიდენტი ზაზა ქასაშვილიც დაესწრნენ. კონგრესის მთავარი თემა ევროპის ერთა თასის გათამაშების კალენდრის დადგენა გახლდათ. გარდა ამისა, კონგრესის წევრებს რაგბის განვითარების და მისი კიდევ უფრო პოპულარიზაციის გეგმაც დაუსახავთ. ლაპარაკია შვიდკაცა რაგბიში ევროპის ჩემპიონატზე, რომლის ჩატარებაც მომავალი წლისთვის იქნება შესაძლებელი. კონგრესის წევრებს არც სხვადასხვა ტურნირის მოწყობა გამორჩენიათ მხედველობიდან. ძირითადი აქცენტი ოცდაერთწლამდელებზე გაკეთდა. როგორც ჩანს, FIRA-ს ხელმძღვანელობა ახალგაზრდული რაგბის გაძლიერებას ცდილობს.

გარდა ამისა, კონტინენტზე ამიერიდან ახალი თასი გათამაშდება. კონგრესის მონაწილეებმა მოყვარულ მორაგბეებზეც იზრუნეს და ახალი შეჯიბრების სტრუქტურაც ჩამოაყალიბეს. ტურნირს „პროვინციის თასი" ეწოდა და მასში ესპანეთის, გერმანიის, ჰოლანდიის, იტალიისა და საფრანგეთის პროვინციების მოყვარულ მორაგბეთა ნაკრებები მიიღებენ მონაწილეობას. სამომავლოდ ახალშობილი ტურნირის რუკა მნიშვნელოვნად გაიზრდება და ევროპის საკმაოდ დიდ ტერიტორიას აითვისებს.

რაც შეეხება ჩვენთვის ყველაზე საინტერესო თემას, ევროპის ერთა თასის 2002 წლის გათამაშების კალენდარს, ამაზე საკმაოდ ვრცლად უსაუბრიათ კონგრესის წევრებს. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ერთა თასის მატჩები ყოველთვის ექვსი ერის ჩემპიონატის პარალელურად იმართებოდა, ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა. ქართველებს გასარკვევი გვაქვს პორტუგალიასთან, ჰოლანდიასთან და ესპანეთთან გასამართი მატჩების ზუსტი თარიღები. პორტუგალიასთან და ესპანეთთან სტუმრად ვთამაშობთ. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ავიაკომპანიების რეისების განრიგი. იგივე პრობლემა აწუხებთ ჰოლანდიელებს ჩვენთან სტუმრობისას. თუმცა ეს ძალიან მცირე დეტალია და ამ ქვეყნების ფედერაციების ხელმძღვანელები მალევე მორიგდებიან. მანამდე კი წინასწარ შემუშავებულ კალენდარს გთავაზობთ.

**ბაჩო სვანიძე**

2 ან 3 თებერვალი
**საქართველო — ჰოლანდია**
16 ან 17 თებერვალი
**პორტუგალია — საქართველო**
3 მარტი
**საქართველო — რუსეთი**
16 ან 17 მარტი
**ესპანეთი — საქართველო**
7 აპრილი
**საქართველო — რუმინეთი**

ტესტ-მატჩები

დურბანი. 24 ივნისი

**სამხრეთ აფრიკა 20:15 საფრანგეთი**

სამხრეთ აფრიკა: დელპორტი, პოლსე, ფლეკი, ბერი, პოლი, ჯეიმსი, ფან დერ ვესტჰოიზენი; ლე რუ (კემპსონი 68), სმიტი, მეიერი, ფან დენ ბერგი (ენდრიუსი 80), ენდრიუსი (აკერმანი 79), ერასმუსი, ფოსი (კაპ.) კრიხე (სკინსტედი 46)
1ლ: კრიხე; 5ს: ჯეიმსი
საფრანგეთი: ჟანჟანი, დომინისი, გლა, ჟოზიონი, ბორი, მერსერონი, გალტიე (კაპ.); კრანკა (კალიფანო 63), იბანიესი (აზამი 63), დე ვილიე, ორადუ (ნალე 72), ბრუზე, შაბალი (ვერმელანი 70), ტაბაკო, მანი
4ს. და 1ა: მერსერონი
დროებითი გაძევება: ენდრიუსი (15), ბერი (38), მანი (60)
მსაჯი: ვაიტი (ინგლისი)

აპია. 24 ივნისი

**სამოა 19:22 ფიჯი**

სამოა: 2ლ: ლიმა; 3ს: ლეაეგა
ფიჯი: 3ლ: დელასაუ (2), მალე; 2გ. და 1ს: ლითლი

კრაისტჩერჩი. 23 ივნისი

**ახალი ზელანდია 67:19 არგენტინა**

ახალი ზელანდია: მაკდონალდი (ჰოულეტი 45), უილსონი, უმაგა, ალატინი, ლომუ, მერთენსი (ბრაუნი 34), მარშალი; ჰოფტი (სომერვილი 61), ოლივერი (კაპ.) (პოლა 46), პეიმენი, მაქსველი, ფლეოველი (ჯეკი 53), ტორნი, კოლინზი (მეჰეტი 46), რენდელი
10ლ: უმაგა, რენდელი, ალატინი (2), მაკდონალდი, უილსონი (2), ჯეკი, ჰოულეტი, პოლა; 7გ: მერთენსი (3), ბრაუნი (4); 1ს: მერთენსი
არგენტინა: სტორტინი, კამარდონი, ორენგო, არბიზუ (კაპ.), ალბანეზე (მიოსეკი 54), კონტეპომი (კესადა 57), პიჩოტი; გრაუ (რეჯიარდო 66), მენდესი, პასანი, ალუბი, ლობე, ფელანი (ოსტილია 66), ლონგო, რეჯიარდო (57), მარტინი
2ლ: არბიზუ, კამარდონი; 3ს: კონტეპომი
დროებითი გაძევება: ოლივერი (46), გრაუ (57)
მსაჯი: კოლი (ავსტრალია)

ვინდჰუკი. 23 ივნისი

**ნამიბია 24:49 იტალია**

ნამიბია: 3ლ: ჰოუელი, ფერტერი, ბლაუე; 3გ. და 1ს: კოტცე
იტალია: 7ლ: პოძებონი (2), კეკინატო (2), პერძიანო, მარტინი, ტრონკონი; 7გ: მაძარიოლი

ბრიტანელი ლომები ავსტრალიაში

სიდნეი. 23 ივნისი

**სიდნეი 24:41 ბრიტანელი ლომები**

სიდნეი: 4ლ: პინკერტონი, კალიმორი, ჰარისი, ედმონდსი; 2გ: ედმონდსი
ბრიტანელი ლომები: 5ლ: რობინსონი (2), ოდრისკოლი, უილკინსონი, ჯეიმსი; 5გ: უილკინსონი (4), დოუსონი; 2ს: უილკინსონი



ევროპის ჩემპიონატი

# ფავორიტის მძიმე მანტია

## იუგოსლავიელებმა გამარჯვება გაიხსენეს

ნახევარფინალი
**იტალია 8:7 უნგრეთი**
**იუგოსლავია 8:6 ხორვატია**
ფინალი
**იუგოსლავია 8:5 იტალია**
მესამე ადგილისთვის
**უნგრეთი 12:9 ხორვატია**


REUTERS
იუგოსლავიელები ფანებთან ერთად ევროპის ჩემპიონობით ხარობენ

წყალბურთელთა კონტინენტის მთავარი ასპარეზობა დასრულდა. ევროპის 25-ე ჩემპიონატზე 12 ნაკრები პირველობას ეცილებოდა ერთმანეთს. გარდა ამისა, ალფრედ ჰაიოშის ცურვის სტადიონზე ფუკუოკას მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურებიც გათამაშდა. იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატამდე კი სამიოდე კვირაა დარჩენილი. ასე რომ, კონტინენტის უმთავრეს სარბიელზე პაექრობა ერთგვარი რეპეტიციაც გახლდათ. დამარცხებული გუნდები, ისევე როგორც ფინალისტები, გარკვეულ დასკვნებს გამოიტანენ, მერე კი არც ამომავალი მზის ქვეყანაა შორს.

ახლა რაც შეეხება განვლილ პაექრობებს. მიუხედავად დიდი მცდელობისა, მასპინძელთა ნაკრები ფინალს მიღმა დარჩა. ეს, ალბათ, მეოთხედფინალში მარადიულ მეტოქესთან — რუსეთთან მატჩმაც განაპირობა. ამა თუ იმ სარბიელზე მათი ყოველი შეხვედრა თავდაუზოგაობით გამოირჩევა. ნახევარფინალურ შეხვედრაში თუ იტალიის დარ გუნდს ხვდები, ძალების სრული მობილიზაცია გმართებს. თუმც შეიძლება ასეც ითქვას: უნგრეთისთვის ფავორიტის მანტია ერთობ მძიმე აღმოჩნდა. სიდნეის ოლიმპიური თამაშებისა და გასული ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედალოსნები 1999 წლის მსოფლიო თასის ფინალისტებთან, იტალიელებთან დამარცხდნენ 7:8.

პირველ და მეორე მეოთხედებში მეტოქეებმა 3:3 და 2:2 ითამაშეს. აი, მესამე და მეოთხე შვიდწუთეულში კი შესაბამისად ჯერ მადიარებმა იყოჩაღეს 1:0, მერე კი აპენინელებმა 3:1. არადა, ფინალისტის ვინაობა მატჩის დამთავრებამდე 140 წამით ადრე გაირკვა. გადამწყვეტი ბურთი მასპინძელთა კარში რუმინული წარმოშობის ბოგდან რატმა შეაგდო.

უნგრეთი — იტალიის მატჩისგან განსხვავებით, პირველი ნახევარფინალური შეხვედრა არცთუ დაძაბული აღმოჩნდა. იუგოსლავიელებმა, სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოსნებმა საკმაოდ იოლად სძლიეს ყოფილ მოძმე ხორვატებს.

მატჩის შემდგომ იუგოსლავიელთა მწვრთნელმა ნენად მანოილოვიჩმა გლობალურად მიმოიხილა ფინალების პრინციპი და არც მეტოქისთვის დაუშურებია საქებარი სიტყვები.

„მეოთხედფინალებს, ნახევარფინალებსა და ფინალებს ერთი რამ აქვთ საერთო. ყველა მათგანი ფინალის დარ მიდგომას საჭიროებს, ამისთვის კი ყველაფერი უნდა გაიღოთ. თუ ასე არ მოიქცევით, მაშინ ეს თქვენი ბოლო შეხვედრა იქნება. გუშინ ერთობ რთული მატჩი გვქონდა, დღეს კი მასზე ბევრად რთული. ხორვატებს ძალიან კარგი გუნდი ჰყავთ. მათ იციან, როგორ ითამაშონ ჩვენს წინააღმდეგ. გარდა ამისა, ასპარეზობისას სულაც არ მაწუხებდა სპორტსმენებს შორის შეხლა-შემოხლა. ორივე მხარეს საკმაოდ არიან პროფესიონალები, რათა სისულელე არ ჩაიდინონ" — კმაყოფილი ჩანდა მატჩის შემდეგ მანოილოვიჩი.

მარცხნაწვნევ ხორვატებს არც მესამე ადგილისთვის ბრძოლაში გაუმართლათ. უდავო იყო, რომ უნგრეთი მეორედ აღარ შერცხვებოდა საკუთარ კედლებში. ხორვატთა დამარცხებაში უდიდესი წვლილი პეტერ ბიროშს მიუძღვის. მან სამჯერ აიღო მეტოქის კარი. გარდა ამისა, მასპინძლებს თანამემამულეებიც მხურვალედ ქომაგობდნენ. ბუდაპეშტის ცენტრში, კუნძულ მარგიტზე თავმოყრილი 8 ათასი გულშემატკივარი მატჩის სანახაობრივ მხარზე მეტად შეხვედრის უხვგოლიანობით დატკბებოდა. ცხრა წუთის შემდეგ ტაბლო 4:1 აჩვენებდა მადიართა სასარგებლოდ. ნათელი იყო, გამარჯვება უნგრეთს დარჩებოდა, მით უმეტეს, რომ ხორვატებს უკვე ყურები ჩამოეყარათ. წინა მატჩისგან განსხვავებით, მასპინძლები ამ შეხვედრაში უკეთ გაისარჯნენ. მათ არაერთი ლამაზი კონტრშეტევა განახორციელეს. მასპინძლებმა თითქმის ყველა იერიში გოლით დაასრულეს. ერთი სიტყვით, ხორვატებს იოტისოდენა შანსიც არ ჰქონდათ — 12:9.

ვიდრე ფინალზე გადავიდოდეთ, ერთი-ორ სიტყვას იმ კაცზეც გეტყვით, რომლის სახელსაც ეს სარბიელი ატარებს, რამეთუ იგი ნამდვილად იმსახურებს ასეთ პატივს.

„უნგრულ დელფინად" წოდებული ალფრედ ჰაიოში ათენის 1896 წლის პირველი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია. მან 100 და 1200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, რომელიც ღია ზღვაში მიმდინარეობდა, ჩემპიონობა მოიპოვა. უკვე ათენის ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონმა მომდევნო ოლიმპიურ თამაშებზე პარიზში კიდევ ისახელა თავი, ოღონდ ამჯერად ხელოვანთა კონკურსში. ჰაიოშმა მეორე ოლიმპიადაზე არქიტექტურის განხრით ვერცხლის მედალი მოიპოვა სტადიონის პროექტირებისთვის. ეს საქმე მას მართლაც რომ ეხერხებოდა. არქიტექტორ ჰაიოშს ეკუთვნის მსოფლიოში პირველი დახურული აუზის (ტრიბუნით) პროექტი. სწორედ იმის, სადაც ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობდა, თუმცა დღეს ეს საცურაო სტადიონი უკვე სახეცვლილია. სხვათა შორის, ჰაიოში ბუდაპეშტის ცნობილი „ნეპშტადიონის" პროექტის თანაავტორიცაა.

ახლა რაც შეეხება ასპარეზობის მთავარ ორთაბრძოლას. 10 წელი დასჭირდა იუგოსლავიას, რათა 1991 წელს ათენში მოპოვებული ტიტული დაებრუნებინა. ფინალურ პაექრობაში ნენად მანოილოვიჩის გუნდმა დამსახურებულად მოიპოვა ევროპის ჩემპიონის გვირგვინი. მას ცხრა დღეში არც ერთი შეხვედრა არ წაუგია, ქვეჯგუფიც ლიდერად ჩაამთავრა.

მატჩის დასაწყისი სულ სხვას მოასწავებდა. პირველი მეოთხედი იტალიელებმა მოიგეს 2:0. მეორე მეოთხედში კი აშკარა გახდა, რომ მათთვის მეორე ადგილიც კარგი შედეგი იქნებოდა.

იტალიელთა მხრიდან შემოთავაზებული სიურპრიზი ხანმოკლე გამოდგა. პირველი შვიდწუთეულისგან განსხვავებით, მეორეში სულ სხვა სურათი ვიხილეთ. იუგებმა პირწმინდად მოიგეს მეორე მეოთხედი — 4:0. იტალიელთა ახალმა მწვრთნელმა სანდრო კამპანამ ყველაფერი გააკეთა თავისი გუნდის თამაშის გასაუმჯობესებლად, მაგრამ მის შეგირდებს ამან ვერ უშველა. ვერ უშველა იტალიელთა მხარეს გადახრილმა მაყურებელთა სიმპათიებმაც. აპენინელებმა მესამე შვიდწუთეულიც დათმეს — 1:2.

სხვათა შორის, ბუდაპეშტში მყოფი იტალიელი ჟურნალისტებიც თავიანთი გუნდის მარცხს ვარაუდობდნენ. მართალნიც აღმოჩნდნენ. ვერც ბოლო მეოთხედში შეძლეს იტალიელებმა გარდატეხის შეტანა. ამრიგად, იუგოსლავიელებმა გაიმარჯვეს 8:5. მიუხედავად ამისა, მაინც არ უნდა იყოს უკმაყოფილო იტალიელთა თავკაცი. მან წარმატებულად ჩააბარა გამოცდა. მისთვის პირველივე მთავარ ტურნირზე მედალი მოიპოვა.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ბუდაპეშტის ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ იტალიურ „რომაში" მოასპარეზე, სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოსანი, იუგოსლავიელი ვლადიმირ ვუიასინოვიჩი დაასახელეს. 8 მატჩში გატანილი 21 ბურთით ჩემპიონატის ბომბარდირობა კი მოსკოვის „დინამოში" მოთამაშე სიდნეის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა, რუსმა ალექსანდრ ერიშოვმა მოიპოვა. საუკეთესო მეკარის წოდება ყველაფრის მომგებ იტალიელს, ბარსელონას ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, 1993 წლის მსოფლიოს თასის გამარჯვებულს, 1993 და 1995 წლების ევროპის ჩემპიონს და 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონს, „ნაპოლიში" მოთამაშე ფრანჩესკო ატოლიკოს ხვდა წილად.

**გიგა გურასაშვილი**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია
## კროკო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | შვედეთი | | | |
| | | 26 ივნისი | | | |
| 22.00 | 001 | ჰალმსტადი-მალმიო | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| | | 27 ივნისი | | | |
| 22.00 | 002 | აიკ-იორგრიტე | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| | | ფინეთი. მე-15 ტური | | | |
| | | 27 ივნისი | | | |
| 20.30 | 003 | კუოპიო-მიუპა | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| | | 28 ივნისი | | | |
| 20.30 | 004 | ჰაკა-ინტერი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 20.30 | 005 | ჯაზი-იოკერიტი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 20.30 | 006 | ლაჰტი-ატლანტისი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 20.30 | 007 | ტამპერე-როვანიემი | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| | | ლიბერტადორესის თასი. ფინალი. II მატჩი | | | |
| | | 27 ივნისი | | | |
| 03.05 | 501 | ბოკა ხუნიორსი-რივერ პლეიტი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| | | მსოფლიოს ჩემპიონატი ჭაბუკები (არგენტინაში) | | | |
| | | 27 ივნისი | | | |
| 22.00 | 502 | აშშ-ეგვიპტე | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 22.00 | 503 | საფრანგეთი-გერმანია | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 01.00 | 504 | არგენტინა-ჩინეთი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 01.00 | 505 | ბრაზილია-ავსტრალია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 28 ივნისი | | | |
| 22.00 | 506 | უკრაინა-პარაგვაი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 22.00 | 507 | კოსტა რიკა-ჩეხეთი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 00.45 | 508 | ანგოლა-ჰოლანდია | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 00.45 | 509 | განა-ეკვადორი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| | | ევროპის ჩემპიონატი ქალები (გერმანიაში) | | | |
| | | 27 ივნისი | | | |
| 18.00 | 510 | გერმანია-რუსეთი | 1,45 | 3,8 | 6,0 |
| 20.00 | 511 | შვედეთი-ინგლისი | 1,6 | 3,6 | 4,4 |
| | | 28 ივნისი | | | |
| 20.30 | 512 | საფრანგეთი-დანია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.45 | 513 | ნორვეგია-იტალია | 1,0 | 1,0 | 1,0 |

### ჩოგბურთი. უიმბლდონი. კაცები

| | | | | | ანგარიში | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დრო | № | მატჩი | 1 | 2 | 3-0 | 3-1 | 3-2 | 2-3 | 1-3 | 0-3 |
| | | 26 ივნისი | | | | | | | | |
| 14.00 | 601 | კალატრავა-კიფერი | 3,5 | 1,2 | 15,0 | 8,0 | 6,5 | 6,0 | 3,1 | 1,4 |
| 14.00 | 602 | კალერი-როშიუ | 2,1 | 1,45 | 7,5 | 5,6 | 4,7 | 4,0 | 2,9 | 2,2 |
| 14.00 | 603 | დუპიუ-მამიტი | 1,65 | 1,75 | 4,2 | 3,5 | 3,8 | 3,8 | 4,0 | 5,6 |
| 14.00 | 604 | სა-პარმერი | 1,7 | 1,7 | 5,3 | 3,6 | 3,8 | 3,8 | 3,6 | 5,3 |
| 14.00 | 605 | ვისინგერა-სკილარი | 1,4 | 2,3 | 2,0 | 2,9 | 4,2 | 5,0 | 6,0 | 8,0 |
| 14.00 | 606 | ვაჩეკი-რაფტერი | 7,5 | 1,03 | 50,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 | 3,6 | 1,03 |
| 14.00 | 607 | კემპესი-ელ აინაუი | 2,1 | 1,45 | 7,5 | 5,6 | 4,7 | 4,0 | 2,9 | 2,2 |
| 14.00 | 608 | კანასი-გაუდიო | 1,25 | 3,1 | 1,5 | 3,0 | 5,6 | 6,0 | 7,5 | 12,0 |
| 14.00 | 609 | კორია-მელიგენი | 1,6 | 1,8 | 3,5 | 3,4 | 3,8 | 4,0 | 4,4 | 6,0 |
| 14.00 | 610 | არაზი-სანჩესი | 1,3 | 2,8 | 1,6 | 3,0 | 5,0 | 5,6 | 7,0 | 10,0 |
| 14.00 | 611 | ლიუბიჩიჩი-შუტლერი | 1,8 | 1,6 | 6,0 | 4,4 | 4,0 | 3,8 | 3,4 | 3,5 |
| 14.00 | 612 | დელგადო-მედვედევი | 1,9 | 1,55 | 6,5 | 5,0 | 4,2 | 3,8 | 3,1 | 3,0 |
| 14.00 | 613 | სიმერინკი-პლესი | 1,3 | 2,8 | 1,6 | 3,0 | 5,0 | 5,6 | 7,0 | 10,0 |
| 14.00 | 614 | ჰიუიტი-გუსტაფსონი | 1,04 | 6,5 | 1,1 | 3,4 | 8,0 | 10,0 | 17,0 | 40,0 |
| 14.00 | 615 | პაესი-ელსნერი | 1,3 | 2,8 | 1,6 | 3,0 | 5,0 | 5,6 | 7,0 | 10,0 |
| 14.00 | 616 | დამი-ენკვისტი | 3,1 | 1,25 | 12,0 | 7,5 | 6,0 | 5,6 | 3,0 | 1,5 |
| 14.00 | 617 | ჰიპფლი-უე | 2,0 | 1,5 | 7,0 | 5,3 | 4,4 | 4,0 | 2,9 | 2,5 |
| 14.00 | 618 | კრატოხვილი-გროსიანი | 2,8 | 1,3 | 10,0 | 7,0 | 5,6 | 5,0 | 3,0 | 1,6 |
| 14.00 | 619 | ტაბარა-პიოლინი | 3,5 | 1,2 | 15,0 | 8,0 | 6,5 | 6,0 | 3,1 | 1,4 |
| 14.00 | 620 | ზაბალეტა-სანტორო | 3,5 | 1,2 | 15,0 | 8,0 | 6,5 | 6,0 | 3,1 | 1,4 |
| 14.00 | 621 | მასიუ-ჩაილდსი | 1,6 | 1,8 | 3,5 | 3,4 | 3,8 | 4,0 | 4,4 | 6,0 |
| 14.00 | 622 | ვესელსი-აგასი | 4,0 | 1,15 | 18,0 | 9,0 | 7,5 | 6,5 | 3,2 | 1,3 |
| 14.00 | 623 | ჰაასი-ბლექი | 1,2 | 3,5 | 1,4 | 3,1 | 6,0 | 6,5 | 8,0 | 15,0 |
| 14.00 | 624 | ვოლჩკოვი-იუჟნი | 1,65 | 1,75 | 4,2 | 3,5 | 3,8 | 3,8 | 4,0 | 5,6 |
| 14.00 | 625 | არტურსი-მირნი | 1,3 | 2,8 | 1,6 | 3,0 | 5,0 | 5,6 | 7,0 | 10,0 |
| 14.00 | 626 | ფერეირა-სტოლიაროვი | 1,1 | 5,0 | 1,2 | 3,3 | 7,0 | 9,0 | 15,0 | 30,0 |
| 14.00 | 627 | კაფელნიკოვი-იუნი | 1,05 | 6,0 | 1,1 | 3,4 | 8,0 | 10,0 | 17,0 | 40,0 |
| 14.00 | 628 | ბალცერსი-კარლსენი | 1,65 | 1,75 | 4,2 | 3,5 | 3,8 | 3,8 | 4,0 | 5,6 |

### ჩოგბურთი. უიმბლდონი. ქალები

26 ივნისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14.00 | 651 | კლაისტერსი-კასონი | 1,03 | 7,5 |
| 14.00 | 652 | დრეიკი-ნოლა | 1,5 | 2,0 |
| 14.00 | 653 | გრანდე-ბარნა | 1,3 | 2,8 |
| 14.00 | 654 | რაზანო-მონტოლიო | 1,35 | 2,5 |
| 14.00 | 655 | კრუგერი-მარერო | 1,5 | 2,0 |
| 14.00 | 656 | ლუა-კოლინი | 1,6 | [illegible] |
| 14.00 | 657 | კუტცერი-ფორე | 1,1 | [illegible] |
| 14.00 | 658 | დოკიჩი-ლოს რიოსი | 1,03 | 6,5 |
| 14.00 | 659 | ჰოპკინსი-დიას ოლივა | 1,5 | 2,0 |
| 14.00 | 660 | შეტი-მატევეიჩი | 1,15 | 4,0 |
| 14.00 | 661 | შნიდერი-ნეიედლი | 1,25 | 3,1 |
| 14.00 | 662 | კანდარი-გარიგესი | 1,3 | 2,8 |
| 14.00 | 663 | მოლიკი-კასტანო | 1,15 | 4,0 |
| 14.00 | 664 | დევენპორტი-სუჩა | 1,02 | 9,0 |
| 14.00 | 665 | მორესმო-პრატი | 1,35 | 2,5 |
| 14.00 | 666 | დანილიდუ-ბახევა | 1,4 | 2,3 |
| 14.00 | 667 | ჩერვანოვა-ბუტე | 1,55 | 1,9 |
| 14.00 | 668 | ტანასუგარნი-ბლექი | 1,65 | 1,75 |
| 14.00 | 669 | ტულიაგანოვა-ვუდროფი | 1,4 | 2,3 |
| 14.00 | 670 | მანდულა-ჰუსაროვა | 1,6 | 1,8 |
| 14.00 | 671 | ტოზია-პრაკუსია | 1,05 | 6,0 |
| 14,00 | 672 | სტივენსონი-გარბინი | 1,35 | 2,5 |
| 14.00 | 673 | სერნა-პეტროვა | 1,4 | 2,3 |
| 14.00 | 674 | ლიხოვცევა-კრეიბასი | 1,1 | 5,0 |
| 14.00 | 675 | ორემანსი-ჰანტუჩოვა | 1,5 | 2,0 |

### ჩოგბურთი. უიმბლდონი. გამარჯვებული

| კაცები | | | ქალები | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 25 ივნისი 18.00 | | | |
| 701 | სამპრასი | 2,2 | 751 | ვ. ვილიამსი | 2,3 |
| 702 | აგასი | 3,8 | 752 | ჰინგისი | 2,8 |
| 703 | ჰიუიტი | 5,0 | 753 | კაპრიატი | 4,0 |
| 704 | ჰენმანი | 5,6 | 754 | ს. ვილიამსი | 4,7 |
| 705 | რაფტერი | 6,5 | 755 | დევენპორტი | 5,6 |
| 706 | რუსედსკი | 7,0 | 756 | დოკიჩი | 10,0 |
| 707 | კაფელნიკოვი | 20,0 | 757 | მორესმო | 15,0 |
| 708 | საფინი | 20,0 | 758 | კლაისტერსი | 20,0 |
| 709 | არტურსი | 25,0 | 759 | ჰენინი | 30,0 |
| 710 | როდიკი | 30,0 | 760 | ტოზია | 50,0 |
| 711 | ფედერერი | 35,0 | 761 | დემენტიევა | 50,0 |
| 712 | იოჰანსონი | 40,0 | 762 | სანჩეს-ვიკარიო | 50,0 |
| 713 | გამბილი | 40,0 | 763 | მარტინესი | 50,0 |
| 714 | ენკვისტი | 50,0 | 764 | ჰუბერი | 75,0 |
| 715 | ჰაასი | 50,0 | 765 | კუტცერი | 75,0 |
| 716 | ფერეირა | 50,0 | 766 | შეტი | 75,0 |
| 717 | გროსიანი | 50,0 | 767 | რეიმონდი | 75,0 |
| 718 | ფერერო | 60,0 | 768 | ტესტიუ | 75,0 |
| 719 | კიფერი | 60,0 | 769 | ფარინა ელია | 75,0 |
| 720 | ნორმანი | 60,0 | | | |

**ჩოგბურთის მატჩის შეწყვეტის შემთხვევაში მოქმედებს იგივე წესი, რაც ფეხბურთში.**

**ჩოგბურთის ანგარიშის ფსონი მრავლდება მხოლოდ ანგარიშისაზე, ისევე როგორც შედეგის ფსონი შედეგისაზე. ანგარიშის ფსონის შედეგის ფსონზე გადამრავლება დაუშვებელია.**

### კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41
ქუთაისი — პუშკინის ქუჩა №16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27
გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30
თელავში — კოსტავას ქუჩა №23.
რუსთავში — შარტავას ქუჩა №7
ოზურგეთში — გურიის ქუჩა №23
ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61;
ჯავახიშვილის ქუჩა №78;
ჭავჭავაძის ქუჩა №113 (მალე)
ქობულეთში — ალმაშენებლის ქუჩა №106
მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# სხვა გმირები

## ამბავი წყვილ-წყვილ გამარჯვებათა



ემი ეკუფმა სტურნირო გამარჯვებათა სერია აშშ-ის ჩემპიონობით დააგვირგვინა

**მორის გრინმა** თქვა და გააკეთა. როცა ამერიკის მძლეოსნობის ფედერაციამ დაადგინა, რომ ამერიკელი მსოფლიოს ჩემპიონებიც კი ედმონტონის მსოფლიოს ჩემპიონატზე ეროვნული პირველობის გაუვლელად ვერ წავიდოდნენ, გრინი ერთობ აღშფოთდა. მსოფლიოს ყველაზე მარდი კაცის თქმით, უპირობა ერქვა და მეტი არაფერი სპორტსმენთათვის ერთხელ დაკანონებული უფლების რაღაც ბუნდოვანი არგუმენტებით წართმევას. სხვა ჩემპიონები ჩუმად იყვნენ, მარიონ ჯონსმა და სტეისი დრაგილამ, მაყურებელი უპირველეს ყოვლისაო და ირბინეს და იხტუნეს იუჯინში, სადაც ხუთშაბათიდან კვირის ჩათვლით ამერიკის ჩემპიონატი გაიმართა.

პორტლენდის ქვემოთ, 200 კილომეტრში მდებარე იუჯინი ორეგონის შტატის კი არა, მგონი, მთელი ამერიკის სამძლეოსნო ცენტრია. იქ ყოველწლიურად რამდენიმე მნიშვნელოვანი ტურნირი იმართება და ქვეყნის ჩემპიონატმა წლეულს, ცხადია, ყველა დაჩრდილა. აშშ-ის მთელი სამძლეოსნო ელიტა იქ იყო. ათლეტები დიდი მონდომებით აკეთებდნენ თავის საქმეს, რადგან ყოველი დისციპლინის მხოლოდ საპრიზო ადგილები იძლეოდა ედმონტონში გამოჩენის უფლებას. იქვე გახლდათ ნაბუზღუნევი გრინიც, უფრო როგორც მაყურებელი, მაგრამ სანამ ტრიბუნებზე ფანებში გაერეოდა და ავტოგრაფების გაცემას დაიწყებდა, მან აუცილებელი საქმე გააკეთა — ერთხელ გამოჩნდა სარბენ ბილიკზე და მერე როგორ! უბრალო გასახურებელი გარბენისას 100 მეტრზე 9,90 წამი უჩვენა, ეს კი სეზონის რეკორდი გახლავთ. ამერიკის სამძლეოსნო ოფიციოზისთვის ნიშნის მოგებით კმაყოფილმა გრინმა („მხედავთ თუ არა?“) მაშინვე მიაშურა ტრიბუნებს და ქვემოთ აღარც ჩასულა. მის არყოფნაში სხვებმა გვარიანად აიწყვიტეს, მაგრამ ეს პარასკევის ფინალებზე იყო, ხოლო ხუთშაბათს ბევრი არც არაფერი მომხდარა — საკვალიფიკაციო ეტაპებმა უსენსაციოდ ჩაიარა და ყველა ფავორიტი ფინალში გავიდა. ჩემპიონი მხოლოდ 4 დისციპლინაში გაირკვა. სეილალა სუას წარმატება უნდა გამოვყოთ. 23 წლის ტანკივით გოგომ ხუთშაბათს ბადროს ტყორცნა რომ მოიგო, კვირას ბირთვის კვრა მიაყოლა და გახდა ერთი იმ მცირეთაგან, იუჯინში ორ და მეტ სახეობაში ეფექტურად რომ ცდიდნენ ძალებს. სუამ ორივეგან დაიბრიყვა და ატირა ამერიკის ქალთა ბირთვის კვრის ცოცხალი სიმბოლო, კონი პრაის-სმიტი. 39 წლის ვეტერანს, რომელიც 19-ჯერ(!) იყო ამერიკის ჩემპიონი, გული უფრო ბირთვის კვრისას აუჩვილდა, რადგან, ჯერ ერთი, მეორე იყო და მე-20 ჩემპიონობას ცოტათი ვერ შესწვდა, მეორეც, სახალხოდ განაცხადა, მორჩა, წავედიო. „დიდებული კარიერა მქონდა — თქვა პრაის-სმიტმა სლუკუნით — მიხარია, კარგი თაობა რომ მოდის“.

„წლების მანძილზე კონის ყურება უაღრესად სასიამოვნო იყო — თქვა მომავალმა (ესე იგი, სუამ) მიმავლის შესახებ — ბედნიერი ვარ, მასთან ბირთვით ხელში პაექრობამ რომ მომიწია. ჯობნაზე აღარაფერს ვამბობ“. სუამ იუჯინში დუბლი იკმარა, ხოლო გაუმაძღარი რეგინა ჯეკობსი 800 და 1500 მეტრების მოგების შემდეგ 5 კილომეტრის ოქროსაც ეპოტინებოდა და კინაღამ ისიც მოიგო, მაგრამ ბოლოს მაინც დისტანციის ოსტატმა მარლა რანიანმა იმარჯვა და ჯეკობსს ორნახევარი წამი მოუგო.

ხოლო ნახსენებ 800-სა და 1500-ზე ჯეკობმა ერთგვაროვანი ტაქტიკით ირბინა: თითქმის ბოლომდე მეორე იყო, ოღონდ ლიდერებს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა და ფინიშამდე რამდენიმე ათეული მეტრით ადრე უმატებდა სიჩქარეს. ამ მეთოდით გაუსწრო 800 მეტრზე ჰეიზელ კლარკსა და 1500-ზე სიუზი ფევორ-ჰამილტონს. ჯეკობსი ედმონტონში საშუალო დისტანციაზე (800 მ) სირბილს არ აპირებს, ოღონდ იუჯინში გავლილი სტაიერული გზებიდან (1500 და 5000 მ) ორივეს აითვისებს. ჯეკობსი 37 წლისაა, მაგრამ ახალგაზრდასავით მარდია და როცა ნახსენებ გამარჯვებათა შემდეგ ჟურნალისტმა ორი თუ სამი კურდღლის დევნაზე ჰკითხა, მკვირცხლად მიუგო, არ მეშინოდა გადაწვის და წაგებისო. „რატომ არ უნდა მერბინა სამივე გზაზე, როცა თავს კარგად ვგრძნობდი? — იკითხა ჯეკობსმა — თან, რისთვის დავმალო და ისტორიული საქმის ჩადენა მინდოდა“.

იუჯინში კარგად იყო ჯონ გოდინაც, ვისი პირველი ხელობა ბირთვის კვრაა და მეორე — ბადროს ტყორცნა. სამი წელია, იგი სრულებით ჯანმრთელი არ ყოფილა, ხან ერთი ტრავმა აწუხებდა, ხან — მეორე. ამან სიდნეის ოლიმპიადაზეც შეუშალა ხელი, მაგრამ წლეულს „ჭრილობები“ მოიშუშა და ალმასვლა იწყო. განსაკუთრებით ბირთვის კვრაში უჩვენებდა გამოსარჩევ შედეგებს და იუჯინში პირველივე ცდებიდან გაამჟღავნა, რომ ის იყო სიტუაციის ბატონ-პატრონი, როცა ბირთვი 21,60 მეტრზე ისროლა. მალე ინციდენტიც მოხდა: ვინმე ჩარლზ კენტვილის გასროლილმა მეტალის ბირთვმა პორტლენდელ ჯეისონ პომპელს გაჰკრა და კინაღამ თავ-ყბა ჩამოუღო. ორიოდ სანტიმეტრი აქეთ და შედეგი საბედისწერო იქნებოდა, ისე კი პომპელი იოლად გადარჩა. იგი დროულად გააქანეს საავადმყოფოში და მოგვიანებით მამამისმა იქვე ატუზულ ჟურნალისტებს განუცხადა, არაფერი უჭირსო. შეჯიბრი 25 წუთში განახლდა და, თუმც გოდინას შემდეგი ცდები პირველივით შედეგიანი არ ყოფილა. ვიცე-ჩემპიონი ადამ ნელსონი მეტრზე მეტით ჩამორჩა.

ამერიკას სულ მძლეოსნობის ციტადელად ვაცხადებთ, მაგრამ არის სახეობები, სადაც იანკებს სიტყვა არ ეთქმით. იუჯინში საცოდავი შედეგები უჩვენეს მეშუბეებმა, ათჭიდელებმა და შვიდჭიდელებმა. იან ჟელეზნი, კონსტადინოს გაციუდისი, აკი პარვიაინენი და ხანდახან სხვა ევროპელებიც ჰოროლს 90 მეტრსა და მეტს უწვდენენ ხოლმე, იუჯინში კი უმაღლესი მიღწევა 85,23 მეტრი იყო (ბრიო გრიერის შედეგი), ხოლო სხვებმა 75(?!) მეტრს ვერ გადააცილეს. ათჭიდში, მოგეხსენებათ, 9000-ქულიანი ზღვარიც უკვე დაემხო, ამერიკელები კი 8241-ზე გაჩერდნენ, ხოლო შვიდჭიდი ზედ შეჯიბრის წინ იუჯინში მოხვედრილმა დიდი ნათანმა მხოლოდ 6174 ქულით მოიგო.

ზოგადად, პარასკევსა და შაბათს სპრინტერთათვის უაღრესად ხელსაყრელი ამინდი იდგა. სითბო და ზურგქარი მაღალი შედეგების წინაპირობა იყო, ამიტომ მორის გრინის არყოფნაში ვაჟთა 100 მეტრის 10-წამიანი ზღვარი ორმა სპრინტერმა დაამხო. ტიმ მონტგომერიმ და ბერნარდ ვილიამსმა 3,1 მეტრი წამში სიჩქარის ზურგქარი გამოიყენეს და შესაბამისად 9,95 და 9,98 წამი უჩვენეს. ხელსაყრელმა ქარმა ცოტა კიდევ იმატა, როცა ახლა ქალები გავიდნენ იმავე მოკლე გზის სარბენად. სტარტზე არ იდგა მარიონ ჯონსი (100 მეტრზე ედმონტონში „უაილდ ქარდით“ მიდის) და კრისტი გეინსმაც შემართულმა ირბინა, იქნებ ასეთი შანსი მეტად აღარც მომეცესო. მას ბარე ათჯერ უცდია ქვეყნის ჩემპიონობა და საჭირო გახდა ჯონსის არყოფნა, რომ მიზანი შეესრულებინა. მხოლოდ მეშვიდე იყო პაწია ინგერ მილერი, ვისაც სიდნეის ოლიმპიადიდან მოყოლებული რბენა აშკარად ვერ მიუდის. თუმცა მილერი ედმონტონში მაინც იქნება: 200 მეტრის მსოფლიოს ჩემპიონია და „უაილდ ქარდი“ ეკუთვნის. იგივეს ვერ ვიტყვით ბებერ მაიკ პაუელზე. ეს ლეგენდარული კაცი, რომელმაც სიგრძეზე ხტომაში ბობი ბიმონის ლეგენდარულივე რეკორდი დაამხო, დიდი ტრავმული შვებულების შემდეგ დაბრუნდა და ერთი რიგითი ტურნირი კიდეც მოიგო, მაგრამ იუჯინში ახალგაზრდებმა ერთობ მოინდომეს და პაუელი მეოთხე პოზიციაზე დარჩა. საჭირო კია ერთი პერსონალური მიწვევა ამ ღვაწლმოსილი პიროვნებისთვის!

გამოჩნდა გეილ დივერსი! შარშანდელი „ოქროს ლიგის“ ლაურეატმა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ მხოლოდ ფორმის შენარჩუნებაზე ზრუნვა არჩია და არც ერთ „გრან პრიზე“ არ გამოჩენილა. დივერსი მსხვილ ნადირს ამჯობინებს და კვირას მისი ხტუნვა-სირბილი სწორედ სამაგალითო იყო: 100 მეტრზე თარჯრბენს 12,91 წამი მოანდომა და უახლოეს მდევარს კარგა 0,2 წამი მოუგო. ვერც სტეისი დრაგილას გაეკარა ვინმე ჭოკით ხტომაში, თუმცა მსოფლიოს საოცარი რეკორდსმენის შედეგი ამჯერად მოკრძალებული 4,62 მეტრი იყო, ოღონდ მოკრძალებული მარტო დრაგილასთვის, თორემ...

კვირას კი იუჯინში ამინდი შეიცვალა, გაწვიმდა, თერმომეტრის სვეტი ცელსიუსის 11 გრადუსამდე ჩამოვარდა და ეს გარემოება მხოლოდ სტაიერებს არ სწყენიათ. 3000-მეტრიანი სტიპლიჩეიზი ალმაფრენით ირბინა ტიმ ბრუმ და მაინცდამაინც ბოლო წინაღობას გამოედო. იგი მსუბუქად დაეცა და ცქვიტად წამოხტა, მაგრამ როცა ფინიშთან მიირბინა, იქ უკვე დახვდა ორი კაცი. ჩემპიონობის საწყენად დამკარგავ ბრუს სანუგეშოდ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური გადასცეს.

**დავით გულუა**



მარიონ ჯონსის არყოფნაში კრისტი გეინსმა 100 მეტრზე იმარჯვა

### ვაჟები

10 000მ: 1. აბდი აბდირაჰმანი 28.39,82; 2. მებრატონ კეფლეზიგი 28.39,64; 3. ალან კალპეპერი 28.49,03

ურო: 1. კევინ მაკმაჰონი 76,52; 2. ჯეი ჰარვარდი 73,17; 3. ჯეიმს პარკერი 72,50

100მ: 1. ტიმ მონტგომერი 9,95; 2. ბერნარდ უილიამსი 9,98; 3. კერტის ჯონსონი 10,01

400მ: 1. ანტონიო პეტიგრიუ 45,08; 2. ლეონარდ ბერდი 45,26; 3. ჯერომ იანგი 45,32

1 500მ: 1. ენდი დაუნინი 3.37,63; 2. სენეკა ლესიტერი 3.37,66; 3. პოლ მაკმალენი 3.37,94

5 000მ: 1. ბობ კენედი 13.28,72; 2. ალან კალპეპერი 13.29,66; 3. ადამ გუჩერი 13.30,36

400მ. თარჯრბენი: 1. ანჯელო ტეილორი 48,53; 2. კელვინ დევისი 48,75; 3. ჯეიმს კარტერი 48,79

20კმ. სიარული: 1. კურტ კლაუსენი 1:24,50; 2. ტიმ სიმენი 1:26,15; 3. შონ ალბერტი 1:26,34

სიგრძეზე ხტომა: 1. სავანტე სპრინგპელოუ 8,47; 2. მიგელ პეიტი 8,35; 3. დუაიტ ფილიპსი 8,23

სიმაღლეზე ხტომა: 1. ნათან ლიპერი 2,30; 2. ჩარლზ ოსტინი 2,30; 3. ჰენრი ოსტინი 2,27

შუბი: 1. ბრიო გრიერი 85,23; 2. ტომ პაქსტისი 74,49; 3. რონ უაიტი 72,73

ბადრო: 1. ადამ სეტლიფი 66,85; 2. ჯონ გოდინა 65,39; 3. ენდი ბლუმი 62,98

ბირთვი: 1. ჯონ გოდინა 21,60; 2. ადამ ნელსონი 20,55; 3. ჯონ დევისი 20,51

ათჭიდი: 1. კიპ ჯანვრინი 8 241; 2. ფილ მაკმიულენი 8 220; 3. ბრაიან კლეი 8 169

200მ: 1. შონ კროუფორდი 20,54; 2. რეიმონ კლეი 20,60; 3. კევინ ლიტლი 20,64

800მ: 1. დევიდ კრამენაკენი 1.47,40; 2. დერიკ პიტერსონი 1.47,40; 3. ჯესი შტრუცელი 1.47,53

სამხტომი: 1. ლამარკ კარტერი 17,17; 2. რობერტ ჰოვარდი 16,94; 3. უოლტერ დევისი 16,92

110მ. თარჯრბენი: 1. ალენ ჯონსონი 13,22; 2. ტერენს ტრამელი 13,45; 3. დუეინ უოლესი 13,60

3 000მ. სტიპლჩეიზი: 1. ტომას ჩორნი 8.22,16; 2. ენტონი ფემიგლიეტი 8.22,68; 3. ტიმ ბრო 8.24,66

ჭოკით ხტომა: 1. ლოურენს ჯონსონი 5,85; 2. ტიმ მეკი 5,75; 3. ნიკ ჰაისონგი 5,65

### ქალები

სიგრძეზე ხტომა: 1. ჯენი ადამსი 6,71; 2. გრეი აჰმოუ 6,62; 3. ბრიანა გლენი 6,49

ბადრო: 1. სეილალა სუა 65,35; 2. სიუზი პაუელი 63,29; 3. კრის კუელი 62,67

100მ: 1. კრისტი გეინსი 10,89; 2. კელი უაიტი 10,93; 3. ანჯელა უილიამსი 11,01

400მ: 1. ლატაშა კოლანდერ-რიჩარდსონი 50,69; 2. მიშელ კოლინზი 51,00; 3. მონიკ ჰენაგანი 51,20

1 500მ: 1. რეგინა ჯეკობსი 4.06,12; 2. სიუზი ფევორ-ჰამილტონი 4.06,61; 3. სარა შვალდი 4.08,57

10 000მ: 1. დინა დროსინი 32.05,14; 2. ჯენ რინისი 32.20,03; 3. სილვია მოსკედა 32.25,22

400მ. თარჯრბენი: 1. სანდრა გლოვერი 55,08; 2. ტონია ბაფორდ-ბეილი 55,71; 3. ბრენდა ტეილორი 55,39

სამხტომი: 1. ტომბი ჰარდი 14,04; 2. ჯულიანა პერესი 13,98; 3. შეილა ჰადსონი 13,68

ჭოკი: 1. სტეისი დრაგილა 4,62; 2. ალისია უორლიკი 4,40; 3. მერი სოიერი 4,40

ურო: 1. დონ ელერბი 69,08; 2. ანა ნორგრენი 66,68; 3. მელისა პრაისი 66,25

შვიდჭიდი: 1. დიდი ნათანი 6 174; 2. შეილა ბარელი 6 051; 3. ჯიჯი მილერი 5 925

20კმ. სიარული: 1. მიშელ როლი 1:32,49; 2. ამბერ ანტონია 1:36,37; 3. ჯილ ზენერი 1:37,10

სიმაღლეზე ხტომა: 1. ემი ეკუფი 1,88; 2. ერინ ოლდრიკი 1,84; 3. სტეისი ენ გრანტი 1,84

შუბი: 1. კიმ კრინერი 55,76; 2. ერიკა უილერი 52,43; 3. სერინე როსი 52,07

800მ: 1. რეგინა ჯეკობსი 2.00,43; 2. ჰეიზელ კლარკი 2.01,15; 3. ჯენიფერ ტომი 2.01,28

ბირთვი: 1. სეილალა სუა 17,97; 2. კონი პრაის-სმიტი 17,89; 3. კრისტინ ჰესტონი 17,17

100მ. თარჯრბენი: 1. გეილ დივერსი 12,91; 2. ჯენი ადამსი 13,11; 3. ენჯანეტ კირკლენდი 13,14

200მ: 1. მარიონ ჯონსი 22,52; 2. ლატაშა ჯენკინსი 22,88; 3. კელი უაიტი 22,93

5 000მ: 1. მარლა რანიანი 15.08,03; 2. რეგინა ჯეკობსი 15.10,63; 3. ელვა დრაიერი 15.11,76



ოსკარ დე ლა ჰოიამ ხავიერ კასტილიეხო ბოლო რაუნდის ბოლო წამებზე დასცა

# ახალი ოსკარი

**„ოქროს ბიჭუნად“** წოდებულმა ოსკარ დე ლა ჰოიამ წონა მოიმატა და შაბათს ახალი სიმაღლე დაიპყრო: ხავიერ კასტილიეხოს ძლევით ველტერის წონაში (66,7 კგ) WBC-ს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკელი ლათინოსი, რომელსაც შაბათს შემდეგ კარიერაში 34 გამარჯვება და 2 მარცხი დაუგროვდა, სხვადასხვა დროს ხუთ სხვადასხვა წონაში გამხდარა ჩემპიონი. ამ მაჩვენებლით იგი გაუტოლდა ლეგენდარულ მოკრივეებს, შუგარ რეი ლეონარდს და ტომას ჰ ერნსს.

კასტილიეხოს წინაალმდეგ დე ლა ჰოიას ფავორიტად მიიჩნევდნენ. ბუქმეიქერთა შეფასებით მისი გამარჯვების შანსი 9:1 გახლდათ, არადა თავის მხრივ არც კასტელიეხოა ხელწამოსაკრავი მოკრივე.

რინგზე გაირკვა, რომ ბუქმეიქერები არ შემცდარან, თუმცა კოეფიციენტი, შესაძლოა, გადაჭარბებით დაადგინეს. ყოველ შემთხვევაში, დე ლა ჰოიამ მოწინაალმდეგე მხოლოდ ერთხელ, ისიც ბოლო წამებში დაანარცხა იატაკზე.

მართალია, დანარცხების შემდეგ, აქამდე ზედიზედ 14 ბრძოლაში გამარჯვებული კასტილიეხო მყისვე წამოხტა, მაგრამ ამასობაში გონგის ხმაც გაისმა და შედეგმაც არ დააყოვნა: სამივე დამთვლელის ოქმში ერთი და იგივე ეწერა — 119:108 „ოქროს ბიჭუნას“ სასარგებლოდ.

შეგახსენებთ, რომ დე ლა ჰოიას, ერთიხანობა ბრწყინვალე შედეგი ჰქონდა, 32 ბრძოლიდან 32 გამარჯვება, მაგრამ ორი წლის წინ ფელიქს ტრინიდადმა აგემა პირველი მარცხი, ხოლო ერთი წლის წინ შეინ მოზლიმაც აჯობა. ახლა, WBC-ს ჩემპიონს შეუძლია ამ ორიდან რომელიმესთან რემატჩზე იფიქროს.

**ტუტა სიხარულიძე**


ჯამოლიბუჯრთუ
გაზეთი
სარბიელი
თავის ფასში
ტელეფონით!
ხელმძღვ ვირტუალით 1 თვით, 2 თვით,
3 თვით, 6 თვით, 12 თვით.
98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97
ფოსტის ყუთები და
დამონტაჟება უფასოა!
„პრეს-მობილი“




# ლინდსი ანას ჩაენაცვლა



ჟიუსტინ ენენმა სეზონში მესამე ტიტული მოიპოვა

**ისტბორნი (ინგლისი)**
**BRITANNIC ASSET MANAGMENT CHEMPIONSHIPS**
**ბალახი. საპრიზო 560 ათასი $**

**ნახევარფინალი: ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) — ჩანდა რუბინი (აშშ) 6:1, 6:1; მაში სერნა (ესპანეთი) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 5:7, 6:1, 7:5**

**ფინალი: დევენპორტი — სერნა 6:2, 6:0**

ზღვისპირა ისტბორნის უმეტესად ასაკოვანი ჩოგბურთის მოყვარულები, რომლებმაც შაბათს მრგვალი თანხა გადაიხადეს ადგილობრივი ტურნირის ფინალში ტრიბუნაზე მოსაკალათებლად, უეჭველად ინანებდნენ, ფული რომ ტყუილად გადაყარეს — თუ გეიმებს შორის შესვენებებს გამოვაკლებთ, მატჩი ნახევარ საათსაც კი არ გრძელდებოდა და იმდენად ცალკარა იყო, გამარჯვებულის ვინაობის გამოცნობა დიდი წინასწარმეტყველური ნიჭი ნამვილად არ სჭირდებოდა.

ლინდსი დევენპორტმა ჩია, მაგრამ ფერხორციან მეტოქე მაუი სერნას არანაირი შანსი არ დაუტოვა, მძლავრი დარტყმებითა და მოწოდებებით 3:2-დან მოყოლებული ზედიზედ 9 გეიმი მოიგო და კარიერის 33-ე ტიტული სამთვიანი იძულებითი შესვენებიდან უკან დაბრუნებისთანავე მიითვალა.

„ახლა უიმბლდონზე იმ მიზნით მივემგზავრები, რომ ისევ ჩემპიონი გავხდე — ზედმეტი თავმდაბლობა არ გამოუჩენია დევენპორტს — მუხლი საერთოდ აღარ მაწუხებს, ბალახზე თამაში კი ამ ბოლო ხანებში ძალიან შემიყვარდა, გვიან, მაგრამ, რაც მთავარია, მივხვდი, რომ ეს ჩემთვის ყველაზე მოსახერხებელი საფარია“.

დაჯილდოების ცერემონიალზე ლინდსიმ განსაკუთრებით მოიხსენია თავისი ერთგული და ისტერიული გულშემატკივრები ცენტრალური კორტის მეზობელი ბინებიდან, რომლებიც ხშირად ბილეთიანებზე მეტს ხმაურობდნენ. ახალგაზრდა, წელზევით შიშველი ქომაგების ჯგროს აივნებზე ამერიკელის მხარდასაჭერი პლაკატები ჰქონდათ გადმოფენილი და მის გამარჯვებას გვარიანი ღრიანცელითაც შეხვდნენ. ანა კურნიკოვას არყოფნაში ინგლისელმა ქომაგებმა მართლაც უცნაური არჩევანი გააკეთეს.

**ჰერცოგენბოში (ჰოლანდია)**
**„ჰაინეკენის“ ღია პირველობა**
**ბალახი. საპრიზო 570 ათასი $**

**ქალები**

**ნახევარფინალი: კიმ კლაისტერსი (1, ბელგია) — ელენა დოკიჩი (4, იუგოსლავია) 6:4, 6:2; ჟიუსტინ ენენი (2, ბელგია) — იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) 6:3, 6:2**

**ფინალი: ენენი — კლაისტერსი 6:4, 3:6, 6:3**

19 წლის ჟიუსტინ ენენმა თავისზე ერთი წლით უმცროს თანამემამულეზე კარიერის ყველაზე მწარე მარცხისთვის მალევე იძია შური. ორი კვირის წინ როლან გაროსის ნახევარფინალში კიმ კლაისტერსმა მეტოქის განერვიულებით ისარგებლა და წაგებას ბეწვზე გადაურჩა, მაგარმ ამჯერად სამართალმა პური ჭამა და სეზონის მესამე ტიტული ენენს ხვდა წილად.

„პარიზში კარგი გაკვეთილი მივიღე, ამჯერად ნაკლებად დაძაბული ვიყავი, და აღარ მეშინოდა — განაცხადა გამარჯვებულმა — ძალიან მინდოდა, მომეგო, ეს მნიშვნელოვანი იყო ჩემი თავდაჯერებისთვის, იმაში დასარწმუნებლად, რომ შემიძლია კიმს ვაჯობო. ახლა უიმბლდონისკენ კარგ გუნებაზე გავუტევ“.

ცალხელა, ეფექტური ბექჰენდისა და ბადესთან ოსტატური თამაშის წყალობით ენენი თითქმის მთელი მატჩის მანძილზე ფლობდა უპირატესობას. გადამწყვეტ ხელში მან 4:3-ზე აართვა მოწოდება მეტოქეს, პირველ მატჩ-პოინტზე მცირე პანიკური შეტევის დროს ორმაგი შეცდომა დაუშვა, მაგრამ მომდევნო გათამაშებაში მას კლაისტერსი დაეხმარა და ბურთს აუტში გაუძახა.

**ვაჟები**

**ნახევარფინალი: ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) — როჯერ ფედერერი (4, შვეიცარია) 6:4, 6:2; გილერმო კანასი (არგენტინა) — ტომი რობრედო (ესპანეთი) 7:5, 6:4**

**ფინალი: ჰიუიტი — კანასი 6:3, 6:4**

თუ ჰერცოგენბოშში კლაისტერსმა ვერ ივარგა, მისმა ბოიფრენდმა ლეიტონ ჰიუიტმა აქ ზედიზედ მეათე მატჩი და მეორე ტიტული მოიგო ბალახზე. 20 წლის ავსტრალიელმა მთელი კვირის მანძილზე ერთი სეტიც კი არ დათმო და ბევრს განუმტკიცა აზრი იმის თაობაზე, რომ უიმბლდონის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტადაცაა მისაჩნევი.

„ბალახს სულ უფრო უკეთ ვეცნობი და უკეთაც ვთამაშობ, თუმც სიმართლე გითხრათ, ნებისმიერ საფარზე ასეთივე თავდაჯერებული ვარ. ლონდონში კარგად მემახსოვრება ბოლო ორი კვირის შედეგები და ეს წარმატების მიღწევაში დამეხმარება“ — აღნიშნა ჰიუიტმა, რომელმაც, ფინალის მოგების შემდეგ თავის მწვრთნელსა და ოჯახის წევრებს ხელით „ხუთიანი“ უჩვენა. საქმე ის არის, რომ ორშაბათიდან ავსტრალიელი მსოფლიოს მეხუთე ჩოგანი გახდა.

„ასეთი რამით ბევრი მოთამაშე ვერ დაიტრაბახებს, ეს ერთ-ერთი ჩემი მიზანი იყო, რომლის მიღწევამაც ძალიან გამახარა. რაც შეეხება უიმბლდონს, იქ ურიგო შანსი არ უნდა მქონდეს, მაგრამ ჩემზე წინ პიტ სამპრასს და კიდევ ერთ-ორ კოლეგას დავაყენებდი“ — დაუმატა ავსტრალიელმა, რომელმაც კარიერის მეცხრე ტიტულისთვის არც ისე ბევრი, 54 ათასი მწვანე და ლონდონამდე ორგანიზატორების ვერტმფრენით მგზავრობის უფლება მიიღო. ერთი ეგ არის, ჰიუიტს იმდენი ნათესავ-მეგობარი ახლდა თან, ვერტმფრენში ყველანი მაინც ვერ მოთავსდებოდნენ და, ალბათ, მაინც თვითმფრინავით მოუხდებოდა წასვლა.



ორშაბათიდან ლეიტონ ჰიუიტი მსოფლიოს მეხუთე ჩოგანია

**ნოტინგემის (ინგლისი)**
**ღია პირველობა**
**ბალახი. საპრიზო 350 ათასი $**

**ნახევარფინალი: ტომას იოჰანსონი (3, შვედეთი) — გრეგ რუზედსკი (ინგლისი) 7:6 (8:6), 6:3; ჰარელ ლევი (7, ისრაელი) — ენდი როდიკი (აშშ) 7:6 (7:3), 5:7, 6:3**

**ფინალი: იოჰანსონი — ლევი 7:5, 6:3**

ლეიტონ ჰიუიტის არ იყოს, 26 წლის შვედმა ტომას იოჰანსონმაც კარგად შეირგო უიმბლდონის სარეპეტიციო ტურნირები და გასულ კვირაში ჰალეში ტრიუმფის შემდეგ ნოტინგემშიც მთავარი ჯილდო შეათამაშა ხელში. „ასე კარგ ფორმაში არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ დიდი სლემის ტურნირი სულ სხვაა, თუ გამიმართლა, „ოლ ინგლენდ კლაბში“ ორ-სამ წრეს გავცდები“ — დაიმორცხვა სკანდინაველმა.

**ავთანდილ სვანიძე**

## უიმბლდონი 2001

# პიტი და მისი სამსხვერპლო

**მსოფლიოს** ყველაზე ტრადიციულ-კონსერვატიულ საჩოგბურთო პირველობაზე წლეულს ერთბაშად რამდენიმე სიახლეა: პირველად დიდი სლემის ტურნირების ისტორიაში, 16-ის ნაცვლად 32 მოთამაშეა განთესილი, ცენტრალურ და პირველ კორტებზე კი ასპარეზობა ჩვეული შუადღის 2 საათის ნაცვლად პირველზე დაიწყება. „ოლ ინგლენდ კლაბისთვის", სადაც ჩოგბურთელებს ჯერაც სულ თეთრი ფერის ტანსაცმელში აიძულებენ თამაშს, ეს ცვლილებები ლამის რევოლუციას უტოლდება.

აი, უიმბლდონის შვიდგზის ჩემპიონის, პიტ სამპრასისთვის კი აქ არაფერი შეცვლილა. როგორც ტრადიცია მოითხოვს, შარშანდელი გამარჯვებული პირველი გავიდა ცენტრალურ კორტზე და, რა თქმა უნდა, იოლად გაიმარჯვა. „პისტოლ პიტის" მეტოქე პირველ წრეში მოთიხნარე ფრანსისკო კლავეტი იყო, ასეთ მეტოქეებს კი საყვარელ საფარზე ამერიკელი თვალდახუჭულიც დაჩაგრავს.

სამპრასმა კლასიფიკაციით 56-ე მეტოქეს მთელი მატჩის მანძილზე ერთი ბრეიკ-პოინტიც კი არ დაანება და ზედმეტი ოფლისღვრის გარეშე, 6:4, 7:6 (7:5), 6:4 იმარჯვა. მცირე უსიამოვნება მხოლოდ მეორე ხელის ტაი-ბრეიკის ბოლო გათამაშებას მოჰყვა. დარტყმის დროს პიტს ფეხი დაუცურდა, კლავეტმა კი ჩათვალა, რომ მის მხარეს გადმოვარდნილი ბურთი აუტი იყო, ცარიელ კორტში მისი დაბრუნების ნაცვლად ბადეში გაახვია და მხარეების შესაცვლელად გაემართა. როდესაც მთავარმა მსაჯმა ქულა და სეტი სამპრასს მიანიჭა, ესპანელი ჯერ ვერც მიხვდა, რა ხდებოდა, მერე გამწარებულმა კარგა ხანს იდავა, მაგრამ ვერაფერს გახდა: მისი მშობლიური თიხნარისგან განსხვავებით, ბალახზე ხომ ბურთი ნაკვალევს არ ტოვებს.

„ამ კორტზე თამაში ყოველთვის დიდ სიამოვნებას მანიჭებს, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ აქ უძლეველი ვარ. უკეთეს დასაწყისს ვერც ვინატრებდი" — განაცხადა უიმბლდონზე ზედიზედ 29-ე გამარჯვების შემდეგ სამპრასმა, რომელიც წლეულს სარეკორდო, მერვე ტიტულს უმიზნებს.

გასულ უქმეებზე ბრიტანული „სანდი ტელეგრაფის" წყალობით პიტი საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა. გაზეთმა მკითხველს აუწყა, რომ ამერიკელი მალე გაპენსიონერებას გეგმავდა. „სრულყოფილ სცენარში ვისურვებდი, კარიერის ბოლო მატჩი წლეულს აქ ჩამეტარებინა, მომეგო და სპორტიდან წავსულიყავი" — გაზეთის ცნობით, სწორედ ეს სიტყვები დასცდა სამპრასს ყოფილ კოლეგა ჯიმ კურიეს მიერ აღებულ ინტერვიუში.

სინამდვილეში სენსაციებს დახარბებულმა ჟურნალისტებმა სასურველ ეფექტს სულ ერთი სიტყვის ჩამატებით მიაღწიეს. კურიეს ტელეარხ TNT-ის მიერ გავრცელებულ ვიდეოჩანაწერში შესანიშნავად ისმის ზუსტად იგივე ფრაზა, ოღონდ სიტყვა „წლეულის"-ის გარეშე: „სრულყოფილ სცენარში ვისურვებდი კარიერის ბოლო მატჩი აქ ჩამეტარებინა, მომეგო და სპორტიდან წავსულიყავი. ვინ იცის, რა მოხდება მომავალში? ვნახოთ".

ასე რომ, მეტოქეების გულის გასახეთქად, სამპრასი ჯერჯერობით არსად გაუჩინარებას არ გეგმავს: „მანამ ვითამაშებ, სანამ ამისგან სიამოვნებას ვიღებ. ბევრი წუწუნებს, რომ მოსწყინდა ქვეყნიდან ქვეყანაში წანწალი, სასტუმროებში ცხოვრება და ბევრი ვარჯიში, მაგრამ მე ჯერაც ძალიან მომწონს ასეთი ყოფა, ყოველ შემთხვევაში, 9-დან 5-მდე კომპიუტერის წინ ჯდომას ნამდვილად მირჩევნია და უფულობასაც არ ვუჩივი". აქ კი პიტს ნამდვილად უნდა დავეთანხმოთ: ასე „წანწალში" მან მხოლოდ საპრიზოებით 41 მილიონი დოლარი მოიხვეჭა.

კიდევ უფრო დამაჯერებლად გაიმარჯვა პირველ წრეში სამპრასის მიერ ცენტრალურ კორტზე არაერთხელ გამწარებულმა ტიმ ჰენმანმა, ოღონდ ეს მისი მეტოქის „დამსახურებაც" გახლდათ. კლასიფიკაციით 272-ე, დიდი სლემის ტურნირზე პირველად მოასპარეზე არტიომ დერეპასკო აშკარად არ აღმოჩნდა მზად პირდაპირ ამხელა არენაზე გადასანაცვლებლად, ინგლისელს წინააღმდეგობა ვერ გაუწია და 1:6, 1:6, 1:6 საათზე ოდნავ მეტში წააგო.

„მჯერა, რომ ამ ტურნირის მოგება ძალმიძს. მსოფლიოს თითქმის ყველა უძლიერესი ჩოგბურთელი დამიმარცხებია, შარშან აგვისტოში სამპრასის ძლევის (ცინცინატის მასტერსის სერიის ტურნირზე) შემდეგ ბოლო ფსიქოლოგიური ბარიერიც გადავლახე" — საკუთარ თავს არწმუნებს ჰენმანი, რომელიც „პისტოლ პიტის" ახლო მეგობარი და წყვილებსა და გოლფის თამაშის დროს ხშირი პარტნიორია.

არანაკლებ გაუხარდება ამ სიტყვების გაგება უიმბლდონის მიმდინარეობის დროს ტელევიზორს მიჯაჭვულ მილიონობით ინგლისელს, რომლებიც უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, უიმედოდ ელიან აქ თანამემამულე ვაჟის გამარჯვებას. ჰენმანს იმედი აქვს რომ ბოლო თვეებში მის მიერ განხორციელებული რამდენიმე რადიკალური ცვლილება, მათ შორის 8-წლიანი თანამშრომლობის შემდეგ მწვრთნელ დევიდ ფელგეიტთან დაშორება, ასევე დადებით შედეგს მოუტანს: „დევიდის გარეშე ყველაფერზე ფიქრი თავად მიხდება და ეს პროცესი ძალიან მომწონს. ადრე თუ გვიან, ახალ მწვრთნელს ავიყვან, მაგრამ ჯერჯერობით არაფერს ვუჩივი. ბოლო ხანებში ოდნავ მოწოდებაც შევცვალე, მიღებებზე უფრო აგრესიულად ვირჯები და ახალ ჩოგანსაც ვხმარობ".

რაკი სამპრასის მსხვერპლებზე ჩამოვარდა სიტყვა, მის მიერ უიმბლდონის ფინალში ორჯერ დამარცხებული გორან ივანიშევიჩის დავიწყებაც არ ეგების. ცაცია ხორვატი კლასიფიკაციაში იმდენად დაბლა დაშვა, ძირითად ბადეშიც ვერ ხვდებოდა, ამიტომ ორგანიზატორებმა „უაილდ ქარდი" გამოუყვეს. გორანმა ინგლისელებს იმედი არ გაუცრუა; შვედ ფრედრიკ იონსონთან მატჩში 23 ეისი მოაწოდა და შარშანდელი ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ „მეიჯორზე" პირველი მოგება იზეიმა — 6:4, 6:4, 6:4.

„დღეს კარგად ვითამაშე და საკუთარი თავით კმაყოფილი დავრჩი, რაც ბოლო ხანებში ხშირად აღარ ხდება. აქ, ალბათ, უკანასკნელად ვიასპარეზებ და მინდა, ბოლო სტუმრობიდან კარგი მოგონებები გამყვეს. ხალხიც აშკარად მქომაგობს" — აღნიშნა ხორვატმა, რომელსაც მხრის ქრონიკული ტრავმა სტანჯავს.

წესით, ივანიშევიჩს ოპერაცია აქამდეც უნდა გაეკეთებინა, თუმცა ქირურგების ხელში ჩავარდნის ეშინია: „ვცდილობ, დრო მოვიგო და ოპერაციას დავუძვრე, მაგრამ თუ კარიერის გაგრძელება მსურს, ეს მაინც არ ამცდება. უამრავ ტკივილგამაყუჩებელს ვსვამ, მაგრამ ეს პრობლემას არ ჭრის. აღარც კი მახსოვს, როდის დავარტყი უკანასკნელად პირველი მოწოდება ისე, რომ არაფერი მტკენოდა".

სულ 40 წუთი გაატარა კორტზე პირველ შეხვედრაში სერენა უილიამსმა. კუნთა ამერიკელმა ამ დროში უნგრელი რიტა კუტი კისის 6:1, 6:0 განადგურება მოასწრო. „აქ თამაში ერთი სიამოვნებაა. მწვანე ბალახზე ჩემი თეთრი კაბით რომ გამოვედი, თავი გამორჩეულ ადამიანად ვიგრძენი — განაცხადა სერენამ, რომელიც ლონდონისთვის უჩვეულო, 30-გრადუსიანმა სიცხემაც არ შეაწუხა — ფლორიდასთან შედარებით ეს სამოთხეა, ახლა იქ ყველაფერი იწვის".

**ავთანდილ სვანიძე**



REUTERS ფოტოქრონიკა

გუშინ უიმბლდონზე პიტ სამპრასმა ზედიზედ 29-ედ გაიმარჯვა



REUTERS ფოტოქრონიკა

ვირხინია რუანო პასკუალმა მარტინა ჰინგისს უიმბლდონი დაატოვებინა

## პირველი წრე

### ვაჟები

როჯერ ფედერერი (15, შვეიცარია) — კრისტოფ როშუ (ბელგია) 6:2, 6:3, 6:2; ტომი რობრედო (ესპანეთი) — ჰარელ ლევი (34, ისრაელი) 7:6 (7:5), 6:5 — ტრავმა; კრის ვუდრაფი (აშშ) — ჯან-მაიკლ გემბილი (12, აშშ) 6:4, 3:6, 6:7 (4:7), 6:3, 6:2; ხერმან პუენტესი (ესპანეთი) — მარიანო პუერტა (არგენტინა) 6:3, 7:6 (7:2), 6:4; ჯეისონ სტოლტენბერგი (ავსტრალია) — ჟულიან ბუტე (საფრანგეთი) 6:3, 6:4, 3:6, 6:2; მარატ საფინი (4, რუსეთი) — ჟულიან ნოული (ავსტრია) 6:2, 7:5, 5:7, 6:3; ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:1, 6:4, 6:3; კარლოს მოია (21, ესპანეთი) — ნევილ გოდვინი (სამხრეთ აფრიკა) 2:6, 6:7 (4:7), 6:3, 6:4, 6:4; ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) — სკოტ დრეიპერი (ავსტრალია) 5:7, 6:3, 3:6, 7:5, 6:3; დავიდე სანგვინეტი (იტალია) — ალბერტ პორტასი (25, ესპანეთი) 6:3, 3:6, 6:3, 6:7 (5:7), 7:5; ბობ ბრაიანი (აშშ) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 6:3, 6:4, 6:4; მაგნუს ლარსონი (შვედეთი) — მარკ როსე (შვეიცარია) 6:4, 3:6, 6:3, 1:6, 6:2; რაიმონ სლუიტერი (ჰოლანდია) — დომინიკ ჰრბატი (22, სლოვაკეთი) 6:2, 5:7, 6:4, 6:2; დევიდ პრინოზილი (გერმანია) — ჰიუნგ-ტაიკ ლი (კორეა) 6:7 (5:7), 6:2, 6:4, 6:4; ბარი კოუენი (ინგლისი) — მარკ ჰილტონი (ინგლისი) 6:3, 6:2, 7:6 (7:2); დანიელ ნესტორი (კანადა) — გალო ბლანკო (ესპანეთი) 6:2, 6:3, 6:2; იონას ბიორკმანი (33, შვედეთი) — ლარს ბურგსმიულერი (გერმანია) 6:4, 6:3, 6:4; ხუან კარლოს ფერერო (8, ესპანეთი) — ლუკ მილიგანი (ინგლისი) 6:0, 6:2, 6:2; ბაირონ ბლეკი (ზიმბაბვე) — ალბერტო მარტინი (31, ესპანეთი) 6:1, 6:1, 6:0; ძავიე მალისი (ბელგია) — ხაკობო დიასი (ესპანეთი) 6:2, 6:3, 6:3; მარტინ ლი (ინგლისი) — ჯანლუკა პოცი (იტალია) 6:4, 6:3, 6:1; ტომას იოჰანსონი (11, შვედეთი) — ენდრიუ ილი (ავსტრალია) 6:4, 4:6, 6:7 (5:7), 7:6 (7:5), 6:2; სარგის სარგსიანი (სომხეთი) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 6:3, 6:1, 6:4; პიტ სამპრასი (1, აშშ) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 6:4, 7:6 (7:5), 6:4; ტიმ ჰენმანი (6, ინგლისი) — არტიომ დერეპასკო (რუსეთი) 6:1, 6:1, 6:1; გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) — ფრედრიკ იონსონი (შვედეთი) 6:4, 6:4, 6:4; გრეგ რუზედსკი (ინგლისი) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 7:6 (7:2), 6:7 (5:7), 7:6 (7:1), 6:2; ტოდ მარტინი (23, აშშ) — პარადორნ სრიჩაპანი (ტაილანდი) 6:3, 6:4, 6:7 (4:7), 6:3; სხენგ შალკენი (26, ჰოლანდია) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:4, 3:6, 6:4, 6:7 (2:7), 7:5; არნო კლემანი (13, საფრანგეთი) — იენს კნიპშილდი (გერმანია) 7:6 (7:5), 5:7, 6:1, 6:3; მაიკლ ჩანგი (აშშ) — ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) 6:2, 6:2, 6:7 (4:7), 4:6, 6:2; ენდი როდიკი (აშშ) — ივო ჰოიბერგერი (შვეიცარია) 6:4, 6:4, 7:6 (7:0)

### ქალები

ელენა ბოვინა (რუსეთი) — სანდრა კლეინოვა (ჩეხეთი) 3:6, 6:2, 6:1; ლაიზა რეიმონდი (28, აშშ) — ლუიზ ლატიმერი (ინგლისი) 6:3, 6:0; ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) — მარისა ირვინი (აშშ) 2:6, 6:1, 6:2; მარლინ ვაინგარტნერი (გერმანია) — ჯული პულინი (ინგლისი) 3:6, 7:6 (7:5), 6:4; ბარბარა შვარცი (ავსტრია) — ჩანდა რუბინი (25, აშშ) 6:7 (1:7), 6:4, 7:5; ანკე ჰუბერი (18, გერმანია) — ევი დომინიკოვიჩი (ავსტრალია) 6:3, 6:2; ბიანკა ლამადე (გერმანია) — დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) 6:1, 6:7 (3:7), 6:3; ლინა კრასნარუცკაია (რუსეთი) — ანა-გეილ სიდო (საფრანგეთი) 3:6, 6:4, 6:2; ჯენიფერ კაპრიატი (4, აშშ) — მარია ალეხანდრა ვენტო (ვენესუელა) 6:3, 6:2; კონჩიტა მარტინესი (19, ესპანეთი) — დაია ბედანოვა (ჩეხეთი) 6:2, 3:6, 6:3; კარენ კროსი (ინგლისი) — ივეტ ბასტინგი (ჰოლანდია) 6:4, 6:4; სანდრა კასიკი (აშშ) — ტატიანა პუჩეკი (ბელარუსი) 6:3, 5:7, 6:1; ტინა პისნიკი (სლოვენია) — გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) 1:6, 6:1, 6:4; მაგდალენა მალეევა (12, ბულგარეთი) — კლარისა ფერნანდესი (არგენტინა) 6:0, 6:2; სელიმა სფარი (ტუნისი) — ასა კარლსონი (შვედეთი) 6:7 (1:7), 6:3, 6:4; ემანუელა გალიარდი (შვეიცარია) — ლუსი ალი (ინგლისი) 6:4, 6:1; კრისტინა ბრანდი (აშშ) — ენ კრემერი (26, ლუქსემბურგი) 6:4, 6:2; ბარბარა რიტნერი (გერმანია) — ანდრეა გლასი (გერმანია) 6:3, 6:4; ტატიანა პანოვა (32, რუსეთი) — რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი) 6:3, 6:3; სერენა უილიამსი (5, აშშ) — რიტა კუტი კისი (უნგრეთი) 6:1, 6:0; ჟუსტინ ენენი (8, ბელგია) — სარა პიტკოვსკი (საფრანგეთი) 6:1, 6:0; ელენა დემენტიევა (10, რუსეთი) — ელისონ ბრედშოუ (აშშ) 7:5, 6:7 (12:10), 6:3; კრისტი ბუგერტი (ჰოლანდია) — სონია ჯეიასლანი (კანადა) 6:3, 6:2; ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) — მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) 6:4, 6:2; ლილია ოსტერლო (აშშ) — მეილენ ტუ (აშშ) 6:4, 7:5; ემი ფრეზერი (20, აშშ) — მიროსლავა ვავრინეცი (შვეიცარია) 6:1, 7:5; სანდრინ ტესტიუ (15, საფრანგეთი) — რეიჩელ მაკქუილანი (ავსტრალია) 6:2, 6:2; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (13, ესპანეთი) — მარია სალერნი (არგენტინა) 6:3, 6:3; ჯანეტ ლი (ტაივანი) — ენ კეტავონგი (ინგლისი) 2:6, 6:4, 6:3; აი სუგიამა (იაპონია) — ნურია ლაგოსტერა (ესპანეთი) 7:5, 2:6, 6:2; კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი) — მირიამ შნიცერი (გერმანია) 6:1, 6:4; ანასტასია მისკინა (რუსეთი) — პაოლა სუარესი (22, არგენტინა) 7:6 (7:5), 6:2


გიო ახალაძის ფოტო

# გოლფი და ლუდი სამოთხეში

მინი გოლფის კლუბ „სამოთხეში“ ოთხ დღეს ლამის მთელი ქართული მასმედია შეყრილიყო და ყვანჯის მარჯვედ ქნევაში ეჯიბრებოდა ერთმანეთს.

ივნისის ჩახუთულ თბილისში, „საცა გახელებული მზე ავხორცობის ყინს იკლავს“, ეს ადგილი სწორედაც რომ მისწრებაა. ვაკის პარკის დიდრონი ხეების ჩრდილში მედიელებმა ფიცხელი ბრძოლა გამართეს და კვირა სალამოს გამარჯვებულებიც გამოავლინეს.

ტურნირის აბსოლუტური ჩემპიონი 171 ქულით „რადიო 105“-ის ერთობ მხიარული გუნდი გახდა. ასხუთელებმა გაიმარჯვეს რადიოების შეჯიბრშიც (195 ქულა). ბეჭდურ გამოცემებს შორის ბადალი არ ჰყავდა „რეზონანსს“ (188), ხოლო ტელევიზიებში 201 ქულით ყველას „საქართველოს ხმამ“ აჯობა.

ერთეულებში ჩემპიონი და რეკორდსმენი მეხუთეტაიმელი ზვიად ტომარაძე (50) გახდა, ხოლო ქალებში საუკეთესო — რეზონანსელი ინგა ოგანეზოვა (66). ანტირეკორდის პრიზი კი დილისგაზეთელმა მარიამ სანადირაძემ მოინადირა (107). იმასაც გეტყვით, რომ გოლფში მოგებული ის არის, ვინც ნაკლებ ქულას მოაგროვებს.

ბოლოს კი კაი პურიმჭამელები ერთმანეთს ლუდის სმაშიც გაეჯიბრნენ. პირობა ასეთი იყო: მონაწილეს ერთ წუთში ექვსი კათხა „ყაზბეგი“ უნდა დაელია. აქ მედიელებს გალუაზელმა კოტე გიუნაშვილმა აჯობა. ხუთი კათხა აითვისა და ბრძოლის ველი ბედნიერი ღიმილით დატოვა. დანარჩენები სამ-ოთხ კათხას ძლივს წაეჭიდავნენ.

ამ ფოტოზე კი რეზონანსელ ქალბატონ მარიკა მალალაშვილს ხედავთ, რომელმაც ამჯერად მხოლოდ გუნდური მედალი იკმარა, წლეულს იანვარში კი საქართველოს პირველი ჩემპიონი გახდა და კოლეგებში გოლფის ლეგენდის თიკუნიც დაიგდო.

# ოსტატის გაკვეთილები

ამა იმაზე საჭირო რა უნდა იყოს, ენბიეის ნაღდი მოთამაშე რომ გაგიზიარებს გამოცდილებას და თამაშის ნამდვილ ფანდებს შეგასწავლის. „ტორონტო რეპტორზის“ მოთამაშე ჯერომ ვილიამსი ჩინეთშია და იქაურ ნორჩ კალათბურთელებს ამეცადინებს. მისი ვიზიტი ენბიეისა და ჩინეთის კალათბურთის ასოციაციის ხელშეკრულების ერთ-ერთი შედეგია.


REUTERS პეკინიდან

# ბირჰოფის ქორწილი

ოლივერ ბირჰოფმა ჯვარი დაიწერა. ზალცბურგის ახლოს, მირაბელის სასახლეში იფსკვნა გვირგვინი პირმშვენიერ კლარასთან და ფოტორეპორტიორებსაც კარგახანს გაუჩერდა. მილანელი თავბურთელისთვის, ვისაც ზურგსუკან უიღბლო სეზონი აქვს, ქორწინება ახალი იმედი და ახალი სტიმულია.


REUTERS ზალცბურგიდან

# ჯილდო აბორიგენს


REUTERS ლოზანიდან

ხუან ანტონიო სამარანჩმა ოლიმპიური ორდენი გადასცა კეტი ფრიმენს, სიდნეის ოლიმპიადის გამარჯვებულ სპრინტერს. კეტი ფრიმენი ავსტრალიის მკვიდრი მოსახლეობის შვილია და სამაგალითო ადამიანი გახლავთ იქაური აბორიგენებისთვის. ჯილდო კი სპორტულ სამყაროში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დაიმსახურა.

# მანჰეტენური გაცურვა

მანჰეტენის კუნძულის საცურაო მარათონი დიდად განთქმული საცურაო შეჯიბრია, რომელშიც ექვსკაცა გუნდები მონაწილეობენ. შეჯიბრის არსი ის არის, რომ ამ კუნძულს გარშემო შემოსცურო, რაიც სირგძივად ორმოცდახუთი კილომეტრი გამოდის. გამარჯვებული კი ის გუნდია, ვინც ჯამურად ნაკლებ დროში მოახერხებს ამ საქმეს. ამჯერად გაუმარჯვია „მილენიუმის“ გუნდს, რომელსაც 7 საათში, 43 წუთსა და 22 წამში გაუცურავს ეს გზა. ამ დროში შედის ის 40 წუთიც, რომელიც გუნდებს ნავებზე გაუტარებიათ ატეხილი ღელვის გამო. ეს ქალი, ტამი ვან ვისე, „მილენიუმის“ გუნდის წევრია და ეს წამია გაასრულა ცურვა.


REUTERS ნიუ იორკიდან

# ტენორი აკრძალულ ქალაქში

აჰ, როგორ სურს პეკინს 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლობა. კვირა არ გაივლის, რომ ამ გეგმის მხარდამჭერი რაიმე ღონისძიება არ გაიმართოს. ღონისძიებანი სულ უფრო ხმაურიანი ხდება, რადგან ახლოვდება გადაწყვეტილების მიღების თარიღი. პეკინს კი სამი ტენორი სტუმრობს: ლუჩანო პავაროტი, პლაჩიდო დომინგო და ხოსე კარერასი განთქმულ აკრძალულ ქალაქში მღერიან. ოლიმპიადა პეკინში უნდა გაიმართოს, ასეთია პავაროტის მოწოდება.


REUTERS პეკინიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, თამაზ გოგებაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge